

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
FACULTY OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ФАКУЛЬТЕТ ПРАВА И МЕЖДУНАРОДНЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

ISSN 1512-1305

თემის

სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი

THEMIS

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

ФЕМИДА

НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

№11(13)-2018

თბილისი-ТБИЛИСИ-ТБИЛИСИ
2018

*შეხადოთ მე არც კი ვიცოდე ცხოვრების ხაზისი,
მაგრამ ჩემს ცხოვრებას ამ ხაზისის ძიებას მივუძღვნი.
ბურდაევი*

*May be I do not realize meaning of the life,
but I will devote the life to search of this sense.
Burdaev*

*Возможно я не осознаю смысл жизни,
но я посвящу свою жизнь поиску этого смысла.
Бурдаев*

სარედაქციო კოლეგია:

- ქ. ქოქრაშვილი (თავმჯდომარე), ვ. ხრუსტალი (თავმჯდომარის მოადგილე),
ო. გაბისონია, ჯ. ხეცურიანი, პ. გუბლაშვილი, გ. ხუროშვილი, ჯ. გახოკიძე,
ჯ. გაბელია, ზ. როგავა, ზ. რუხაძე, ზ. დლიერიშვილი, ზ. გაბისონია, ქ. ჯინჭარაძე,
ლ. შაიშმელაშვილი, დ. კარიაული, თ. შომერუსი, ა. ბრანტი.

Editorial Board:

K. Kokrashvili (chairman), V. Khrustal (vice-chairman), I. Gabisonia, J. Khetsuriani, P. Kublashvili,
G. Khuroshvili, J. Gakhokidze, J. Gabelia, Z. Rogava, Z. Rukhadze, Z. Dzlierishvili, Z. Gabisonia,
K. Jincharadze, L. Shaishmelashvili, D. Kariauli, N. Nioradze, T. Shomerus, A. Brant.

Редакционная коллегия:

К. Кокрашвили (председатель), В. Хрусталь (зам. председателя), И. Габисония, Дж. Хечуриани, П. Кублашвили, Г. Хорошвили, Дж. Гахокидзе, Дж. Габелиа, З. Рогава, З. Рухадзе, З. Дзлиеришили, З. Габисония, К. Джинчарадзе, Л. Шаишмелашвили, Д. Кариаули, Н. Ниорадзе, Т. Шомерус, А. Брант.

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2018
<http://gtu.ge>



ყველა უფლება დაცულია. გამოცემის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

საქასაციო ზესით ბასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის და, მაშასადამე, შესაძლებელია აღსრულდეს იმულებითი წესით მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ; ხოლო, თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.¹

ამრიგად, მითითებული ნორმის დანაწესი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია საკასაციო წესით, ე.ი შეტანილია საკასაციო საჩივარი, მაშინ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვერ შევა კანონიერ ძალაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკასაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომი ბედი დამოკიდებულია იმაზე, მიიღებს თუ არა, დაუშვებს თუ არა საკასაციო სასამართლო ამ საკასაციო საჩივარს. თუ საკასაციო საჩივარი არაა დასაშვები მისი დასაშვებობის რომელიმე წინაპირობის გამო, საკასაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო.² ეს განჩინება, როგორც საკასაციო სასამართლოს ნებისმიერი სხვა განჩინება და გადაწყვეტილება, საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ეს ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის განჩინების გამოტანისთანავე გასაჩივრებული გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და შეიძლება მისი იძულებითი აღსრულება. თუ საკასაციო საჩივრის შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ არსებობს მისი დაშვების ყველა წინაპირობა, მაშინ საკასაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ.

აქ წამოიჭრება სამი პრაქტიკული პრობლემა: **პირველი** – საჭიროა თუ არა საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების განჩინებაში მიეთითოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შეჩერების შესახებ, ე.ი იმის შესახებ, რაც აქამდე ავტომატურად ხდებოდა; **მეორე** – თუ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია, მაშინ იმ ნაწილში, რომელიც არ არის გასაჩივრებული, რა საფუძვლით შეიძლება და როგორ უნდა გავამართოთ შეგებებული საკასაციო საჩივრის შეტანა? შეგებებული საკასაციო საჩივარი ხომ მიმართულია გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც ხელსაყრელია კასატორისთვის და ამიტომ იგი ვერ (არ) გაასაჩივრებს მას ამ ნაწილში; **მესამე** – თუ საკასაციო წესით გასა-

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მეორე ნაწილი.

² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლი.

ჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც გადაცემულია დაუყოვნებლივ აღსრულებისთვის, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი, საკასაციო სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს აღსრულება, მაგრამ დასაშვებია თუ არა ასეთი შეჩერება მხარის შუამდგომლობის გარეშე?

სსკ-ის 402-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „თუ გასაჩივრებულია გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება და გააუქმოს აღსრულებასთან დაკავშირებული დონისძიებები“.

პირველი პრაქტიკული პრობლემა შედარებით უფრო მარტივი გადასაწყვეტია: საკასაციო სასამართლოს განჩინებაში საკასაციო საჩივრის მიღების შესახებ მიზანშეწონილია აისახოს არა მხოლოდ მისი განსახილველად მიღება, არამედ ისიც, რომ შეჩერდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია. საკასაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული და, ამის გამო, შეჩერებულია მისი კანონიერ ძალაში შესვლა, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა აღსრულების სამსახურისათვის. მართებულად აღნიშნავს პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი – ასეთი მითითება უნდა აისახოს განჩინებაში საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, მაგრამ ეს შეიძლება ცალკე განჩინების სახითაც ჩამოყალიბდეს.¹

მეორე პრაქტიკული პრობლემა, ჩვენი აზრით, მოითხოვს საკანონმდებლო ცვლილებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მისი გასაჩივრება აღარ შეიძლება. გარკვეული ზომით ამ პრინციპს არღვევს ამავე კოდექსის 405-ე მუხლი, რომელიც უშვებს მოწინააღმდეგებ მხარის მიერ შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობას „საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში“, ე.ი ფაქტობრივად მას შემდეგ, რაც შეგებებული საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილი შესულია კანონიერ ძალაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ საკასაციო სასამართლომ ან უნდა დაარღვიოს კასატორის მოწინააღმდეგე მხარის უფლება – წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც სსკ-ის 402-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შესულია კანონიერ ძალაში ან გვერდი აუაროს სსკ-ის 402-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესს და მიიღოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, თუმცა ამ საჩივრით ხდება გადაწყვეტილების იმ ნაწილის გასაჩივრება, რომელიც უკვე კანონიერ ძალაშია.

საკასაციო სასამართლო ამ მეორე გზით მიღის, ის იღებს შეგებებულ საკასაციო საჩივარს, მიუხედავად იმისა, რომ გასულია საკასაციო გასაჩივრების ვადა და გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც შეგებებული საკასაციო საჩივრითაა გასაჩივრებული – შესულია კანონიერ ძალაში. ვფიქრობთ, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა სწორია და იგი მთლიანად შეესაბამება შეგებებული საკასაციო საჩივრის არსს, დანიშნულებასა და იურიდიულ ბუნებას.²

ამასთან ერთად, შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი სსკ-ის 402-ე მუხლის პირველი ნაწილი და ამავე კოდექსის 405-ე მუხლი. როგორც აღინიშნა, სსკ-ის 402-ე მუხლის

¹ ლილუაშვილი თენგიზი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა. ჯისიაი, 2001 წ. 315.

² ხრუსტალი ვალერი. შეგებებული საკასაციო საჩივარი. „შურნალი სამართალი“, 2001 წელი, №8, გვ. 15-17.

პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის მიღების შემდეგ „გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია“. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც არ არის გასაჩივრებული, შევა კანონიერ ძალაში. სსკ-ის 405-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია საკასაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივრი. ეს კი, თავის მხრივ, როგორც ზემოთ ითქვა, ნიშნავს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გასაჩივრების შესაძლებლობას, რომელიც უკვე შესულია კანონიერ ძალაში.

ამ შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, თუ სსკ-ის 402-ე მუხლში შევა შემდეგი ცვლილება: 402-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატება შემდეგი სიტყვები: „დანარჩენ გაუსაჩივრებელ ნაწილში გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში თუ არ ყოფილა წარდგენილი შეგებებული საკასაციო საჩივრი სსკ-ის 405-ე მუხლით დადგენილი წესით“.

მესამე პრაქტიკული პრობლემა – იმ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეჩერების საკითხი, რომელიც გადაცემულია დაუყოვნებლივ აღსრულებისათვის. ამ პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დაუყოვნებლივი აღსრულების დადგენის დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ-ის 268-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რომელთა თანახმად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა ამ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დაუყოვნებლივი აღსრულება არ დაიშვება თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.

ამრიგად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების დადგენამდე, სასამართლოს ევალება განიხილოს საკითხი იმის შესახებ, შეუძლია თუ არა გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ ზიანი მიაყენოს გადამხდევინებელს ან ამ გადაწყვეტილების აღსრულება საერთოდ შეუძლებელი აღმოჩნდეს. სასამართლომ უნდა იმსჯელოს აგრეთვე იმის შესახებ, ხომ არ შეუძლია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივმა აღსრულებამ განუსაზღვრელად დიდი ზიანი მიაყენოს მოვალეს. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს.¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, როდესაც საკასაციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, შეჩერდეს თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, მან დეტალურად უნდა გააანალიზოს საქმის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებით სასამართლომ მიიღო განჩინება ამ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, აგრეთვე კარგად განჭვრიტოს, დაუყოვნებლივი აღსრულების შეჩერებამ რა ზიანი შეუძლია მოუტანოს გადამხდევინებელს და რა სახისა და ფორმის გარანტიებით უზრუნველყოს მოსალოდნელი ზიანი, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 57-ე მუხლით.²

ამრიგად, საკასაციო საჩივრის განსახილევად მიღების მნიშვნელოვანი შედეგია გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება. საკმაოდ დეტალურადაა მოწინიგებული ეს საკითხი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში და განიხი-

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 270-ე მუხლი.

² ლილუაშვილი თენგიზი, ხრუსტალი ვალერი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა. 2007 წელი, გვ. 106-108.

ლება ოურიდიულ ლიტერატურაში, რომელიც კასაციის პრობლემებს შეეხება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 705-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება ვერ შევა კანონიერ ძალაში, სანამ არ გავა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა.¹ კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება საჩივრის დროულად შეტანით. ოურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ საკასაციო საჩივრის შეტანის ორგვარ ეფექტზე – სუსპენციურსა და დევოლუციურზე. საკასაციო საჩივრის შეტანით ყოვნდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. ლიტერატურასა და პრაქტიკაში სადაცო საკითხი აბრკოლებს თუ არა დაუშვებელი საკასაციო საჩივრის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას, გადაწყვიტა გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გაერთიანებულმა სენატმა, რომლის განმარტებით, დასაშვები და დროულად შეტანილი საკასაციო საჩივარი აჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას, ხოლო თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის საქმის საკასაციო წესით განხილვის დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლით.²

გერმანელი მეცნიერ მეის თვალსაზრისით, პასუხი უნდა გაეცეს აგრეთვე კითხვას იმის შესახებ, ექვემდებარება თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილება წინასწარ (იგივე დაუყოვნებლივ - ხაგზამა ჩემია, ვ.ხ.) აღსრულებას. ა. მეის მოპყავს გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც დასაშვებად ცნო წინასწარ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება, თუ დებიტორი თავისი განცხადებით ადასტურებს, რომ მას გადაწყვეტილების წინასწარი აღსრულება აუნაზდაურებელ ზიანს მიაენებს.³

ამასთან დაკავშირებით, საინტერესო იქნება მოვიყვანოთ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 719-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ შემოტანილია საკასაციო საჩივარი ისეთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც წინასწარ აღსრულებლადაა გადაცემული, სარევიზიო სასამართლოს შეუძლია შეამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს დადგენილება და დროებით შეაჩეროს წინასწარი აღსრულება, თუ ასეთ აღსრულებას შეუძლია აუნაზდაურებელი ზიანი მოუტანოს მოვალეს და ეს არ ეწინააღმდეგება კრედიტორის მომეტებულ ინტერესს. მხარეებმა უნდა დაამტკიცონ შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა.⁴

ასეთია მოკლედ საკასაციო საჩივრის სუსპენციური ეფექტის ზინაარსი.

საკასაციო საჩივრის შეტანით საკასაციო სასამართლოში იწყება საპროცესო სამართლწარმოება და ამის შემდეგ მხოლოდ საკასაციო სასამართლოს აქვს გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია. ეს კი საკასაციო საჩივრის დევოლუციური ეფექტია.⁵

¹ Гражданское процессуальное уложение Германии. Перевод с немецкого, издательство “Wolters Kluwer”, 2006.- 237 с.

² May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgerichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO). Eine systematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete- und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn: Heymanns, 1997, S.234.

³ May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Einesystematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete- und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn: Heymanns, 1997, S.235

⁴ Гражданское процессуальное уложение Германии, перевод с немецкого, издательство “Wolters Kluwer”, 2006. – 242 с.

⁵ May A., Die Revision in den zivil-und verwaltungsgenichtlichen Verfahren (ZPO, ArbGG, VwGo, SGG, FGO) Einesystematische Darstellung unter besonderer Berücksichtigung der höchstrichterlichen Rechtsprechung/ von Artur May 2, überarbeitete- und erweiterte Auflage Köln. Berlin. Bonn: Heymanns, 1997, S.236.

გალერი ხრუსტალი,
სამართლის დოქტორი

**საბასაციო ჭრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების
აღსრულების შემთხვევა**

მოცემულ ნაშრომში განხილულია საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები. დასმულია საკითხი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 402-ე მუხლის პირველ ნაწილში დამატების შეტანის შესახებ.

მოცემულ ნაშრომში მითითებულ საკითხზე წარმოდგენილია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისა და იურიდიული ლიტერატურის მოკლე ანალიზი.

VALERI KHRUSTALI,
Doctor of Law, Professor

**SUSPENSION OF THE EXECUTION OF THE DECISION
APPEALED IN THE COURT OF CASSATION**

There are discussed the practical problems related to the suspension of the decision, appealed in the court of cassation in the presented work.

There is raised the issue, concerning making the amendment to the first part of the Article 402 of the Civil Procedure Code of Georgia.

The brief analysis of German civil procedural legislation and legal literature on the above- mentioned issue is also presented in the work.

ВАЛЕРИЙ ХРУСТАЛЬ,
профессор, доктор права

**ПРИОСТАНОВЛЕНИЕ ИСПОЛНЕНИЯ РЕШЕНИЯ, ОБЖАЛОВАННОГО
В КАССАЦИОННОМ ПОРЯДКЕ**

В представленной работе рассматриваются практические проблемы, связанные с приостановлением исполнения решения, обжалованного в кассационном порядке. Поставлен вопрос о внесении дополнения в части первой статьи 402 Гражданского процессуального кодекса Грузии.

По данному вопросу в настоящей работе приведён также краткий анализ Германского гражданского процессуального законодательства и юридической литературы.

ბიზნესის მარკეტის ფილოგრაფიის განვითარები

მენეჯმენტი, როგორც ბიზნესის მართვის ერთიანი სისტემა, ზოგადად მართვის თეორიისა და მენეჯმენტის დარგში დაგროვილი მოწინავე გამოცდილების შემოქმედებით გამოყენებას გულისხმობს. მენეჯმენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციის, მეთოდების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ადამიანური ურთიერთობების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სისტემა.

ნებისმიერი კომპანიის წარმატება საბაზო ურთიერთობათა პირობებში უკავშირდება მენეჯერთა კორპუსს. უმთავრესად მენეჯერთა ნიჭისა და მმართველობით უნარ-ჩვევებზეა და-მოკიდებული, რამდენად წარმატებული და რენტაბელური იქნება კონკრეტული კომპანია.¹

ბიზნესის სფეროში მენეჯმენტის საბოლოო მიზანია მომგებიანობის უზრუნველყოფა, კომპანიაში მიმდინარე სამეურნეო პროცესის რაციონალური ორგანიზება და კომპანიის პერსონალის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება მათი კვალიფიკაციისა და გამომუშავებული წვევების მიხედვით.

ზოგადად, ბიზნესის მენეჯმენტი ერთდროულად გულისხმობს ეკონომიკურ, სოციალურ-ფიქოლოგიურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ასპექტებს. მიუხედავად აღნიშნულისა, პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით სერიოზულ პრობლემებს, რაც უშუალოდ უკავშირდება კომპანიის მენეჯერთა მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობას. ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც ხშირად უგულებელყოფილია მენეჯერთა მიმართ მოქმედი კ.წ. „შაქრის და მათრახის“ პრინციპი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხშირად საწარმოს მართვაში მონაწილე პირები არაკეთილსინდისიერად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ვალდებულელებს და, მიუხედავად ამისა, ყოველთვის არ დგება აღეკვატური პასუხისმგებლობის საკითხი (იხილეთ ქ. ქოქრა-შვილი. სამეცნიერო სამართალი. 2010 წ. გვ. 94-1020).

ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კორპორაციული მენეჯმენტის ფიდუციური ვალდებულებები. ფიდუციური ვალდებულებების დოქტრინა საერთო სამართლის ქვეყნებში იღებს სათავეს. აშშ-ს მისი გამოყენების ყველაზე მდიდარი ტრადიცია აქვს. ადსანიშნავია, რომ აშშ-ში კორპორაციული მართვის ყველაზე მწყობრი სისტემით დელაუერის შტატი გამოირჩევა (ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ამერიკულ კორპორაციათა უმრავლესობა სწორედ ამ შტატშია დარგისტრირებული).

სიტყვა „ფიდუცია“ ლათინური („fiducia“) სიტყვაა და ნდობას, რწმენას ნიშნავს. რომის სამართალში ფიდუცია გულისხმობდა „ქონების გადაცემის დანამატებს“ და განსაზღვრავდა სხვისი ქონების მიმართ მფლობელის დამოკიდებულებას (მაგალითად, „fiducia cum amico“, რაც დღემდე არსებობს ქონების რწმენას სამართლის ძალებში და გულისხმობს:

¹ აღნიშნულთან დაკავშირებით, ინგლისის სასამართლო პრაქტიკა ხელმძღვანელობს 1925 წ. City Equitable Fire Insurance Go. Ltd საქმეზე დადგენილი პრინციპით – დირექტორი ვალდებულია მოიქცეს ისე, რომელ მოვალეობა მისი განათლებისა და გამოცდილების მქონე პირს.

გერმანიაში 2002 წლიდან მოქმედებს ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილების განსაზღვრის სპეციალური აქტი Deutsch Corporate Governance Kodex.

პირი „იღებს აქტივებს დატვირთულს კონკრეტული ქცევის ვალდებულებით, კეთილსინდისიერად, კეთილი რწმენით).¹

ისტორიულად ფიდუციური სამართლის საკითხი საკმაოდ მარტივია იყო დასმული, განსაკუთრებით კორპორაციის დირექტორთა მიმართებაში. არსებობდა ორი ძირითადი მოვალეობა: ერთგულებისა და გულისხმიერების ვალდებულება. გულისხმიერების მოვალეობის დარღვევას ე.წ. business judgment rule იცავდა, ხოლო ერთგულების მოვალეობის განხილვა ე.წ. fairness test-ის ანუ სამართლიანობის ტესტის მეშვეობით ხდებოდა.²

აშშ-ის დელავერის სასამართლოებს არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვთ მიღებული მენეჯმენტის ფიდუციურ მოვალეობებთან დაკავშირებით, რომლებმაც პრეცედენტის მნიშვნელობა შეიძინეს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანად მიგვაჩნია 1993 წელს დელავერის შტატის სასამართლოს გადაწყვეტილება,³ რითაც გააკეთდა ორი საგულისხმო განმარტება, კერძოდ:

- მენეჯერთა ფიდუციური მოვალეობა დაიყო სამ ნაწილად (ნაცვლად მანამდე არსებული ორისა) და ე.წ. „good faith“ ანუ კეთილსინდისიერების ვალდებულებამ მოიპოვა დამოუკიდებელი ფიდუციური მოვალეობის სახე, მსგავსად ერთგულებისა და გულისხმიერების ვალდებულებებისა;

- განიმარტა, რომ ფიდუციურ მოვალეობათა იძულება იქნებოდა ერთგვაროვანი ტესტის საგანი, სადაც business judgment rule და სამართლიანობის ტესტი ერთად იქნებოდა გამოყენებული ყველა საქმის განხილვისას. თუმცა მოგვიანებით, *In re The Walt Disney Co. Derivative Litigation* საქმის განხილვის პროცესში, დელავერის შტატის სასამართლომ საფუძველი ჩაუყარა კეთილსინდისიერების ვალდებულების (duty of good faith) დაბადებას,⁴ რის შედეგადაც ფიდუციური მოვალეობები, რომლებიც აქამდე მკაფიო იყო, გადაიქცა დაუმუშავებელ და რთულ მასალად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაერთი მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტი ცდოლობდა გაემარტივებინა კორპორატიულ მენეჯერთა ფიდუციური მოვალეობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მაგალითად, 2006 წელს დელავერის სასამართლომ უარყო ფიდუციურ მოვალეობათა სამი სახე და კეთილსინდისიერების ვალდებულება ერთგულების ფიდუციური მოვალეობის კომპონენტად აღიარა.⁵

ზოგიერთი მეცნიერი დღემდე ეწინააღმდეგება დელავერის სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას და ფიდუციური მოვალეობების გაცილებით მეტ ნიშანს განიხილავს – გულისხმიერება, ერთგულება, ობიექტურობა, კეთილსინდისიერება, გონივრულობა.⁶ მეცნიერთა ნაწილი ფიდუციურ მოვალეობათა სამ სახეს აღიარებს, ესენია: ერთგულების, გულისხმიერების და კეთილსინდისიერების ვალდებულება.⁷ ხოლო სხვანი ფიდუციურ მოვალეობებს თთხ ნაწილად ყოფენ: ერთგულება, გულისხმიერება, ინფორმაციის

¹ James Edelman When Do Fiduciary Duties Arise?(2010) 126 Law Quarterly Review 302–327p.1-2

² Julian Velasco How Many Fiduciary Duties Are There in Corporate Law Legal Studies Research Paper No. 09-35 2010 p. 1232-1233

³ Cede & Co. v. Technicolor, Inc., 634 A.2d 345 (Del. 1993).

⁴ In re The Walt Disney Co. Derivative Litig., 906 A.2d 27, 62–68 (Del. 2006)

⁵ Stone ex rel. AmSouth Bancorporation v. Ritter, 911 A.2d 362, 369–70 (Del. 2006).

⁶ Julian Velasco How Many Fiduciary Duties Are There in Corporate Law? Legal Studies Research Paper No. 09-35 2010 p. 1234

⁷ Florence Shu-Acquaye American Corporate Law: Directors' Fiduciary Duties and Liability During Solvency, Insolvency and Bankruptcy in Public Corporations U.P.R. Business Law Journal Vol. 2(05.2011) p.3-7

გამჭვირვალობა და მეოთხე განსაკუთრებული მდგომარეობა, როდესაც კომპანია საშიშ-როების წინაშე დგას.¹

საერთო სამართლის ქვეყნები ცალსახად აღიარებენ კორპორაციის მენეჯერთა ფი-დუციურ მოვალეობათა ორ სახეს: დირექტორთა კეთილსინდისიერებისა და ზრუნვის მოვა-ლეობას.² ცხადია, ცნებები მეტად ზოგადია, რითაც ივსება შესაბამის მოსამართლეთა გადაწყვეტილებები.³ მართალია, კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა ნაკლებად იყენებს „ფიდუცია“, თუმცა პრაქტიკაში მან თავისი ასახვა დიდი ხანია პოვა. ფიდუციური ვალდებულებები ყოველთვის იკვეთება კორპორაციული მართვის პროცესში (Corporate Governance).⁴

როგორც აღვნიშნეთ, კორპორაციული მართვა რთული, მულტიფუნქციური სისტემაა, რომელიც აერთიანებს სამართლებრივ და ფინანსურ ელემენტებს. ამიტომ, კორპორაციული მართვის ერთიანი უნიფიცირებული განმარტება ფაქტობრივად არ არსებობს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „კორპორაციული მართვის პრინციპებში“ კორპორაციული მართვა განმარტებულია, როგორც სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციების ხელმძღვანელობასა და კონტროლს. კორპორაციული მართვის სტრუქტურა ანაწილებს უფლებებსა და მოვალეობებს კომპანიის სხვადასხვა ელემენტს შორის, როგორიცაა სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, აქციონერები/პარტ-ნიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ის ადგენს წესებსა და პროცედურებს კომ-პანიის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. ამის შედეგად ის ასევე ქმნის მექანიზმებს, რომლითაც განისაზღვრება კომპანიის მიზნები, მათი მიღწევისა და საქმიანობაზე ზედამხედველობის საშუალებები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კორპორაციული მართვის სისტემების არსებით ელე-მენტებად მაინც რჩება კორპორაციის ხელმძღვანელობა და მასზე კონტროლი, რასაც კომ-პანიის მენეჯერები ახორციელებენ.

ერთგულების მოვალეობის ძირითადი კონცეფციიდან გამომდინარე, ყველა გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს კორპორაციის ინტერესთა დაცვით. აქედან გამომდინარე, ფიდუციარის ყველა ქმედება მოიცავს ერთგულების მოვალეობას. უფრო მეტიც, ვინაიდან ერთგულმა ფიდუციარმა უნდა დაიცვას კომპანია, იგი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი გულისხმიერების ვალდებულებები. კორპორაციული ფიდუციარის სა-მუშაო უაღრესად მნიშვნელოვანი ვალდებულებაა და ერთგულმა ფიდუციარმა იცის, რომ მან თავისი სამუშაო უნდა შეასრულოს ზედმიწევნით ზუსტად, პროფესიულად და ფრთხილად. ფიდუციურ მოვალეობათა პირნათლად შესრულების ერთ-ერთ მოტივაციად მიჩნეულია მათი შრომის ანაზღაურების მოცულობა. ასეთ შემთხვევაში დირექტორი უფრთხილ-დება თავის პოზიციას.⁵

დირექტორის ერთგულების მოვალეობის გამოვლინებას აგრეთვე შეადგენს ინფორ-მაციის გამედავნების პრინციპი. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი ამ პრინციპს დამოუკიდებელ

¹ Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside DirectorsAsia Business Law Review 3-16 (July 2001) p. 3

² Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside DirectorsAsia Business Law Review 3-16 (July 2001) p.

³ Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside DirectorsAsia Business Law Review 3-16 (July 2001) p.

⁴ Cadbury Committee, Report of the Committee on the Financial Aspects of Corporate Governance. The Cadbury Report 1992, §2.5.

⁵ Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside Directors Asia Business Law Review 3-16 (July 2001) p. 6

ფიდუციურ მოვალეობად განიხილავს.¹ დელავერის შტატის სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმაციის გახსნილობის ვალდებულება ანუ duty of disclosure არის როგორც კეთილსინდისიერების, ისე გულისხმიერების ვალდებულების ნაწილი.²

კონტინენტური უკროპის სამართლის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ შეიცავს დირექტორთა უფლება-მოვალეობების მომწესრიგებელ ნორმებს.³ მათი არსებობის შემთხვევაში ისინი ისეთი ზოგადია, რომ მოსამართლეებს უწევთ მათი დეტალურად შევსება. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში დირექტორთა მოვალეობებს, როგორც აღვნიშნეთ, „ფიდუციურს“ არ უწოდებენ იმიტომ, რომ ფიდუციური ვალდებულებები პრეცედენტული სამართლის გაგებაა, თუმცა მათი პრაქტიკული გაგება ორივე შემთხვევაში ანალოგიურია.

ფიდუციური მოვალეობები ვითარდება კოდიფიცირებული ნორმების არსებობის გარეშე. აშშ-ში არსებული იურიდიული ლიტერატურის თანახმად, რომელიც ფართოდ გამოიყენება სამართლის სკოლებში, კლასიკური ნორმა არის დირექტორთა ფიდუციური მოვალეობების ორ ძირითად ასპექტად გაყოფა: ერთგულებისა (მას ასევე ხშირად მოიხსენიებენ, როგორც კეთილსინდისიერი გარიგების დაღების ვალდებულებას) და გულისხმიერების მოვალეობა. ამასთან, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ ორ მოვალეობასთან ერთად არსებობს კიდევ ორი მოვალეობა. პირველი – ინფორმაციის გახსნილობის მოვალეობა და მეორე – მდგომარეობა, როდესაც კომპანია არის დაუფლების ობიექტი, სამიზნე. ამ ორი მოვალეობის „შექმნას“ მოსამართლე გადაწყვეტილების მიღების ფარგლებში ახორციელებს.⁴

ფიდუციური მოვალეობები არ ექვემდებარება ცვლილებას, თუმცა დელავერის შტატის კანონმდებლობა რიგ შემთხვევებში ითვალისწინებს კომპანიის წესდებით ურთიერთობის მოწესრიგებას, კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებით.⁵ მაგალითად, ფინანსური პასუხისმგებლობა ყველა ამ ვალდებულებისათვის, გარდა კეთილსინდისიერების ვალდებულებისა, შეიძლება შეიზღუდოს ან სულაც ამოღებულ იქნეს კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანით.⁶

ფიდუციურ მოვალეობებს ხელმძღვანელი იცავს კორპორაციული მართვის პროცესში (Corporate Governance). ეს არის პროცესი, როდესაც მენეჯერები ახორციელებენ კომპანიის საქმიანობას.⁷ მთავარი საერთო ინტერესი კორპორაციულ მართვაში დაკავშირებულია დაინტერესებულ მხარეთა შორის კონფლიქტის შემცირებასთან. კონფლიქტის შემცირების ან თავიდან აცილების გზები მოიცავს გარეკაულ პროცესს, კანონმდებლობას, წესსა და პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც კომპანია იმართება.⁸ კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი საკითხია იმ ადამიანთა პასუხისმგებლობის საზღვრები და ხასიათი, რომლებიც უშუალოდ წარმართავენ ბიზნესს. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კორპორაციულ მართვას განსაზღვრავს, როგორც „კომპანიის მართვისა და კონტროლის სტრუქტურებს და

¹ Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside Directors Asia Business Law Review 3-16 (July 2001)p. 8

² Zirn v. VLI Corp., 621 A.2d 773, 778 (Del. 1993)

³ Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside Directors Asia Business Law Review 3-16 (July 2001)p.2

⁴ Bernard S. Black gamouSvui The Core Fiduciary Duties of Outside Directors Asia Business Law Review 3-16 (July 2001)p. 3

⁵ Delaware General Corporation Law Subchapter I § 102 (7)

⁶ Bernard S. Black The Core Fiduciary Duties of Outside Directors Asia Business Law Review 3-16 (July 2001)p.2

⁷ Cadbury Committee, Report of the Committee on the Financial Aspects of Corporate Governance The Cadbury Report 1992, §2.5.

⁸ Cadbury Committee, Report of the Committee on the Financial Aspects of Corporate Governance, The Cadbury Report 1992p.15

პროცესებს“. 1999 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) მის მიერ გამოქვეყნებულ „კორპორაციული მართვის პრინციპებში“¹ გვთავაზობს კორპორაციული მართვის უფრო დეტალურ და ზუსტ განმარტებას: „კორპორაციების ფუნქციონირების და კონტროლის შიგა ინსტრუმენტი – კორპორაციული მართვა – მოიცავს ურთიერთობებს კომპანიის მენეჯმენტს, სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. გარდა ამისა, კორპორაციული მართვა ქმნის იმ სტრუქტურას, რომლის საფუძველზე ხდება კომპანიის მიზნების დასახვა, ამ მიზნების მისაღწევი საშუალებებისა და კომპანიის საქმიანობის მონიტორინგის ფორმების განსაზღვრა“.

მსხვილ კომპანიებში, სადაც კომპანიის მენეჯმენტი არ მიეკუთვნება აქციონერთა რიცხვს, ჩნდება ე.წ. წარმომადგენლობის პრობლემა. საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ აქციონერთა სახელით, ნაცვლად მენეჯმენტის კონტროლისა, დირექტორთა ბორდი შეიძლება გახდეს აქციონერთა იზოლირებული და მენეჯმენტისგან დავალებული. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტიურად დგას აშშ-ის საკანონმდებლო ცვლილებების დისკუსიებში.

კორპორაციული მართვის სისტემის დახვეწის მიზნით შემდგარი მრავალი დისკუსიის შედეგად, გასული საუკუნის ბოლოს შემუშავდა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც კორპორაციული მართვის პრინციპებს აყალიბებს. ესენია:

- The Cadbury Report (UK, 1992), The Principles of Corporate Governance (OECD, 1998 and 2004), The Sarbanes-Oxley Act of 2002 (US, 2002).

ძირითადი პრინციპები, რომელთა გარშემო წარმოიქმნება სწორი კორპორაციული მართვა, მოცემული იყო Cadbury და OECD-ს ანგარიშებში. კერძოდ:

- აქციონერთა უფლებები და სამართლიანი მოპყრობა: ხელმძღვანელობაში პატივი უნდა სცეს აქციონერთა უფლებებს, უნდა დაეხმაროს თავიანთი უფლებების გამოყენებაში, გახსნილად და გამჭვირვალედ გააცნოს კორპორაციაში არსებული მდგომარეობა;
- მესამე პირთა ინტერესები: კორპორაციებმა უნდა აღიარონ, რომ მათ აქვთ სამართლებრივი, სოციალური, სახელშეკრულებო ვალდებულებები აქციონერთა, კრედიტორთა, დასაქმებულთა და კლიენტთა წინაშე;
- ბორდის ფუნქცია და ვალდებულებები: ბორდს სჭირდება შესაბამისი ცოდნა და უნარი, რათა განახორციელოს დაკისრებული მოვალეობა, აგრეთვე სჭირდება დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის აღეკვატური ფარგლები;
- ეთიკური ქცევა და პატიოსნება: ეს უკანასკნელი უნდა იყოს მთავარი მოთხოვნა, რომელიც წაეყენება ხელმძღვანელ თანამდებობაზე ასაყვან პირს;
- ინფორმაციის გახსნილობა და გამჭვირვალობა: მენეჯმენტის მოქმედებები უნდა იყოს შეთანხმებული და ცნობილი აქციონერთათვის, რაც შეამცირებს მენეჯმენტის პასუხისმგებლობის დონეს. ამასთან, ინფორმაციის გამჭვირვალობა უნდა იყოს დროული და ბალანსირებული, რათა ინვესტორები გადაწყვეტილების მიღების პროცესში დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათ აქვთ სრული და ზუსტი ინფორმაცია.²

რაც შეეხბა საქართველოს, კორპორაციული მართვა პოპულარულ ტერმინად XXI საუკუნის დასაწყისში იქცა. სამწუხაროდ, საქართველოში მხოლოდ კომპანიების მცირენაში აქვს გააზრებული ამ საკითხის სიღრმე და კომპლექსურობა. კორპორაციული მართვის რეფორმები ხშირად ზედაპირულად გამოიყენება, როგორც საზოგადოებასთან ურთი-

¹ OECD Principles of Corporate Governance 2004

² OECD Principles of Corporate Governance 2004 Articles I and V

ერთობის სავარჯიშო და არა როგორც სტრუქტურისა და პროცესების დანერგვის მექანიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აღნიშვნავს კორპორაციული მართვის მოდელების დაახლოებას, მაინც რჩება მნიშვნელოვანი განსხვავება. სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზა მუდმივად იცვლება და ვითარდება, თუმცა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

ბიზნესის მენეჯმენტის ფიდუციურ ვალდებულებათა შედარებითი სამართლებრივი ანალიზის უმთავრესი მიზანია წარმოადგინოს კორპორაციულ მენეჯერთა უფლება-მოვალეობათა სრული სპექტრი, ასევე სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე გამოვლინდა ქართულ საკანონმდებლო ბაზაში არსებული ნაკლოვანებები ფუდიციურ მოვალეობათა კონტექსტში და ასევე წარმოჩენილ იქნა ის ძირითადი მარეგულირებელი ნორმები, რითაც დღეს ხელმძღვანელობენ მსოფლიოს უძლიერესი კორპორაციები.

ვინაიდან აშშ-ის კორპორაციული სამართლის სისტემა ამ თვალსაზრისით ყველაზე ნოვატორული და უხვია, რეკომენდებული იქნებოდა ფიდუციური ურთიერთობების მომწერიგებელი ნორმების დასესხება ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის შესავსებად და დასახვეწად, რაც ხშირად სასამართლო დავის დროს სერიოზულ პრობლემებს წარმოქმნის. საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ განსაზღვრავს კომპანიის მენეჯმენტის ფიდუციურ ვალდებულებათა სახეებს, არ ახდენს მათ დაყოფას გულისხმიერებისა და ერთგულების ვალდებულებებად. შესაბამისად, ჩვენი კანონმდებლობით არც კეთილსინდისერგბის ვალდებულების ადგილია განსაზღვრული. ვინაიდან საქართველო არც პრეცედენტული სამართლის ქვეყნებს არ განეკუთვნება, შეუძლებელია სასამართლო პრაქტიკით ამ საკანონმდებლო სიცარიელის შევსება. გამოსავალი ისევ საკანონმდებლო ბაზის შევსებაა. მნიშვნელოვანია კანონმდებლობით კომპანიის ხელმძღვანელთა ფიდუციური ვალდებულებების ფართოდ გაშლა, კანონმდებლობაში მათი კლასიფიკაციის ჩაწერა. ასევე სასურველია სამართლიანობის ტესტისა და ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმუციის ინსტიტუტის შემოღება და კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დავებისას ამ ინსტიტუტების გამოყენება.

საქართველოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ ფიქსირდება მოსამართლეთა მსჯელობა კორპორაციული მართვის ფუნდამენტურ პრინციპებზე; არ ხდება ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების ამომწურავი განმარტება. ეს ყოველივე ნეგატიურად აისახება კორპორაციული მართვის განვითარებაზე, ისედაც მწირი სასამართლო პრაქტიკის პირობებში.

ზემოთ დასმული პრობლემების შეჯამების შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში კორპორაციული მართვის სამართლებრივი რეგულაცია უდავოდ საჭიროებს სერიოზულ გადასინჯვას, დამუშავებასა და დახვეწას. დღეს საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმის კონცეპტუალური დამუშავება. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი კვლევები სასარგებლოა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფისა და უნიფიკაციის თვალსაზრისით.

ქათევან კოკრაშვილი,
სამართლის დოქტორი

ბიზნესის მენეჯმენტის ფიდუციური განლეგულებები

სტატიაში განხილულია კორპორაციულ მართვაში მონაწილე პირთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები. შედარებითი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ხელმძღვანელთა (მენეჯერთა) ფიდუციური მოვალეობები და მათი შეუსრულებლობის შედეგები. სტატიაში გამოყენებულია ასევე სასამართლო პრაქტიკა, მათ შორის აშშ-ის დელავერის შტატის სასამართლოს 1993 წლის გადაწყვეტილება, რითაც განიმარტა კორპორაციულ მმართველთა ფიდუციური მოვალეობების ძირითადი ასპექტები.

KETEVAN KOKRASHVILI,
Doctor of law

FIDUCIARY DUTIES OF BUSINESS MANAGEMENT

There is discussed the basic principles of activities of persons involved in corporate management. **Fiduciary Duties** of corporate managers and their non-fulfillment results are based on comparative legal analysis. There is also used judicial practice, including, 1993 year court decision of the US Delaware State Court, as well as the main aspects of the fiduciary duties of corporate governance.

КЕТЕВАН КОКРАШВИЛИ,
доктор права

ФИДУЦИАРНЫЕ ОБЯЗАННОСТИ БИЗНЕС-МЕНЕДЖЕРОВ

В статье рассматриваются основные принципы деятельности лиц, вовлеченных в корпоративное управление. На основе сравнительного юридического анализа представлены фидуциарные обязательства корпоративных менеджеров и результаты несоблюдения этих обязательств. В статье также используется судебная практика, в том числе судебное решение 1993 года Государственного суда штата Делавэр, а также основные аспекты фидуциарных обязанностей корпоративного управления.

მეწარმეობის სახელმწიფოსმიარი რეგულირების პროცესი

მოქმედი კანონმდებლობით, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც მოგების მიზნით ხორციელდება, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი 2). მეწარმეობა ზოგადად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც ხელს უწყობს საბაზრო კონომიკის განვითარებას, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და მეწარმე სუბიექტთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

მეწარმეობის განვითარების უმთავრესი ქვაკუთხედია სახელმწიფოს მიერ ჯანსაღი სამეწარმეო გარემოს შექმნა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის გონივრულ და ზომიერ რეგულირებას და მეწარმე სუბიექტისათვის მეტი აგზონომიური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის მიცემას.

განვითარებული საბაზრო ურთიერთობის პირობებში სახელმწიფო სამეწარმეო პროცესების ერთგარი დამაჩქარებლის როლს ასრულებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი აქტიურად უწყობს ხელს სამეწარმეო პროცესების, შესაბამისი გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირებასა და განვითარებას, ასევე ასრულებს ერთგვარ საგანმანათლებლო ფუნქციას, კერძოდ პერმანენტულად ამუშავებს და ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს მეწარმეობის მდგრადი განვითარების მხარდასაჭერად.

მეწარმეობის სახელმწიფოსმიერი რეგულირება ეკონომიკური, სოციალური, საორგანიზაციო, სამართლებრივი და პოლიტიკური სისტემაა, რაც ხელს უწყობს შესაბამისი გარემოს შექმნასა და თანამედროვე მეწარმეობის განვითარებას.¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიტერატურაში გამოყოფებ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციებს, ესენია:

- ქვეყანაში მართლწერიგის უზრუნველყოფა, რომლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს, მათ შორის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება;

- საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის ბაზრის მონაწილეობა მიერ საყოველთაოდ მიღებული წესების გარანტირებული და უპირობო შესრულება;

- ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის, განსაკუთრებით სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა და შენახვა.²

კონკურენტული საბაზრო სისტემის მოქმედება და ცვლილებისადმი მისი ადაპტაციის უნარი საოცარ და მნიშვნელოვან ერთიანობას ქმნის – კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების სიმბიოზი. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლის, აღფრედ მიუღრის თეორიულ შეხედულებათა პრაქტიკულად განმახორციელებელმა, გერმანელმა ეკონომისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ლუდვიგ ერპარდმა თავის ნაშრომში “კეთილდღეობა ყველასათვის” (1956 წ.). წარმოადგინა მეტად საინტერესო თეზისი: “სახელმწიფომ მეწარმეს უნდა შეუქმნას აუცილებელი პირობები წარმოების განვითარებისათვის, სხვა მხრივ ის არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთან, საკუთრება ავალდებულებს მეწარმეს

¹Хоскинг А. Курс предпринимательства: учебник. М.: Банки и биржи, 2003. С.28-30.

²თ. მიმინოშვილი

მის გამოყენებას, ის უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ კეთილდღეობას”¹. აღნიშნული თეზისი დღესაც აქტუალურია. დღემდე ქვეყნების უმრავლესობა სახელმწიფოს მიერ მეწარმეობის რეგულირების “ოქროს შუალედის” ძიებაშია.

ეკონომიკის განვითარების დონისა და პირობების, ასევე, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით, მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირება სხვადასხვა მეთოდით ხორციელდება. ამ თვალსაზრისით უმთავრესია რეგულირების ფარგლების გონივრული დაგენა. აღნიშნულის მაგალითთა კეიინზიანიზმის გპოქა.² ბრიტანების ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეიინზი ქადაგებდა ინტერვენციულ სამთავრობო პოლიტიკას, რომლითაც მთავრობას ფისკალური და მონეტარული ზომების გამოყენებით ეკონომიკური ვარდნის, დეპრესიისა და ბუმის უარყოფითი უფექტების შემსუბუქება შეეძლო. საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის კეიინზი მიზანშეწონილად თვლიდა სახელმწიფოს აქტიურად ჩარევას ანუ ეკონომიკის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. იგი მიიჩნევდა, რომ სრული დასაქმების მიღწევა, ასევე უმუშევრობისა და კრიზისების ლიკვიდაცია სწორედ ამ გზით იყო შესაძლებელი.³ კეიინზმა უარყო კაპიტალისტური მეურნეობის თვითრეგულირება, რის საფუძველზეც აშშ-ის პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა ამერიკას “ახალი კურსი” შესთავაზა, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკის ყველა სფეროში.⁴

ამავე პერიოდში გერმანიაში კარტელები იძულებით შექმნეს. ინგლისში პრიორიტეტი მიენიჭა სოფლის მეურნეობის განვითარებას. ინგლისის მთავრობამ კონტროლი დააწესა ხელვასსა და მოსახლეობის სხვა შემოსავლებზე. საფრანგეთის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია „ჩამორჩენილ” საწარმოთა სახელმწიფოს მიერ სუბსიდირება. სახელმწიფო სექტორი განსაკუთრებით გაფართოვდა ომის შემდგომ პერიოდში. საფრანგეთის მთავრობამ ქვანახშირის, ენერგეტიკული მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის ნაციონალიზაცია განახორციელდა. ამავე პერიოდში ავსტრიაში სახელმწიფოს ხელში გადავიდა მძიმე მრეწველობის დარგები. იტალიაში ჩამოყალიბდა ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის მობილური სისტემა.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას ხელი შეუწყო მსოფლიო ომებმა და, შესაბამისად, ეკონომიკის მილიტარიზაციამ. ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების მასშტაბები მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. XX საუკუნის 70-იანი წლების II ნახევრიდან დასავლეთის ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჭარბად ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა. „სახელმწიფო ინტერვენცია” გამოვლინდა ინფლაციური პროცესების გაძლიერებაში, სა-

¹ „ლუდვიგ ერპარდს სჯერა, რომ საზოგადოებაში მოქმედებს პროგრესული განვითარების კანონი. ეკონომისტის და პოლიტიკოსის ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამოიცნოს ეს კანონი და ხელი კი არ შეუშალოს, არამედ, პირიქით, ხელი შეუწყოს მის წარმატებით განხორციელებას“. იხ. <https://diotima21.wordpress.com/2018/03/25/ლუდვიგ-ერპარდის-ეკონომიკი/>.

² ჯონ მეინარდ კეიინზი – ბრიტანების ეკონომისტი, რომლის იდეებმა უმნიშვნელოვანები გავლენა იქონია თანამედროვე ეკონომიკურ და პოლიტიკურ თეორიაზე, ასევე მრავალი მთავრობის ფისკალურ პოლიტიკაზე.

³ https://ka.wikipedia.org/wiki/ჯონ_–მეინარდ_–კეიინზი.

⁴ კეიინზიანიზმი XX საუკუნის 30-იანი წლებში კოცელდება მთელს ევროპაში. XX საუკუნის 70-იან წლებში მთელს მსოფლიოში თავი იჩინა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჭარბად ჩარევის უარყოფითმა შედეგებმა, რამაც ეკონომიკა მსოფლიო კრიზისამდე მიიყვანა.

ხელმწიფო აპარატის „გაბერვაში”, ბიუჯეტის დეფიციტში, სახელმწიფო ვალებისა და გადასახადების რეკორდულ ზრდაში.¹

XX საუკუნის 90-იან წლებში თითქმის ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში უარი ითქვა სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფოს რეგულირებაზე და განხორციელდა ე.წ. „შოკური თერაპია”, რის მიხედვითაც ეკონომიკური პროცესები უნდა განვითარებულიყო სრული თვითორეგულირების საფუძველზე. სახელმწიფოს არჩევანის თეორია (თულოკი (1967), შტიგლერი (1971), პელცმანი (1976)) რეგულირებას ხოციალურად არაეფექტურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ „მრეწველობა თვითონ აგვარებს რეგულირების საკითხს, რომლის გამოყენება ხდება მისსავე სასარგებლოდ”.

რა დოზით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში? ედგარ ფიდლერის აზრით, „შეკითხვა რომ დაუსვათ ხუთ ეკონომისტს – მიიღებთ 5 სხვადასხვა პასუხს და შეიძლება 6 განსხვავებულ მოსაზრებას, თუ ერთ-ერთს დამთავრებული აქვს პარვარდის „უნივერსიტეტი”. ბუნებრივია, რომ ეკონომიკისა და მეწარმეობის როგორც ჭარბი რეგულირება, ისე სრული დერეგულირება პრაქტიკულად გაუმართლებელია. ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ ყველაზე ეფექტურია ამ ორ მიღებას შორის „ოქროს შუალედის“ გამოყენება.

საქართველოში 2008 წლის საკანონმდებლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა მაქსიმალური დერეგულირება იყო. კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილეობის უნდა გათავისუფლებულიყვნენ ჭარბი სამართლებრივი რეგულირებისაგან და უმთავრესი საკითხები, სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით, საკუთარი ნებისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში უნდა გადაეწყვიტათ.² მართალია რეფორმის აღნიშნული მიზანი მიღწეულ იქნა, თუმცა ზოგ შემთხვევაში დერეგულირების მასშტაბებმა პრაქტიკაში უარყოფითი შედეგებიც გამოიდო.

მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოსა და მეწარმეობას შორის ურთიერთობა განსაკუთრებით ყურადსაღებია ეკონომიკური კრიზისების დროს. აშშ-სა და გერმანიის მთავრობების ანტიკრიზისული პოლიტიკა იმის მაგალითია, რომ ეკონომიკური დიბერალიზმის ისეთ კლასიკურ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა აშშ, კერძო ბიზნესს არ შეუძლია თავის დამოუკიდებლად გადარჩენა. აშშ-მა ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ფინანსური ბაზრის მიმართ გამოიყენა ინტერვენციონისტული ანტიკრიზისული დონისძიებები, კერძოდ სახელმწიფო, ფინანსთა სამინისტროს სახით, ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ბაზრის სუბიექტებს იპოთეკური ბაზრის კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ 2007 წლის შემოგომაზე იმუნინდედ ფინანსთა მინისტრ გ. პოლსონის გეგმის ფარგლებში (გეგმა ითვალისწინებდა ფინანსური სისტემის ინსტიტუტებისათვის 700 მლრდ. დოლარიანი დახმარების გაწევას) ე.წ. FHASECURE პროგრამის ამოქმედება, რომლითაც იპოთეკური დავალიანებით დატვირთული საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეებს 2008 წლის ბოლომდე მიეცათ კრედიტების რეფინანსირების შესაძლებლობა. 2008 წლის დასაწყისში, ეკონომიკური კრიზისის გადრმავების პირობებში, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედმა) გაააქტიურა მონეტარისტული პოლიტიკა და 2008 წლის 28 იანვარს მიიღო ექსტრაორდინალური გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეთის 0,75 პუნქტით ანუ წლიური 3,5 %-მდე შემცირების შესახებ. 2 დღის შემდეგ კიდევ

¹ქ. ქოქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. 2010. გვ. 28.

²ქ.ქრაშვილი. სამეწარმეო სამართალი. 2010. გვ.34.

0,5%-ით შეამცირა საპროცენტო განაკვეთი. ეს პროცესი შემდგომშიც გაგრძელდა და 2008 წლის მაისში საბაზისო საპროცენტო განაკვეთი 2%-მდე შემცირდა.¹ აღნიშნული იმაზე მიგვანიშნებს, რომ აშშ-ის მონეტარისტული ხელისუფლება ამ პერიოდში ბიზნესის გაძლიერებას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ინფლაციის ტემპების გაზრდის მუქარას. ანგიკრიზისული პოლიტიკის მთავარი ელემენტი იყო კერძო ბიზნესისათვის ფინანსური დახმარების გაწევა. 2008 წლის თებერვალში ამერიკის კონგრესმა დაამტკიცა ეკონომიკის სანაციის პროგრამა და ამ მიზნით გამოჟო 167 მლრდ. დოლარი. 117 მოლიონმა საოჯახო მეურნეობამ მიიღო საგადასახადო შეღავათი: 600 დოლარი ერთ პირზე, 1200 დოლარი ოჯახურ წყვილზე და 300 დოლარი ყოველ ბავშვზე.² ეს დახმარება ძირითადად ორიენტირებული იყო საზოგადოებრივი მოთხოვნის წახალისებაზე, რომელსაც, თავის მხრივ, უნდა გამოეწვია ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. 2008 წლის 30 ივნისს კონგრესმა დაამტკიცა ახალი კანონი – The Housing and Economic Recovery Act of 2008, რომელიც ითვალისწინებდა იპოთეკური დავალიანების მქონე ოჯახებზე 300 მლრდ. დოლარის გაცემას. ამ კანონით ფინანსთა სამინისტროს უფლება მიეცა 18 თვის მანძილზე ფინანსური კომპანიებისათვის გაეხსნა ულიმიტო საკრედიტო ხაზი. მთლიანობაში პოლსონის გეგმა ნიშნავდა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირები შეცვლას კერძო ინსტიტუტებთან მიმართებაში, დარეგულირების არატრადიციული მეთოდების გამოყენებაზე გადასცვლას.³

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის ანგრიზიზისული პროგრამა მხოლოდ ფინანსური დონისძიებებით არ შემოიფარგლებოდა და მასში გათვალისწინებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელ ღონისძიებათა ფართო წრე. კერძოდ, სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა განათლებაში, ჯანდაცვაში, სოციალურ დაზღვევაში, ინფრასტრუქტურასა და ეკოლოგიაში, მოსახლეობის ყველაზე დაუცველი კატეგორიისათვის დახმარების გაწევა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 2009 წლის ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული „ეკონომიკის აღდგენისა და რეინვესტირების“ კანონი (American Recovery and Reinvestment Act 2009), რომლის ძირითადი მიზანია მოთხოვნის სტიმულირება და ახალი სამუშაო აღილების შექმნა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კრიზისის პირობებში ეკონომიკის სტიმულირების გერმანული გეგმა, რომელიც წარადგინა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა. გეგმაში გაცხადებული იყო:

- მთავრობა შეამცირებს გადასახადებს (დაიწევს საშემოსავლო გადასახადი და 15.5%-ის ნაცვლად 14.9% გახდება);
- შემცირდება ჯანმრთელობის დაზღვევის გადასახადი (რაც ქვეყნის ბიუჯეტს წლიურად 9 მილიარდი € დაუკავშირდება);
- მთავრობა 2 წლის მანძილზე ინფრასტრუქტურისთვის 18 მლრდ. ევროს გამოყოფას გეგმავს, შეკეთდება და აღიჭურვება სკოლებისა და უნივერსიტეტების ძველი შენობები,

¹ Супян В. Кризис в США: Экономический контекст. Вестник института Кенана в России. Вып. 15. М., 2009, с. 22.

² Супян В. Кризис в США: Экономический контекст. Вестник института Кенана в России. Вып. 15. М., 2009, с. 25.

³ თ. მიმინდვილი. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის მექანიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები. სადისერტაციო ნაშრომი. 2014. გვ. 60-65.

მოწესრიგდება სარკინიგზო ხაზები და განვითარდება გაცილებით სწრაფი საინტერნეტო ქსელური კომუნიკაცია;

▪ დაგეგმილია ინვესტიცია სოციალურ სფეროშიც. ყოველი ოჯახი თითო ბავშვზე ერთჯერადად 1000 ევროს მიიღებს. გაიზრდება კერძო კომპანიების სუბსიდირება, რათა ფასიან შვებულებაში გაუშვან კრიზისის გამო დროებით დახურული საწარმოების თანამშრომლები;

▪ გერმანიის მთავრობა ქვეყნის ავტოინდუსტრიის გადასარჩენად მოქადაქებს ახალი მანქანების საყიდლადაც წაახალისებს. ყველა, ვინც 9 წელზე მეტი ხნის ავტომობილს ახლით შეცვლის მთავრობისგან 2500 ევროს ბონუსს მიიღებს.

წარმოდგენილი გეგმა გერმანიის მთავრობამ სრულად განახორციელა, რამაც უმთავრესი როლი შეასრულა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან შედარებით უმტკივნეულოდ გამოსვლის საქმეში.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობისა და ბიზნესპროცესების სხვადასხვა მეთოდით სტიმულირება ცალსახად ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას. ჩვენს პირობებში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათ შორის საგადასახადო პოლიტიკის გადახედვა. ამ თვალსაზრისით ბოლო წლებში საქართველოში არაერთი პროექტი თუ სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა, თუმცა აღნიშნულმა ვერ მოიტანა შესაბამისი შედეგი – ღონისძიებათა უმრავლესობა, უცხოური გამოცდილების „კვაზიკოპირება“ აღმოჩნდა, რამაც ვერ იმუშავა ქართულ სინამდვილეში.

სრულიად ვეთანხმები ავტორს მსჯელობაში, რომ „სახელმწიფოს კონსტრუქციული „ჩარევა“ ეკონომიკურ პროცესებში აუცილებელია, ოღონდ ერთი პირობით, თუ ეს ჩარევა იქნება დოზირებული და კვალიფიციური! საჭიროა სახელმწიფოს მონაწილეობით შეიქმნას არაკომერციული ე.წ. „ჰაბი“ – სასაქონლო ბირჟის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს:

- ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პროცესს;
- სასაქონლო და სავალუტო ნაკადების ზრდას და აქტივიზაციას;
- ლოჯისტიკის ქსელის განვითარებას;
- საზღვაო პორტების ოპტიმალურ დატვირთვას;
- საქართველოს ეკონომიკური მოდელის უნიკალურობის დამკვიდრებას“!¹

ამას გარდა, განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეკონომიკური თუ სამართლებრივი რეფორმების განხორციელებისას რეფორმის პრინციპები უნდა ეყრდნობოდეს უზოგადეს ფილოსოფიურ დირებულებებს, ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული ქვეყნის კულტურა და ეროვნული ტრადიციები, რაც, ხშირ შემთხვევაში, აკლია ჩვენს ეროვნულ კანონმდებლობასა და დაგეგმილ თუ მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ რეფორმებს.

¹<http://bfm.ge/sakhelmwifos-roli-ekonomikis-ganvitarebashi/>

ლაშა გორგაძე,
საჯარო მმართველობის დოქტორანტი

ეფარხმობის სახელმწიფოსმიერი რეგულირების პრობლემა

სტატიაში განხილულია მეწარმეობის სახელმწიფოსმიერი რეგულირების აუცილებლობის ფარგლები ზოგადად და ფინანსური კრიზისის პირობებში. წარმოდგენილია ამერიკისა და გერმანიის ანტიკრიზისული პროგრამების ანალიზი და მათი პრაქტიკული შედეგები. ავტორი სტატიაში გადმოსცემს საკუთარ პოზიციას სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორის რეგულირების გონივრული ფარგლების შესახებ, მათ შორის საქართველოში.

LASHA GORGADZE,
Doctorant of Public Administration

THE PROBLEM OF STATE REGULATION OF ENTREPRENEURSHIP

There is discussed the entrepreneurship regulation by the state and its scope of necessity within frames of general and financial crisis. There are presented analyses of anti crisis programs of Germany and USA and their practical results. The author of the article conveys his position on a reasonable scope of the private sector regulated by the state, including Georgia

ЛАША ГОРГАДЗЕ,
докторант государственного управления

ПРОБЛЕМА ГОСУДАРСТВЕННОГО РЕГУЛИРОВАНИЯ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВА

В статье рассматриваются масштабы необходимости регулирования предпринимательской деятельности в общем и в условиях финансового кризиса. В статье также представлены результаты анализа антикризисных программ США и Германии и их практические результаты. Автор в статье передает свою позицию относительно разумного объема урегулирования частного сектора со стороны государства, в том числе в Грузии.

**არის თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ეფექტიანი და აძვს თუ
არა მომავალი საქართველოში**

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ყალიბდება და ვითარდება ეროვნული კანონ-მდებლობის სხვადასხვა მიმართულება. ეს ტენდენცია საგრძნობლად შესამჩნევი და თვალშისაცემი გახდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის კუთხით, რომელშიც ბოლო დროს საკმაოდ ინტენსიურად განხორციელდა მრავალი ცვლილება, რის საფუძველზეც არა მარტო მისი ცალკეული ნორმები, არამედ მთლიანად კანონმდებლობა შეიცვალა და 2010 წლის 1 ოქტომბრიდან სამოქმედოდ შემოღებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი.

აღნიშნული კოდექსით, მასში არსებული ბევრი ნაკლოვანებისა და საპროცესო-სამართლებრივი ხარვეზის მიუხედავად, შემოთავაზებულ იქნა ახალი ნორმები, რომელთა შორის საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა, რაც ახალი რეალობაა თანამედროვე ქართულ სინამდვილეში.

თუმცა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მცდელობა ჯერ კიდევ 1917–1921 წელს, პირველი რესპუბლიკის დროს იყო, რაც მაშინ კონსტიტუციითაც კი დაკანონდა, მაგრამ ეს ინსტიტუტი სრულფასოვნად არ ამოქმედდა, რადგან რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა.¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონ-მდებლობაში შესული ცვლილებებით განისაზღვრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება და საბოლოოდ 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დაიმკვიდრა თავისი ადგილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, რაც დიდი ხანია მოქმედებს როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური სამართლის სისტემის ბევრ ქვეყნაში.

როგორც წესი, ზოგადად კანონმდებლობაში ახალი ინსტიტუტის შემოღებას ყოველთვის ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგებებიც, ხშირია მათ გარშემო აზრთა სხვადასხვაობა.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებასაც ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში თავიდანვე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა როგორც საზოგადოების, ისე მეცნიერიულისტობის შორის. ერთი ნაწილი დადებითად აფასებდა ამ ცვლილებებს, მეორე, საკმაოდ დიდი ნაწილი კი ამ ინსტიტუტის უარყოფით ასპექტებსა და მის არაეფუქტიანობაზე მიუთითებდა. საზოგადოებაში მისი შემოღების შემდეგ გაჩნდა ადამიანთა ჯგუფები, რომელიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ეჭვის თვალით უყურებდნენ და დიდ მომავალს არ უწინასწარმეტყველებდნენ.

¹ ი. აბაშიძე. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში. ქურნალი „ცხოვრება და კანონი“, №1(25), 2014 წ. გვ. 39.

არა მარტო ჩვენთან, არამედ საერთო სამართლის ქვეყნებშიც, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უამრავი მხარდაჭერი პყავს და ეს ინსტიტუტი უკვე დიდი ხანია მოქმედებს, პყავს მოწინააღმდეგენიც. ისინი არგუმენტად იშველიებენ მსაჯულთა არაპროფესიონალიზმს, მათი აზრით ნაფიც მსაჯულთა პროცესი ნელი და მოუქნელია.¹

ქართველი მეცნიერი, პროფესორი მ. უგრეხელიძე კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას და აღნიშნავს, რომ ზოგადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავის დროზე უაღრესად პროგრესული მოვლენა იყო, მან თავისი დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ ბოლო ხანებში გარკვეულმა შედეგებმა აჩვენა, რომ ეს ინსტიტუტი პრაქტიკულად აღარ მუშაობს და ერთგვარ დაბრკოლებადაც კი იქცა მართლმსაჯულების განხორციელების გზაზე. მასვე მიაჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძალიან რთული წარმონაქმნია და ხალხმა ნაკლებად იცის.²

მისი აზრით, არაკვალიფიციური პირები ვერ შეძლებენ იმსჯელონ იურიდიული იმპერატივებით და ამით მოსამართლის როლსაც დააკინებენ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება ნიშნავს ორი სასამართლოს ერთი ქვედის ქვეშ, ერთი სახურავის ქვეშ არსებობას. ერთია ფაქტების დადგენის სასამართლო და ამ ფაქტების დამდგენი ნაფიცი მსაჯულები, მეორე – სასჯელის ნორმების შემფარდებული სასამართლო და ეს არის მოსამართლე. ასევე აღნიშნავს, რომ ამ ინსტიტუტს ახლა თავად ის ქვეყნებიც ეწინააღმდეგება, კერძოდ დიდი ბრიტანეთი, აშშ, სადაც ეს ინსტიტუტი შეიქმნა.³

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ასევე კონსტიტუციონალისტმა, აკადემიკოსმა ჯ. ხეცურიანმა. მისი აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ თავისი საქმე გააკეთა შუა საუკუნეებში, ამჟამად ის მოძველებული ინსტიტუტია, რაც ასევე დაწუნებულია იმ ქვეყნებშიც, სადაც თავდაპირველად დაინერგა. მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში კი ეს ინსტიტუტი საერთოდ გაუქმებულია. თვლის, რომ ეს არის არაეფექტურიანი ინსტიტუტი, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა ართულებს სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცედურას, დროში აფერხებს საქმის განხილვას, მსაჯულები არაპროფესიონალები არიან, რომლებსაც არ აქვთ მტკიცებულებების სათანადო აღქმა, მათ საქმიანობაში მოქმედებს ემოციური და ფსიქოლოგიური მომენტი, გამოირჩევიან ლოიალობით, რის გამოც ხშირია უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა.

რაც შეეხება საქართველოში ამ ინსტიტუტის დანერგვას, მისი მოსაზრებით საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირერიცხოვანი, ძნელი იქნება და არც არის საჭირო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება ჩვენი მენტალობის, ყოფისა და ცხოვრების სხვადასხვა თავისებურების გამო. მიაჩნია, რომ საქმე უნდა განიხილოს პროფესიონალმა, რომელიც მოწოდებით მოსამართლეა და ევალება ამის გაკეთება.⁴

რა თქმა უნდა, ზოგადად კანონმდებლობაში ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის გამოჩენას იმედის თვალით უნდა შევხედოთ, უნდა დაგაკვირდეთ, როგორ დაიმკვიდრებს ის ადგილს როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში და რამდენად მისა-

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია. თბ., 2010 წ, გვ. 8.

² მ. უგრეხელიძე. „გვინდა ახლა ჩვენ ეს საქართველოში“. გაზეოთ „ალია“, №72, 15-19 ივლისი, 2010 წ.

³ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ავ-კარგი <http://www.radiotavisupleba.ge/>

⁴ <https://emc.org.ge/author/emcrightspr/page/62/>; <http://www.interpressnews.ge/ge/samartali>

დებია საზოგადოებისათვის, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან მიმართებაში შეიძლება ითქვას, რომ მისი შემოღებიდან საკმაოდ დიდი ხანი გავიდა და ვფიქრობ ამ ინსტიტუტმა სრულყოფილად ვერ დაიმკიდრა ადგილი ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, მისი საქმიანობა არაეფექტურია, ჩნდება კითხვები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომავლის შესახებ.

ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ არაერთგვაროვანია საზოგადოების განწყობა ამ სასამართლოს მიმართ, რადგან ეს ინსტიტუტი 2010 წლიდან მოქმედებს და მის საკანონმდებლო ხარვეზებზე საკმაოდ ხშირად საუბრობენ.

თუ რამდენად გაამართლა ამ ინსტიტუტმა ქართულ რეალობაში, ეს თემა დღეს ისევ აქტუალურია და სამწუხაროა, რომ, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ფაქტობრივად ვერ იმუშავა.

ჩემი აზრით, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბევრი ნაკლოვანება და უარყოფითი ასპექტი აქვს როგორც საკანონმდებლო რეგულირების, ისე შემდგომი ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩამოყალიბებისა და შემდგომი საქმიანობის უარყოფით ასპექტებში ბევრი ფაქტორი მოისაზრება. მათგან აღნიშნულ სტატიაში მკითხველის ყურადღება გვინდა მიგაბყროთ იმ ძირითად უარყოფით გარემოებებზე, რაც ზოგადად ამ ინსტიტუტს ახასიათებს და საქართველოს სინამდვილეში მისი შემოღების მიზანშეუწოდობასა და შემდგომ უპერსპექტივობაზე მიუთითებს.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად არა მარტო საქართველოში, არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც ეს ინსტიტუტი ფუნქციონირებს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არაეფექტიანია და მისი როლი შესუსტებულია. აშკარად შეიმჩნევა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში განხილულ საქმეთა მკვეთრი შემცირების ტენდენცია, განსაკუთრებით ინგლისში, აშშ-ში, საფრანგეთში და სხვაგან. მთელ მსოფლიოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტურობას სკეპტიციზმით უკურებენ. ბევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვნად შეამცირა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის დიაპაზონი, ზოგიერთ ქვეყანაში ეს ინსტიტუტი საერთოდ გაუქმდა, ზოგან კი მას მხოლოდ საკუთარი წარსულისა და სამართლებრივი ტრადიციებისადმი ერთგულების ნიშნად მხოლოდ სიმბოლურად ინარჩუნებენ.

მაგალითად, ინგლისშიც კი, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი იყო, ამჟამად მისი როლი საკმაოდ სუსტია, ძირითადად მათი არაპროფესიონალიზმის გამო. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულმა საქმეებმა 5% ნაკლები შეადგინა. აშშ-ში კი მათი მონაწილეობით განხილულ საქმეთა კუთრი წილი 1%-დან 10%-მდე მერყეობს, ხოლო ზოგიერთ შტატში ასეთ საქმეთა რაოდენობა 1-დან 2%-მდე დაეცა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ამ ქვეყნების ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები შეცდომათა რაოდენობის მნიშვნელოვანი წყაროა, ვერდიქტების 60–65% ხშირად უმძიმესი და გამოუსწორებული შედეგის მომტანი.¹

¹ К. Ф. Гуценко, А. В. Головко, Б. А. Филимонов. Уголовный процесс западных государств. Москва. 2002 г.стр.78-79. 261. 267.

რა თქმა უნდა, აღნიშნული გარემოება თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ზოგადად, ისე საქართველოს სინამდვილეში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე, მის შემდგომ ეფექტიანობასა და განვითარებაზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამდე და შემდეგაც იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერებმა არაერთი მოსაზრება გამოთქვეს იმის შესახებ, თუ რამდენად გაამართლებდა ეს ინსტიტუტი საქართველოში და როგორ ამართლებს იგი თავის დანიშნულებასა და ფუნქციებს მისი შემოღების შემდეგ. ვეთანხმები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეს ინსტიტუტი არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, განსაკუთრებით იმ ფორმულირებით, როგორც ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია მოცემული¹.

მიმაჩნია, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი აკნინებს მოსამართლეთა როლს მართლმსაჯულების განხორციელებაში. უნდა ითქვას, რომ საერთოდ სასამართლო ურთულესი სისტემაა, რომელიც მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული არაპროფესიონალი, რიგით მოქალაქეებისაგან. მაგრამ, როცა საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იხილავს, გამოდის რომ არაიურისტი, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი იურიდიული განათლება, კანონმდებლობის სათანადო ცოდნა და კვალიფიკაცია ანუ, სამართლებრივი თვალსაზრისით, სავსებით უცოდინარია, წყვეტს პირის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის საკითხს და ვერდიქტი გამოაქვს, ხოლო ამ დროს მოსამართლე, რომელიც კვალიფიციური იურისტია, მხოლოდ სასჯელის შეფარდებით უნდა დაკავდეს.

ალბათ დამეთანხმება საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში პრაქტიკულად ნამუშევარი და გამოცდილების მქონე ყველა პირი, თუ რაოდენ როტულია პირის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტა, მტკიცებულებათა გამოკვლევა და შეფასება, რაც ხშირად მაღალი თეორიული მომზადების, გამოცდილ იურისტებს და მაღალი კვალიფიკაციის პრაქტიკოს მუშაკებსაც კი უჭირთ.

სწორედ არაპროფესიონალიზმისა და კანონმდებლობის არცოდნის გამოა, რომ ვერდიქტის გამოტანის დროს ნაფიცი მსაჯულები ძირითადად ხელმძღვანელობენ არა კანონმდებლობით, არამედ პირადი სიმპათიებით, ემოციებით, ზერელე მოსაზრებით და სხვა გარემოებით.

ნაფიც მსაჯულთა პრაქტიკულმა საქმიანობამ ნათლად წარმოაჩინა, რომ საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის. სამართალწარმოების პროცესში მონაწილე პროფესიონალი პირები, კურძოდ პროკურორი, ადვოკატი, ზოგჯერ თავიანთი ორატორული და ემოციური გამოსვლებით, მიზანმიმართულად მოქმედებენ ნაფიც მსაჯულთა ადამიანურ განცდებსა და გრძნობებზე (რასაც ხშირად ახერხებენ კიდევაც), ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენენ მათზე გადაწყვეტილების მიღებისას, რასაც მოჰყვება ხოლმე როგორც უდანაშაულო პირის მსჯავრდება, ისე დამნაშავე პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება.

ამ თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ საქართველო თავისი მოცულობით იმდენად პატარა ქვეყანაა, რომ თითქმის ყველა ერთმანეთის ნათესავი და ნაცნობ-მეგობარია. აქედან გამომ-

¹ <https://emc.org.ge/author/emcrightspr/page/62/>; <http://www.interpressnews.ge/ge/samartali>

დინარე, ძნელია ნაფიც მსაჯულად შეარჩიო ისეთი ადამიანი, რომელიც დაინტერესებული არ იქნება კონკრეტული სისხლის სამართლის საქმით და რადაც ფორმით ზეგავლენას არ მოახდენს სხვა ნაფიც მსაჯულებზე გადაწყვეტილების მიღებისას.¹

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მეცნიერებში, ამ დარგის სპეციალისტებში თავიდანვე იყო გავრცელებული მოსაზრება, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები, რომ, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში ვერ გაამართლებდა, რადგან, ზოგადად, ჩვენთვის დამახასიათებელია ტოლერანტობა, დაჩაგრულის შეწყნარება, არავის უნდა ვინმეს წყენინება, მის წინააღმდეგ წასვლა, ცუდის გაკეთება და სხვა.

ვთვლი, რომ ნაფიც მსაჯულთა მოვალეობის შესრულება სახელმწიფოსა და მართლმსაჯულების წინაშე საპატიო ვალია, მაგრამ, ჩვენი მენტალიტებიდან და ასეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ხასიათიდან გამომდინარე, ვფიქრობ საქართველოს მოქალაქე ნაკლებად აიღებს საკუთარ თავზე იმხელა პასუხისმგებლობას, რომ ნაფიცი მსაჯული გახდეს და მძიმე დანაშაულის საქმეზე დამნაშავის ბედი გადაწყვიტოს. ზოგადად, ქართულ ხასიათში არ ჯდება მსაჯულის როლი.

ერთგვარი პირველი სერიოზული ტესტი, თუ რამდენად გაამართლებდა ჩვენს რეალობაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი და შეძლებდა თუ არა იგი დაკისრებული მოვალეობის ჯეროვან და ეფექტურად შესრულებას იყო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ლაშა მასარაძის განზრას მკაფიოდობის საქმე, რომელზედაც თბილისის საქალაქო სასამართლოში 2015 წლის 5 ივნისს ნაფიცმა მსაჯულებმა პირველ ეტაპზე ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის მიმართ ვერდიქტი ვერ მიიღეს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ სათათბიროდ 13 საათი გამოიყენა, თუმცა კენჭისყრისას ვერდიქტის მისაღებად საჭირო ხმათა კანონით განსაზღვრული რაოდენობა ვერ იქნა მიღწეული, რის გამოც სასამართლომ, საქართველოს სსს კოდექსის 261-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეს შემადგენლობა დაითხოვა და ახალი შემადგენლობა დანიშნა².

ვეთანხმები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ იურიდიულ დიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გარკვეულად ხელს უწყობს კანონისადმი, სასამართლო ხელისუფლებისადმი პატივისცემის გაზრდას, დემოკრატიული ფასეულობებისა და სამართლებრივი კულტურის, აზროვნების ამაღლებას, საზოგადოების ჩაბმას მართლმსაჯულების განხორციელებაში, მაგრამ როგორც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმეთა ანალიზიდან ირკვევა და ცალკეული ავტორები ფიქრობენ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები მძიმედ, დროში გაწელილად ახერხებენ ეფექტური მართლმსაჯულების აღსრულებას და საქმეთა განხილვას, რაც თავისთავად არღვევს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს.³ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნაფიც მსაჯულთა პროცესი ძვირია, რაც დაკავშირებულია უამრავ მატერიალურ-ტექნიკურ პრობლემასთან.

¹ ი. აბაშიძე. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სისხლის სამართლის პროცესში. ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, №1(25), 2014 წ. გვ. 40.

² http://court.ge/geo_news_თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდი.

³ ი. გაბისონია. ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები. თბ. 2008, გვ. 93-94.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს ნაფიცი მსაჯულები შედარებით პასიურები არიან, ვიდრე პროფესიონალი მოსამართლები, რასაც გარკვეულად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მათ არ გააჩნიათ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა და შესაბამისი კომპეტენცია. აღნიშნულს თან ახლავს სასამართლო განხილვის პროცესში წარმოშობილი უამრავი გაურკვევები საკითხში, ხშირად კი შეცდომები მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში.

სასამართლო სხდომაზე საქმის გარემოებაში დეტალურად გარკვევას ხელს უშლის არა მარტო ნაფიცი მსაჯულების მიერ იურიდიული განათლების არქონა და არაპროფესიონალიზმი, არამედ ის გარემოებაც, რომ მათ არ გააჩნიათ მტკიცებულებათა გამოკვლეა-შეფასების ქმედითი საპროცესო-სამართლებრივი მექანიზმი. ის ფაქტი, რომ სასამართლო სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები სხდომის თავმჯდომარის გარეშე, როცა ეს უკანასკნელი საერთოდ არ აგებს პასუხს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე, ვერ სვამენ შეკითხვებს, ვერ მონაწილეობენ მტკიცებულებათა წრის განსაზღვრასა და დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტაში, ეს ერთ-გვარად ეჭვება აყენებს მათ მიერ ობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

საქართველოს სსს კოდექსის 264-ე – 265-ე მუხლის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრაში, კერძოდ იღებენ რეკომენდაციას, რომლის საფუძველზე მოსამართლეს მოეთხოვება სასჯელის დანიშვნა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული მაქსიმალური და მინიმალური ზღვრების ფარგლებში, მათ არ გააჩნიათ დანიშნული სასჯელის ზღვრის დასაბუთების ვალდებულება, რასაც ევროპული სტანდარტები მოითხოვს.

ამასთან დაკავშირებით, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ ევროპის საბჭოს მიერ გაკეთებულ ერთობლივ მოსაზრებაში გვირჩევენ საქართველოს სსს კოდექსში გადაიხედოს ის ნორმა და ფუნქცია, რომელიც მსაჯულებს აკისრიათ სასჯელის შეფარდების პროცესში, კერძოდ გვთავაზობენ სასჯელის შეფარდების მთლიანი უფლებამოსილების მოსამართლისათვის მინიჭებას ან მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების ერთობლივ მონაწილეობას სასჯელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და დანიშნული სასჯელის დასაბუთებაზე მთლიანი პასუხისმგებლობის მოსამართლისათვის დაკისრებას.¹

საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების მომხრეთა მიერ ამ ინსტიტუტის შემოღების მიზანშეწონილობაზე იურიდიულ-საპროცესო ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთი მოსაზრება, არგუმენტი. მათ შორის ხაზს უსვამენ ნაფიც მსაჯულთა მაღალ პასუხისმგებლობაზე, მათ დამოკიდებლობაზე, მათზე ზეგავლენის მოხდენის შეუძლებლობაზე, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებასა და ობიექტურობაზე და სხვა.

¹ ინტერნეტგარო: <https://www.google.ge/webhp?sourceid=chrome-instant&ion> (OSCE/ODIHR და ევროპის საბჭოს ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. ვარშავა/სტრასბურგი, 2014 წ.) გვ. 16-17, უკანასკნელად გადამოწმებულია 01.11. 2017 წ.

თუმცა ამ არგუმენტების საწინააღმდეგოდ გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებებიც, რომელთა დიდ ნაწილს ვეთანხმები და აღვნიშნავ, რომ:

ჯერ ერთი, უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ნაფიც მსაჯულთა პასუხისმგებლობის არანაირ მექანიზმს არ ითვალისწინებს ან რა უნდა მოთხოვო არასპეციალისტს, როცა იცის, რომ საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხს არ აგებს, ამ გადაწყვეტილების შედეგზე ზრუნვაც ამის ადგეგატური იქნება. ამასთან, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე პროფესიონალ მოსამართლეებსაც კი უჭირთ გადაწყვეტილების მიღება და კანონიერი განაჩენის გამოტანა.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობით, კონკრეტული საქმე შემდგომ სასამართლო ინსტანციებს მაინც გაივლის, ხოლო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტი, როგორც წესი, არ საჩივრდება და გაურკვეველია რა მექანიზმით უნდა მოხდეს მათ მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება. არადა მსგავსი შეცდომის დაშვების ალბათობა და რისკი დიდია, მით უმეტეს როცა ისინი არაპროფესიონალები არიან. გამოდის, რომ პროფესიონალი მოსამართლის მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საჩივრდება და ნაფიც მსაჯულთა განაჩენი არა.

მეორეც, თუ შესაძლებელია ზეგავლენის მოხდენა პროფესიონალ და განათლებით იურისტზე – მოსამართლეზე, მაშინ რატომ არ შეიძლება იგივეს განხორციელება არაპროფესიონალი მოქალაქის – მსაჯულის მიმართ.

შემდგომ არგუმენტს და მტკიცებას, რომ მსაჯული აუცილებლად იქნება დამოუკიდებული, შეიძლება გავცეთ პასუხი, საინტერესოა რა უშლის ხელს მოსამართლეს რომ ისეთივე დამოუკიდებელი იყოს, როგორიც მსაჯულია, თუ, რა თქმა უნდა, არ არის დაშვებული რაიმე შეცდომა მოსამართლის შერჩევის დროს და როგორც პროფესიონალ მოსამართლეს, კანონმდებლობიდან გამომდინარე, გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება სამოსამართლო საქმიანობის პროცესში.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებასა და ობიექტურობას, მინდა აღვნიშნო, რომ ზოგადად დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ნაკლებად შეიცავს დასაბუთების ელემენტებს და მით უმეტეს ნაფიც მსაჯულთა მხრიდან. ფაქტობრივად მათ არაფრის დასაბუთება არ უხდებათ, არავითარ არგუმენტაციას არ იძლევიან და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე აღგენენ დამნაშავეა თუ უდანაშაულო პირი, რის გამოც მაღალია მათი მხრიდან არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის რისკი.

საერთოდ, მართლმსაჯულების განხორციელების მთავარი პირობაა მოსამართლეთა შერჩევა, მათი მომზადება და განათლება. მოსამართლეთა კორპუსის შესარჩევად, როგორც წესი, ტარდება შესაბამისი კონკურსი და ასეთ პირობებშიც კი მათი შერჩევის პროცესში ხდება გარკვეული შეცდომები.

მნელი წარმოსადგენი არ არის, რა მოხდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის შემთხვევაში, როცა, როგორც წესი, ნაფიცი მსაჯული არ შეიძლება იყოს იურისტი და, შესაბამისად, არც იურიდიული განათლება აქვს, ასევე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ყოველ

კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელია ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, რაც მართლაც ძნელია, მით უმეტეს ეს ხდება მოქალაქეთა ერთიანი სიიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მაშინ, როცა არავის იცნობ, არ იცი მისი შესაძლებლობა, ცხოვრებისეული გამოცდილება, მისი პატიოსნება, ადამიანის ბედისადმი დამოკიდებულება და სხვა ამგვარი ფაქტორები.

სტატიაში, მისი მოცულობიდან გამომდინარე, ძირითადად შევეხეთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მხოლოდ ზოგიერთ უაყოფით ასპექტს, ამ სფეროში არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც მოითხოვს სათანადო გადახედვას, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების განსჯას და გამოსწორებას.

ამრიგად, მეცნიერთა და საზოგადოების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ვერ იმუშავა, ის არაეფექტიანია. ნაფიც მსაჯულთა სახით მართლმსაჯულების განხორციელებაში არაიურისტი და არაკვალიფიციური საზოგადოების ჩართულობა ვერ იქნება შეჯიბრებითი და დემოკრატიული სასამართლო სისტემის შექმნის გარანტი, რასაც, რა თქმა უნდა, სტატიაში გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების ანალიზიდან გამომდინარე ვეთანხმები.

გვიქრობ, მოცემულ სტატიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ გადმოცემული საკანონმდებლო და პრაქტიკული საქმიანობის კუთხით არსებული ხარვეზების გათვალისწინებით ძნელია განსჯა დამკვიდრდება თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოს სინამდვილეში და რა პერსპექტივა ექნება მომავალში.

**არის თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ეჭვებიანი და აძვს თუ
არა მომავალი საქართველოში**

სტატიაში განხილულია საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობის თავისებურებები და ამ ინსტიტუტის ფუნქციონერებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

გადმოცემულია როგორც ჩვენი, ისე მეცნიერ-იურისტების მოსაზრებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობის ეფექტობის, მისი უარყოფითი ასპექტების და მათი გადაჭრის გზების, ზოგადად საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომავლის შესახებ.

GIVI ABASHIDZE,
Doctor of Law

**ON THE EFFECTIVENESS OF THE JURY'S INSTITUTION AND ITS FUTURE IN
GEORGIA**

The article deals with the peculiarities of the jury trial's work in Georgia and the problematic issues related to functioning of this institution.

There are discussed the views of both our and scholars, the effectiveness of jury trial in judicial processes, its negative aspects and ways of their solving as well as the future of the jury trial in the legislation of Georgia in general.

ГИВИ АБАШИДЗЕ,
доктор права

**ЭФФЕКТИВЕН ЛИ ИНСТИТУТ ПРИСЯЖНЫХ ЗАСЕДАТЕЛЕЙ И ИМЕЕТ ЛИ ОН
БУДУЩЕЕ В ГРУЗИИ**

В статье рассмотрены особенности деятельности суда присяжных заседателей в Грузии и проблемные вопросы, связанные с функционированием этого института.

Переданы как наши, так и соображения ученых-юристов в связи с эффективностью и недостатками, и путей их устранения в процессе осуществления правосудия судом присяжных заседателей, и о будущем этого суда в законодательном пространстве Грузии.

პრიმინილოგიის მაცნეორგაის ფარმოზოგა, განვითარება და თანამედროვე მდგრადი მდგრადი

შესავალი

მნელად თუ მოიძებნება კრიმინოლოგიის ისტორიაში ისეთი პერიოდი, თავისი მნიშვნელობით რომ შეედრებოდეს იტალიური აღმოჩინების ეპოქას. ამ ეპოქის კარიბჭესთან დგას ჩეზარე ბეკარის (1738–1794) დიადი ფიგურა, ვისი შემოქმედებაც აგვირგვინებს შუა საუკუნეების კრიმინოლოგიის განვითარებას და, იმავდროულად, ახალი დროის მაუწყებლადაც გვევლინება. საკუთრივ კრიმინოლოგიის აღმოჩინება კი უკავშირდება ჩეზარე ლომბროზოს (1835–1909) და კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა მთელ პლეადას, რომელთა გრანდიოზულმა სამეცნიერო საქმიანობამ მოკლე ხანში შეძლო შუა საუკუნოებრივ ფასეულობათა მთელი სისტემის გადაფასება და ახალი გეზი მისცა ევროპული კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის შემდეგდროინდელ განვითარებას.

მკელი რომაელები ამბობდნენ, რომ „აღმზრდელობის დასაწყისი სახელთა გამოგონებაა. ჩვენც, უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ არსებითი სახელი „კრიმინოლოგია“. კრიმინოლოგია ბერძნულ-ლათინური სიტყვებისგან შედგება. ლათინურად - Crimen, ხოლო ძველბერძნულად „krino“ „კრინო“ - ბრალდებას, ლოგო (λογία, -logy) - სწავლებას, მოძღვრებას, აზრს, ცნებას, გონებას ნიშნავს (<https://en.wikipedia.org/wiki/Criminology>). აქედან კეთდება დასკვნა, რომ „კრიმინოლოგია“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „მოძღვრებას დანაშაულის შესახებ“, ასევე იგი შეიძლება განვმარტოთ, როგორც „სწავლება ბრალის შესახებ“. კრიმინოლოგიური აზროვნება სათავეს ანტიკური ხანიდან იდებს. ამის ნათელი მაგალითია დიდი ბერძენი ფილოსოფოსების – პლატონის, არისტოტელეს, დემოკრიტეს ისტორიკოსების – პერდოტეს, თუკიდიდეს შრომები. მაგ., არისტოტელე დანაშაულობის პრეცენციის უმნიშვნელოვანების ფაქტორებად განიხილავდა სამართლიან სახელმწიფო მოწყობას, კანონების სტატუსების. კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირს არ შეიძლება ერთდროულად ორი თანამდებობა დაეკავებინა; თუკიდიდე დანაშაულად მიიჩნევდა მხოლოდ ისეთ დარღვევას, რომელიც ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე იყო ჩადენილი, მისი ეს მსჯელობა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ადამიანის ბუნება ყოველთვის მზად არის კანონის დასარღვევად. სახელმწიფო საქმეებში აღიარებდა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო თანამდებობებზე უნდა დანიშნულიყვნენ მხოლოდ პირადი დირსებებით გამორჩეული ადამიანები და არა მაღალი წოდებისადმი კუთვნილების გამო. „თუ კაცს ქვეყნის სამსახური შეუძლია, მას ამაში ხელს არ უნდა შეუშალოს სიღარიბემ, მდაბიო წარმოშობამ ან დაბალმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვიცავთ კანონებს მათ მიმართ პატივისცემის გამო, ვემორჩილებით ხელისუფლებას და კანონს, განსაკუთრებით ჩაგრულთა დასაცავად დადგენილს და დაუწერელ წესებს, რომელთა დარღვევაც სათავილოდ ითვლება (თუკიდიდე. ისტორია. თბ. 2013. გვ. 76).

კრიმინოლოგია საერთო სამართლის ქვეყნებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში კრიმინოლოგია ცნობილია, როგორც „სასამართლო კრიმინოლოგია“ და იგი, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულის გამოძიების, მტკიცებულებათა გამოკვლევის, დანაშაულის დროულად გახსნისა და დანაშაულის აღკვეთის ამოცანებს ემსახურება. კრიმინოლოგია, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგი, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა 1936 წელს, როდესაც დიდმა იურისტმა და კრიმინოლოგმა ლუკა მაიმ გამოაქვეყნა ნაშრომი „დანაშაულის აღკვეთა“. ამერიკელი კრიმინოლოგი ო. კოლმერი კრიმინოლოგიის დარგად განიხილავდა კრიმინალისტის. ამიტომ, გაუგებარია თუ რას ეურდნობა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამერიკული კრიმინოლოგია სოციოლოგიის დარგია. ამერიკულ კრიმინოლოგიაში ხაზგასმულია, რომ კრიმინოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა არის დანაშაულის შესწავლა, მისი ინტერპრეტაცია და ახსნა. ამავე დროს ამერიკული კრიმინოლოგია, განსხვავებით ევროპული, რუსული და ქართული კრიმინოლოგიისაგან, თავის ამოცანად კონკრეტულ დანაშაულთა გამოძიებასაც ასახელებს. აღნიშნული ქვეყნების სამეცნიერო და პრაქტიკოს იურისტთა წრეებში მიჩნეულია, რომ კრიმინოლოგია ეხება კანონის სოციალურ და ფუნქციურ წარმოშობას, ეტიმოლოგიას და კრიმინალური საქციელის მაგალითებს, საზოგადოების რეაგირებას დანაშაულზე და ქცევის კონტროლს. სხვა სიტყვებით, კრიმინოლოგია არის კანონების შექმნის, კანონის დარღვევის პრევენციის და კანონდამრღვევთა კონტროლის მეცნიერული შესწავლა. კრიმინოლოგია პრაქტიკული საქმიანობა, რასაც ამტკიცებს კანონმდებლის, სამართლდამცავის, პროკურორის, ადგოკატის, სასამართლოს, გამოსახურებელი დაწესებულების თანამშრომელთა ყოველდღიური საქმიანობა. აქედან გამომდინარე, კრიმინოლოგიის არსი დიდია; ის შეიცავს ნებისმიერ სფეროს, რომელიც გულისხმობს დანაშაულობისა და დანაშაულობის შესწავლას და ამ საკითხებს განიხილავს ნებისმიერი ხელმისაწვდომი კუთხიდან. კრიმინოლოგია არის გამოყენებითი მეცნიერება, რომელშიც შედის დანაშაულობისა და დამნაშავის სამეცნიერო შესწავლა საგამოძიებო და სამართლებრივი საკითხების მოგვარების მიზნით (უეინ ა. პეტერიკი. ბრენტ ე. ტიორვი. კლერ ფერგუსონი. სასამართლო კრიმინოლოგია. თბ. გვ.5-41).

კრიმინოლოგია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, ისტორიულად, კრიმინოლოგია ჩამოყალიბდა, როგორც მეცნიერება დანაშაულობის შესახებ და განისაზღვრა, როგორც „მოძღვრება დანაშაულობის შესახებ“. ტერმინი „კრიმინოლოგია“ ევროპაში 1879 წელს პირველად გამოიყენეს ფრანგმა მეცნიერმა, პარიზის ანთროპოლოგიური საზოგადოების გენერალურმა მდივანმა პაოლო ტოპინარმა და იტალიელმა იურისტმა და კრიმინოლოგმა, კრიმინოლოგიის ბიოლოგიური სკოლის წარმომადგენელმა რაფაელო გაროფალომ, რომელმაც 1885 წელს გამოსცა მონოგრაფია სახელწოდებით „კრიმინოლოგია“. კრიმინოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით XVI–XX საუკუნეების იტალიელ, გერმანელ, ინგლისელ, რუს და ქართველ მეცნიერებს: ჩეზარე ბეკარიას, ჩეზარე ლომბროზოს, ენრიკო ფერის, იოჰან ანსელმ ფოიერბახს, იერემია ბენთამს, მიხეილ გერნეტს, ბორის ფურცხვანიძეს და სხვ. მოსაზრება იმის შესახებ, რომ კრიმინოლოგია მხო-

ლოდ სოციოლოგიიდან ან სისხლის სამართლიდან იღებს სათავეს არ იქნება მართებული. კრიმინოლოგიის მეცნიერებად ჩამოყალიბებასა და განვითარებაში წვდილი შეიტანეს ისეთმა მეცნიერებებმა, როგორიცაა: თეოლოგია, ფილოსოფია, ისტორია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, მედიცინა, ბიოლოგია, გენეტიკა, ენდოკრინოლოგია, ნეიროქიმია, პოლიტიკური მეცნიერებები, ეკონომიკა, სოციალური საქმე, იურისპრუდენცია, გეოგრაფია, ურბანული დაგეგმარება, არქიტექტურა და სტატისტიკა (უილიამსი 1995, გვ 179). კრიმინოლოგიური კვლევების დასკვნებს დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური პროცესების გარდაქმნაში. კრიმინოლოგიის ამოცანაა განსაზღვროს ისეთი ნებატიური მოვლენა, როგორიცაა დანაშაულობა და შესთავაზოს სახელმწიფოსა და საზოგადოებას დანაშაულობის პრევენციის კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება საზოგადოების მხრიდან ნიშანი იქნება იმისა, რომ საზოგადოება მზადაა ცივილური და პუმანური მეთოდებით მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ ურთიერთობათა ისეთი პროგრესული გარდაქმნებისათვის, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მაღალ სტანდარტებს შეესაბამება.

კრიმინოლოგია საქართველოში

საქართველოში კრიმინოლოგია, სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის, ახალი დარგია. საბჭოთა პერიოდში მეცნიერების მიერ იგი სისხლის სამართლის ერთ-ერთ განუყოფელებად იყო მიჩნეული და მის განვითარებას მწირი ყურადღება ეთმობოდა. ამ მხრივ საყურადღებოა დიდი ქართველი მეცნიერის, სისხლის სამართლის მსოფლიო დონის აღიარებული მკვლევარის, პროფესორ გურამ ნაჭყებიას შეხედულება კრიმინოლოგიაზე. კერძოდ, მეცნიერი განმარტავს, რომ „კრიმინოლოგია სიტყვასიტყვით ნიშანავს მოძღვებას დანაშაულზე, ხოლო შინაარსობრივად აღნიშნავს მეცნიერებას დანაშაულთა მიზეზებისა და თავიდან აცილების დონისძიებათა შესახებ; კრიმინოლოგია „ფაქტის“ მეცნიერებაა და არა „ნორმის“, კრიმინოლოგიას თავის საგანთან მისასვლელად წინ არაფერი უძღვის, გარდა ფილოსოფიური და ლოგიკური საფუძვლებისა. ამიტომ, ტერმინ „კრიმინოლოგის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა იმ სინამდვილის მონიშვნა, რომელსაც კრიმინოლოგია შეისწავლის (გურამ ნაჭყებია. „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“. თბ. 2002. გვ.3). შესაბამისად, საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ (1990 წელი) ქართული კრიმინოლოგია ყოველგვარი მეთოდოლოგიური საფუძვლების გარეშე აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, გამოცდილება და ტრადიციები ამ მხრივ არ არსებობს. „...იმსანად კრიმინოლოგია უგულებელყოფილი იყო, რის გამოც სისხლის სამართლის მეცნიერების საგანში შეტანილი იყო დანაშაულობა და მისი მიზეზები“ (გ. ნაჭყებია. „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი. თბ. 1998. გვ. 28).

საქართველოში კრიმინოლოგიის მეცნიერების აღორძინება 21-ე საუკუნის დამდგენდან იწყება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 120/1 ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ საფუძვლზე კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას, მიენიჭა უპირატესობა და აღიარებულ იქნა სამართლის მიმართულების სისხლის სამართლის სპეციალობის ქვედარგად (სპეციალიზაციად), რაც დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ კრიმინოლოგიის მეცნიერების აღორძინებისა და განვითა-

რების გზაზე. დღეისათვის ქართული კრიმინოლოგიის მეცნიერებაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მისი საგანი – დანაშაულობა და მიზანი – დანაშაულობის სოციალური კონტროლი. ქართული კრიმინოლოგიის დანაშაულობის ცნებაში საერთო ადგილი უკავია, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულებს და, მეორე მხრივ, ისეთ განსაკუთრებით საშიშ ასოციალურ მოვლენებს, როგორიც არის ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშები და თვითმკვლელობა. მეცნიერული კვლევები ამ მოვლენათა გამომწვევი მიზეზებისა და მათი სოციალური კონტროლის დონისძიებათა შემუშავების კუთხით მიმდინარეობს. დანაშაულობის გამომწვევ მიზეზთაგან აღსანიშნავია სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, საკანონმდებლო და ზნეობის დისფუნქციის ფაქტორები. საზღვარგარეთის კრიმინოლოგიის ისტორიის ანალიზი საფუძველს იძლევა დავადგინოთ, რომ საზოგადოების მაღალი ეკონომიკური დონე, თუ საზოგადოებაში არ არის შენარჩუნებული ისტორიული ტრადიციები და მაღალი მორალური პრინციპები, არ აბრკოლებს დანაშაულთა ზრდას. ამიტომ, დანაშაულობათა პრევენციის კუთხით უმნიშვნელოვანესი ყურადღება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, განათლებისა და ზნეობრივი აღზრდის საკითხებს ეთმობა. ამ მხრივ, კრიმინოლოგისა და კრიმინოლოგიური კვლევების განხორციელებამ საქართველოში მოიტანა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა, დაინერგა განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტები, საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა სისხლის საპროცესო და სასჯელადსრულების კანონმდებლობაში.

კრიმინოლოგიის საგანი

თანამედროვე კრიმინოლოგიის საგანი მოიცავს 4 მთავარ მოვლენას: 1. დანაშაულობას, როგორც სოციოლოგიურ-სამართლებრივ მოვლენას, რომელიც შედგება ყველა ჩადენილი დანაშაულის რაოდენობისაგან განსაზღვრულ სახელმწიფოში, განსაზღვრულ დროის მონაკვეთში და ისეთ ასოციალურ მოვლენებს, რომლებიც საზოგადოებრივი საშიშროების უმაღლესი ხარისხით გამოიჩინა: ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, აზარტული თამაშები და თვითმკვლელობა; 2. დამნაშავის პიროვნებას – შევისწავლით დანაშაულის ჩამდენი პირის სოციალურ-დემოგრაფიულ, სოციალურ-როლურ, მორალურ-ფსიქოლოგიურ თვისებებს იმ მიზნით, რომ მოვახდინოთ ეფექტური რესოციალიზაცია; 3. დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების კვლევას (კრიმინოგენურ დეტერმინანტებს) და 4. დანაშაულობის სოციალურ კონტროლს, რომელიც მოიცავს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ზომების სისტემას, მიმართულს დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოხვრაზე, ნეიტრალიზებასა და შესუსტებაზე. კრიმინოლოგიის საგანში შემავალი ყველა აღნიშნული კომპონენტი ერთმანეთთანაა დაბავშირებული. პირველი სამი მოვლენის შესწავლა და კვლევა გვჭირდება იმისათვის, რომ მოვახდინოთ მეოთხე მოვლენის – დანაშაულობის პრევენცია.

კრიმინოლოგიის სისტემა

კრიმინოლოგია იყოფა ზოგად და კერძო ნაწილებად. ზოგადი ნაწილი შეისწავლის კრიმინოლოგიის ცნებას, საგანს, მიზანსა და ამოცანებს, კრიმინოლოგიის კვლევის მეთო-

დებს, კრიმინოლოგიურ თეორიებს, დამნაშავის პიროვნებას, ვიქტიმოლოგიას, სასჯელის ცნებას, დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ცნებას, კრიმინოლოგიურ პოლიტიკასა და დანაშაულობის პრევენციას. კერძო ნაწილი შეისწავლის: ტერორიზმის ცნებას, მიზეზებსა და პრევენციას, კორუფციულ დანაშაულობას, ძალადობრივ დანაშაულობას, არასრულწლოვანთა დანაშაულობას, ორგანიზებულ და პროფესიულ დანაშაულობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ როგორც ზოგადი ნაწილის, ისე კერძო ნაწილის შესწავლის სფერო არ შეიძლება რომ ზღვარდადებული იყოს, დასაშვებია მათში შემავალ საკითხთა სპექტრის გაფართოება. ამოსავალი წერტილი აქ არის თემის აქტუალობა კონკრეტულ, მოცემულ პერიოდში და მისი კავშირი დანაშაულობასთან.

კრიმინოლოგიის ამოცანები

თანამედროვე კრიმინოლოგიის ამოცანები 5 მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. შემეცნებითი, რაც გულისხმობს კრიმინოლოგიის საგანში შემავალი მოვლენების შესახებ მუდმივ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის კვლევას, ანალიზსა და სრულყოფას. თავად სიტყვა „შემეცნება“ მომდინარეობს ლათ. „Cognare“-დან და ნიშნავს ცოდნას, ცოდნის შეძენის პროცესს, რომელიც მოიცავს აზროვნებას, გახსენებას, ყურადღების მიქცევას, ასევე როგორც კოგნიტურ შინაარსებს, ისე პროცესებს. შინაარსებში მოიაზრება ცნებები, ფაქტები, წესები, მოგონებები, ე.ო. ის, რაც ინდივიდმა იცის. კოგნიტური პროცესებით კი ინდივიდი მანიპულირებს იმ ფსიქიკური შინაარსებით, რომლებიც გარე სამყაროს ინტერპრეტაციისა და ცხოვრების ეული დილემის დროს რაციონალური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევს. ტერმინი „შემეცნება“ აერთიანებს შემეცნებითი პროცესების ყველა ფორმას, მოიცავს ცნობიერების ყველა პროცესს, რომლის საშუალებითაც ცოდნის აქტულირება ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემეცნება ესაა გამოცდილება, რომელიც განსხვავდება ემოციებთან დაკავშირებული გამოცდილებისაგან;¹ 2. რეკომენდაციული. კრიმინოლოგია შეიძუშავებს მეცნიერულ რეკომენდაციებს დანაშაულობის პრევენციასა და პროგნოზირებასთან მიმართებით; 3. საექსპერტო, რაც, უპირველეს ყოვლისა, კანონმდებრივისა და კანონების კრიმინოლოგიურ ექსპერტიზებს უკავშირდება; 4. სამართლებრივი კულტურის ამაღლება საზოგადოებაში. აღნიშნული ამოცანის განხორციელებას უპირველესი მნიშვნელობა აქვს, რადგან დანაშაულობის პრევენციაში სწორედ მას ეცუთვნის გადამწყვეტი როლი. მოსახლეობამ კანონთა პატივისცემა უნდა ისწავლოს და არა მისი შიში. შიში მყოფი ადამიანი ვერაფერს შექმნის ღირებულს; 5 დანაშაულობან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა. ცნობილია, რომ ჯერ კდევ ძგ.წ. V საუკუნეში რომაელებმა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესასწავლად დელეგაცია გაგზავნეს საბერძნეთში, რათა შეესწავლათ ბერძენთა მხრიდან დანაშაულობასთან ბრძოლის მეთოდები. აღნიშნული ამოცანის მისაღწევად მნიშვნელოვანია სისტემატური, აქტიური მონაწილეობის მიღება საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში, კრიმინოლოგიის თემატიკაზე საქართველოში რეგულარული კონფერენციების ჩატარება, კრიმინოლოგიური პრობლემების შესახებ ურნალისტებისა და მოსახლეობის ინფორმირება და სტატისტიკის ხელმისაწვდომობა.

¹ (<http://dictionary.css.ge/content/cognition>)

კრიმინოლოგიის ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის

კრიმინოლოგიის საგნიდან და მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია განვსაზღვროთ მისი ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის და მისი დამოკიდებულება ამ მეცნიერებებთან. ამ საკითხთან დაკავშირებით დომინირებს სამი შეხედულება: 1. კრიმინოლოგია სისხლის სამართლის შემადგენელი ნაწილია; 2. კრიმინოლოგია სოციოლოგიის შემადგენელი ნაწილია; 3. კრიმინოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა. პირველ მოსაზრებას ემსრობოდნენ ძველი ქართველი მეცნიერები, მათ შორის პროფესორი ბორის ფურცევანიძე. ისტორიულად ეს პოზიცია მისაღებია, ვინაიდან კრიმინოლოგია საქართველოში, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართალის ერთ-ერთ განყოფილებად მიიჩნეოდა. თუმცა დღეს კრიმინოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა, ვინაიდან სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიას აქვს სხვადასხვა შესწავლის ობიექტი. სისხლის სამართლის მეცნიერების შესწავლის ობიექტი არის სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი, იურიდიული ნორმები და ინსტიტუტები; ხოლო კრიმინოლოგიის მეცნიერების ობიექტი – ადამიანებისა და სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი საქმიანობა. შესაბამისად, მეთოდები, რომელთაც ეს მეცნიერებები იყენებს, აქვს პრინციპულად განსხვავებული ხასიათი, რის საფუძველზეც განსხვავდება მათი შესწავლის საგანიც.

მეორე შეხედულება მცდარად დომინირებდა ამერიკულ და ინგლისურ კრიმინოლოგიაში. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ხშირად ამ ორი მეცნიერების ობიექტი და ზოგიერთი მეთოდი (მაგ., კვლევის მეთოდები იდენტურია) ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ მათი საგანი სხვადასხვაგვარია. კრიმინოლოგია კომპლექსური მეცნიერებაა. მისი შესწავლის საგანია დანაშაულობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, ასევე დამნაშავის პირვენების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები. ამდენად, კრიმინოლოგიის საგანი არ შეიძლება იყოს სოციოლოგიის საგანი.

დღეს განსაკუთრებით აღიარებულია მესამე შეხედულება, რომლის თანახმად, თანამედროვე კრიმინოლოგია, თავისი საგნიდან, მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი, კომპლექსური მეცნიერებაა.

კრიმინოლოგიის კავშირი მეცნიერებებთან

კრიმინოლოგიას კავშირი აქვს სისხლის სამართალთან, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიასთან (დამნაშავის პირვენების შესწავლა, განსაკუთრებით საშიშ ასოციალურ მოვლენათა და მათ ჩამდენ პირთა შესწავლა ამ მეცნიერების მიღწევების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა). კრიმინოლოგიისა და კრიმინალისტიკის კავშირი იმაში გამოიხატება, რომ როგორც კრიმინოლოგიის, ისე კრიმინალისტიკის ამოცანაა დანაშაულის ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და აღმოფხვრა, მაგრამ მათი შესრულებისა და მიღწევის გზები სხვადასხვაა. კრიმინოლოგიის შესწავლის საგანია დანაშაულის მდგომარეობის, მისი დინამიკის, მიზეზებისა და პირობების დადგენა და დანაშაულობის პრევენციის დონისძიებათა მთელი კომპლექსის შემუშავება და განხორციელება. კრიმინალისტიკა კი, კრიმინოლოგიისგან განსხვავებით, არ შეისწავლის პრობლემას მთლიანად, იგი შეიმუშავებს იმ კონკ-

რეტული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებს, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენის მიზეზებისა და პირობების გარკვევას და მათ თავიდან აცილებას კონკრეტული საქმის გამოძიება-განხილვასთან დაკავშირებით (რ. გოგშელიძე. ა. ფალიაშვილი. კრიმინალისტიკა. თბ. 2004. გვ. 28). კრიმინოლოგიას კავშირი აქვს პედაგოგიკასა და პოლიტოლოგიასთან. პირველთან, აღმზრდელობითი ღონისძიებებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის ღონისძიებათა კუთხით, ხოლო მეორესთან – პოლიტიკურ დანაშაულობათა კვლევისა და პრევენციის კუთხით.

კრიმინოლოგის პროფესია

კრიმინოლოგებს აქვთ სოციალური სტატუსი. მათი დასაქმების სფერო საქმაოდ ფართოა. დიპლომირებულ კრიმინოლოგს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითზე შესაძლებლობა აქვს იმუშაოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, პოლიციასა და პენიტენციურ დაწესებულებებში, სასამართლოში, უსაფრთხოების სამსახურებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც აწარმოებენ საქმიანობას არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის კუთხით, სახალხო დაცველის ოფისში, კერძო დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურებში, საადვოკატო ფირმებში (www.prospects.ac.uk).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კრიმინოლოგის წლიური საშუალო ხელფასი 30.000 აშშ დოლარს შეადგენს (თვეში 2.500 აშშ დოლარი), მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე კრიმინოლოგის წლიური საშუალო ხელფასი 55.000 აშშ დოლარია (თვეში 4583 აშშ დოლარი), ხოლო გამოცდილების მქონე კრიმინოლოგის ხელფასი – საქმაოდ მაღალი (დ. წულაია. კრიმინოლოგიის მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის. მართლმსაჯულება და კანონი. 3. თბ. 2010. გვ. 130).

დასკვნა

კრიმინოლოგიას დღეს, მსოფლიო მასშტაბით, სწავლობენ ის სტუდენტები, ვინც მომავალში სამართლდამცავ და სასჯელაღსრულების ორგანოებში, სასამართლოში, უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადვოკატურაში დასაქმებას აპირებენ. კრიმინოლოგიის სამაგისტრო პროგრამები წარმატებით ხორციელდება ევროპის, ამერიკის, ავსტრალიის უნივერსიტეტებში. 2017 წელს ლიტვის რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აკრედიტაცია მიანიჭა ვილნიუსის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის საბაკალავრო პროგრამას. ადსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს არის კრიმინოლოგიის პირველი საბაკალავრო პროგრამა, რომელიც პოსტ-საბჭოთა სივრცეში განხორციელდება. იმედს ვიქონიებთ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოშიც განხორციელდება კრიმინოლოგიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები.

პრიმიტიულობის მეცნიერების წარმოშობა, განვითარება და თანამედროვე მდგრმარეობა, მისი აღგილი მეცნიერებათა შორის, თანამედროვე კრიმინოლო- გის ცნება, მიზნები, ამოცანები და ძირითადი კვლევის მეთოდები. კრიმინოლოგის მეცნიე- რების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოში დანაშაულობის სიღრმისეული შესწავლა და მისი პრევენცია, საკანონმდებლო საქმიანობის სრულყოფა. კანონპროექტთა კრიმინოლოგიუ- რი ექსპერტიზა უმნიშვნელოვანებია საკანონმდებლო საქმიანობის წარმართვისას, კერძოდ კრიმინოლოგიური ცოდნის გამოყენების გარეშე ვერ დავადგენთ, თუ რას გამოიწვევს მომა- ვალ ში კონკრეტული კანონის, განსაკუთრებით სისხლისა და ადმინისტრაციული კანონების მიღება – დანაშაულებრივი ქცევის აღკვეთას, შემცირებას თუ პირიქით, მის პროვოკირებას. დიდია კრიმინოლოგის მეცნიერების მნიშვნელობა და წვლილი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების და პრევენციის კომპლექსურ დონისძიებათა შესწავლის, დანაშაულობასთან ბრძოლის დაგეგმვისა და პროგნოზირების კუთხით. კრიმინოლოგიური კვლევების გარეშე ვერ განხორციელდება დანაშაულის მსხვერპლთა შესწავლა და მათი რეაბილიტაცია, ვერ მოვახდენთ დამნაშავე პირის რესოციალიზაციას და, რაც მთავარია, საზოგადოებაში სა- მართლებრივი კულტურის ამაღლებას. ამდენად, თანამედროვე კრიმინოლოგის ერთ-ერთი ამოცანა უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე კრიმინოლო- გის კურსისა და სამეცნიერო კვლევების განვითარება.

MIKHEIL GABUNIA,
Doctor of Law

ORIGIN, DEVELOPMENT AND MODERN CONDITION OF CRIMINOLOGY SCIENCE

There is discussed the origin, development and modern condition of Criminology science. The notion of modern criminology, goals, objectives and basic research methods. Without the criminology science it is impossible to study the crime in the state and prevent it, to improve legislative activities. Criminological expertise of draft laws is of utmost importance to conduct legislative activities without the use of criminological knowledge and can not determine what concrete law, especially criminal and administrative laws in the future can be prevented, suppressed, or otherwise provoked by criminal conduct. It is important for the study of complex causes of crimes of criminology and prevention of crime, planning and predicting the crime. Without the criminological studies, investigations and rehabilitation of victims of crime can not be re-socialized and the most importantly, increasing the legal culture in society. Thus, one of the tasks of modern criminology should be the development of criminology and scientific research on the legal faculties of higher education institutions.

МИХЕИЛ ГАБУНИА,

доктор права

ИСТОКИ, РАЗВИТИЕ И СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ КРИМИНОЛОГИЧЕСКОЙ НАУКИ

В статье обсуждаются: истоки, развитие и современное состояние криминологической науки; место криминологии в системе наук; концепция современной криминологии, ее задачи и основные методы исследования. Без криминологической науки невозможно изучить преступность и предотвратить ее ресоциализацию личности преступника; улучшить законодательную деятельность. Криминологическая экспертиза проектов законов имеет первостепенное значение для проведения законодательной деятельности для исследования причин преступности, предотвращения и превенции преступности. Без криминологических исследований жертвы преступлений не могут быть изучены и реабилитированы. И самое главное: без криминологической науки невозможно повышение правовой культуры в обществе. Таким образом, одной из основных задач современного государства и общества должно быть развитие курса и научных исследований криминологии на юридических факультетах в высших учебных заведениях.

**ძირითადი პრიმიტოლოგიური თეორიები და მათი მნიშვნელობა
დაცვაულობის პრევენციის საჭრები**

შესავალი

კრიმინოლოგია ეტიმოლოგიურად ნიშნავს მოძღვრებას დანაშაულის შესახებ [ლათ. *crimen* (criminis) დანაშაული და ბერძ. *logos* მოძღვრება], ხოლო თეორია ბერძნული სიტყვაა (ბერძნ. θ ωρί — განხილვა, გამოკვლევა) და ოდეგებისა და პრინციპების სისტემას ნიშნავს. თეორია განზოგადებული მდგომარეობების გაერთიანებაა, რომლებიც ქმნის მეცნიერებას ან მის რომელიმე განყოფილებას. იგი სინთეზური ცოდნის ფორმაა, რომლის ფარგლებში ცალკეული წარმოდგენები, ჰიპოთეზები და კანონები კარგავს პირვანდელ ავტონომურობას და ხდება გლობალური სისტემის ელემენტები. თეორიაში ყოველი დასკვნა სხვა დასკვნებისგან ლოგიკური აზროვნების ზოგიერთ წესზე დაყრდნობით გამომდინარეობს. პროგნოზირების შესაძლებლობა თეორიული კონსტრუქციების შედეგია.¹ აქედან გამომდინარე, კრიმინოლოგიური თეორია ეს არის დანაშაულის მოძღვრების შესახებ იდეებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას აყალიბებს.

კრიმინოლოგიური აზროვნება ყველა ეპოქისათვისაა დამახასიათებელი. კაცობრიობის ისტორია დანაშაულისა და სასჯელის გარეშე არ არსებობს. შესაბამისად, ყოველთვის აქტუალური იყო თემა, რატომ სჩადის ადამიანი დანაშაულს და ვინ არის დანაშაულის ჩამდენი პირი. სოკრატეს აზრით, ფერმკრთალი და შავგვრემანი ადამიანები მიღრეკილები არიან კანონდარღვევებისაკენ. იგი თვლიდა, რომ ადამიანი უღირსად იქცევა იმიტომ, რომ მან არ იცის რაში მდგომარეობს მისი კეთილდღეობა, ხოლო დანაშაულს სჩადის თავისი ნების საწინააღმდეგოდ, გაუცნობიერებლად. პლატონის აზრით, დანაშაულს სჩადიან ადამიანები, რომელთა სულმი ჩასახლდა დანაშაულის აზრი. მთავარი მიზეზი, რაც დანაშაულის ჩადენას ხელს უწყობს არის ნებივრობა და უსაქმურობა, რაც უუფუნებას მოაქსს, ასევე სულმდაბლობა და ბოროტის კეთების სურვილი, რასაც ხელს უწყობს უპოვრება, სიღარიბე. ამასთან, გონიერას შეუძლია არჩევანი გააკეთოს კეთილსა და ბოროტს შორის. პლატონი თვლიდა, რომ ადამიანის ბედი გარდაუვლად არის წინასწარგანსაზღვრული სულის თვისებებით. არისტოტელეს შრომებშიც გვხვდება დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების განმარტება. ერთი მხრივ, იგი უარყოფდა დაბადებით დამნაშავის იდეას (ეს იდეა დომიმანტი იყო მე-19 საუკუნის კრიმინოლოგიაში ჩეზარე ლომბოზოს სწავლების მიხედვით) და თვლიდა, რომ თავად ადამიანზეა დამოკიდებული იქნება ის კეთილისმყოფელი თუ ბოროტისმქნელი. საყურადღებოა დიდი რომაელი ექიმის – გალენის (ძვ.წ. II ს.) იდეებიც, რომელმაც დაასაბუთა ალკოჰოლის ბოროტად მოხმარების გავლენა დანაშაულის ჩადენაზე. გალენი თვლიდა, რომ აუცილებელი იყო გენეტიკურად თანდაყოლილ დამნაშავეთა ლიკვიდაცია, მაგრამ არა შურისძიების მოტივით, არამედ იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ანადგურებენ მორიელებსა და შეამიან ქვეწარმავლებს.²

¹ <https://ka.wikipedia.org>

² law.wikireading.ru

დანაშაულობასა და მის პრევენციასთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერულმა გააზრებამ სისტემატური ხასიათი მიიღო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და უგავ-შირდება სისხლის სამართლის კლასიკურ სკოლას. კრიმინოლოგის ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი პერიოდი თავისი მნიშვნელობით რომ შეედრებოდეს იტალიური აღორძინების ეპოქას. ამ ეპოქის კარიბჭესთან დგას ჩეზარე ბეკარის დიადი ფიგურა, ვისი შემოქმედებაც აგვირგვინებს შეა საუკუნეების სამართლის განვითარებას და, იმავ-დრულად, ახალი დროის მაუწყებლადაც გვევლინება. უმჯობესი იქნებოდა სისხლის სა-მართლის კლასიკური სკოლის ნაცვლად გამოგვეუნებინა ტერმინი კრიმინოლოგის კლა-სიკური სკოლა, ვინაიდან ის იდეები, რაც ამ სკოლის მიერ არის შემუშავებული, კრიმი-ნოლოგის მეცნიერებისთვის უფრო მისაღები, ვიდრე სისხლის სამართლისათვის. აქ ერთგვარ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რაც განკირობებულია იმით, რომ კრიმინო-ლოგიას, როგორც მეცნიერებას, ამ პერიოდში არ ჰქონდა მიღებული თავისი დასახელება. ცნობილია, რომ კრიმინოლოგია ხმარებაში შემოვიდა და ფართოდ გავრცელდა 1885 წელს, მას შემდეგ, რაც იტალიელმა და ფრანგმა მეცნიერებმა – პ. ტოპინარდმა და რ. გაროფა-ლომ გამოსცეს ამავე სახელწოდების მონოგრაფია.

კრიმინოლოგის მეცნიერების განვითარებაში გამოიყოფა სამი მთავარი პერიოდი: კლასიკური სკოლა – მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-19 საუკუნის ბოლო მესამედამ-დე; პოზიტივისტური – მე-19 საუკუნის ბოლო მესამედიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლე-ბამდე; სოციოლოგიური – მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე.

კრიმინოლოგის კლასიკური სკოლა

კრიმინოლოგის კლასიკური სკოლის უდიდესი წარმომადგენლები არიან: ჩეზარე ბე-კარია, იტალიელი განმანათლებელი, იურისტი და პუბლიცისტი, 22 წლის ასაკში პავიის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სამართალში. მისი სწავლების მთავარი დებულებები მოცემულია მონოგრაფიაში „დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ“, რომელიც 1764 წელს გამოქვეყნდა; იერემია ბენტამი (ინგლ. Jeremy Bentham; დ. 15 თებერ-ვალი, 1748, ლონდონი — გ. 6 ივნისი, 1832, ლონდონი) — ინგლისელი სამართლის მცოდ-ნე, სოციოლოგი, ფილოსოფოსი, უტილიტარიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ბენტამის აზ-რით, ადამიანის მორალური შეფასების საზომია ამ მოქმედების სარგებლიანობა, ხოლო სასარგებლოა ის, რაც ზრდის ცალკეული ადამიანების ბედნიერებას და ამცირებს ტანჯ-ვას; ცხოვრების უმაღლესი პრინციპი უნდა იყოს „რაც შეიძლება მეტი ბედნიერება რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის“.¹

კლასიკურმა სკოლამ უარყო დანაშაულობის თეოლოგიური განსაზღვრა, რომლის მი-ხედვით ცოდვა და დანაშაული ერთმანეთისაგან გამიჯნული არ იყო და დანაშაული გან-საზღვრა, როგორც ადამიანის ნების სრულ თავისუფლებაზე დაფუძნებული გაცნობიერე-ბული არჩევანის შედეგი. თავის მხრივ, დანაშაულის ჩადენასა და უდანაშაულობას შორის არჩევანი განისაზღვრება ადამიანთა ზნეობრივი აღზრდით. სასჯელი მოწოდებული უნდა იყოს იმისათვის, რომ შეაგვის ადამიანები დანაშაულის ჩადენისაგან. მთავარი არა სას-ჯელთა სიმკაცრე, არამედ მათი გარდაუგალობა და სამართლიანობაა. კლასიკური სკოლის

¹ <https://ka.wikipedia.org>

იდეები საკმაოდ აქტუალური იყო იმ პერიოდისათვის და დიდი როლი შეასრულა კრი-მინოლოგიის განვითარებაში. კლასიკური სკოლის ორი მთავარი პრინციპი – „უმჯობესია დანაშაულის თავიდან აცილება, ვიდრე დასაჯო ჩადენილი დანაშაულისათვის“ და სასჯე-ლი უნდა იყოს დანაშაულის პროპორციული – დღესაც აისახება ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში. სისხლის სამართლის კლასიკურმა სკოლამ დასაბამი მისცა ე.წ. სისხლის სამართლის ნეოკლასიკური სკოლის ჩამოყალიბებას, რომლის წარმომადგენელი იყო გამოჩენილი ავსტრიელი იურისტი ფონ ლისტი. მან შეიმუშავა დანაშაულის ზოგადი და სპეციალური პრევენციის კონცეფცია, რომლის მთავარი იდეა დაფუძნებული იყო დამნაშავეთა დაშინებაზე, გამოსწორებასა და ნეიტრალიზებაზე. ლისტი დამნაშავეთა რესოციალიზაციის მთავარ ასპექტად სახელმწიფოს მხრიდან აღმზრდელობითი დონისძიებების გატარებას ასახელებდა ([/lawbook.online](http://lawbook.online)).

მთლიანობაში კლასიკური სკოლისათვის დამახასიათებელია იდეალისტური რაციონალიზმი. კლასიკური სკოლა მწირ ყურადღებას უთმობდა დამნაშავის პიროვნებას და და-ნაშაულობის გამომწვევი მიზეზების მეცნიერულ შესწავლას, რამაც განაპირობა კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის წარმოშობა, სადაც მირითადი ყურადღება სწორედ დამნაშავის პიროვნების შესწავლას ეთმობოდა.

კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლა

დამნაშავის პიროვნების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. მეცნიერული კვლევების საფუძველზე დაგენილ იქნა, რომ დამნაშა-ვები განსხვავდებიან ნორმალური ადამიანებისაგან ანატომიური თავისებურებებით. კერძოდ, 1846 წელს ინგლისელმა მეცნიერებმა – კლაპგამმა და კლარქმა აღმოაჩინეს, რომ დამნაშავეს თავის ქალის მოცულობა უფრო პატარა აქვს, ვიდრე სხვა ადამიანებს. 1854 წელს კასპერმა განაცხადა, რომ მკვლელები გამოირჩევიან ფართო თავის ქალით, ციკი, უმოძრაო მზერით და ჩაცვენილი თვალებით. ვიდსონი შენიშნავდა, რომ ქურდებს თავი (განსაკუთრებით წინა ნაწილში) უფრო პატარა აქვთ, ვიდრე პატიოსან ადამიანებს. ბროკამ, ვინსლოუმ, მაუდსლიმ და ტომსონმა დაადგინეს, რომ დამნაშავე ხშირად გამოირჩევა სხეულის მცირე წონით, პატარა სიმაღლით, სულიერი ავადმყოფობისადმი მიღრეკი-ლებით, იდიოტიზმითა და ეპილეფსიისადმი მიღრეკილებით. ამ პერიოდის ზოგიერთი მკვლევარი შეეცადა დაედგინა სრული ანალოგია ფსიქიკურ აშლილობასა და დანაშაულს შორის, თუმცა მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა.¹

კრიმინალური ანთროპოლოგიის აღორძინება დაკავშირებულია დიდი იტალიელი მეცნიერის, იურისტის, ანთროპოლოგისა და ფსიქიატრის – ჩეზარე ლომბბროზოს სახელთან (1836–1909). ლომბბროზომ გამოიკვლია 26886 ათასი დამნაშავე, თავისი დასკვნები და შეხედულებანი გადმოსცა წიგნში „დამნაშავე ადამიანი“. აღნიშნული შრომა გამოკვეყნდა პამფლეტის სახით (პამფლეტი – სარკაზმით გამსჭვალული პუბლიცისტური ნაწარმოები, რომელიც მიმართულია ამა თუ იმ პირის, პოლიტიკური მოვლენის წინააღმდეგ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989) „ლომბბარდის იურიდიულ მაცნეში“ 1871–1876 წლებში. ლომბ-ბროზოს თეორიის თანახმად, დამნაშავე განსაკუთრებული, სხვა ადამიანებისგან

¹ <http://www.brocgaus.ru>

განსხვავებული არსებაა, თავისებური ანთროპოლოგიური ტიპია, რომელიც დანაშაულს ჩადის თავისი ფიზიკური აგებულების გარკვეული მახასიათებლებიდან გამომდინარე. ლომბროზო თვლიდა, რომ დანაშაული ისევე ბუნებრივია ადამიანისათვის, როგორც ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს წარმომადგენელთათვის ერთმანეთის მოკვლა და შეჭმა. ლომბროზო მიიჩნევდა, რომ არც გარემოს, არც აღზრდას და ახლო გარემოცვას არ შეუძლია შეაკავოს ადამიანი დანაშაულის ჩადენისაგან, რადგან ზოგიერთი ადამიანი თავისი ბუნებით არის დამნაშავე, რაც ვლინდება მის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებში. ჩეზარე ლომბროზოს მთავარი იდეა იყო ის, რომ დამნაშავე არის ადამიანთა მოდგმის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც დამნაშავედ იბადება, ხოლო დამნაშავე გახდომა შეუძლებელია. დანაშაულის მიზეზი დევს თვითონ დამნაშავეში და არ საზოგადოებაში. დაბადებით დამნაშავისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურება. პირველყოფილი ადამიანის ატავისტური თვისებებია (ატავიზმი ნიშნავს ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნის გამოვლენას, რაც დამახასიათებელია მისი შორეული წინაპრებისათვის¹) ეპილეფსია და სულიერი აშლილობა. დამნაშავეთა ცალკეული ტიპებისათვის დამახასიათებელია მხოლოდ მათთვის განკუთვნილი და სხვებისგან განსხვავებული ფსიქიკური და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებანი. მკვლელებს ახასიათებთ: დიდი დაწვები (ლოფები), წინწამოწეული ოთხკუთხა ნიკაპი, ვიწრო სახე, ცივი, უსიცოცხლო (სარკისებრი) მზერა, თხელი ტუჩები. სშირად შეიმჩნევა ბრაქიცეფალიის მაღალი ხარისხი (ბრაქიცეფალია: ბერძნ. brachys მოკლე, kephae თავი – თავის ქალის განივი ზომის გადიდება გასწვრივი ზომის შემცირებასთან ერთად²); სქესობრივ მოძალადეებს: ძალიან დიდი ტუჩები და წამწამები, ბრტყელი ცხვირი; ქურდებს: წაგრძელებული თავი, სწორი, ხშირად შეზნექილი ცხვირი, მორბენალი თვალები და დოლიქოცეფალია (თავის გრძივი ზომის მეტია განივ ზომასთან შედარებით (www.medgeo.net); (<https://lawbook.online>). ლომბროზოს შეხედულებები დროსთან ერთად იცვლებოდა, ევოლუციას განიცდიდა. კვლევების შედეგად იგი მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობენ არა მხოლოდ დაბადებით, არამედ შემთხვევითი და ვნებას, ჟინს აყოლილი დამნაშავეები. დანაშაულზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორიცაა: ცივილიზაციისა და ეკონომიკური განვითარების დონე, მოსახლეობის მიგრაცია, მოუსავლიანობა, ალკოჰოლიზმი, უსახლკარობა და ა.შ. ფაქტობრივად, მისი თეორია დაბადებით დამნაშავის შესახებ გადაიზარდა ბიოსოციალურ თეორიაში, რაც მკაფიოდ გამოიხატა მისი მიმდევრების შრომებში. შეიცვალა ლომბროზოს იდეები დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, ადრეულ შრომებში ის მიუთითებდა არასამართლებრივ პროცედურებზე დაბადებით დამნაშავეთა გამოსავლენად და მათზე ზემოქმედების სამედიცინო საშუალებებზე, უპირველეს ყოვლისა, ფსიქიატრთა კომისიის მიერ. წლების შემდგომ კი იგი სულ უფრო მეტად აღიარებდა სისხლის სამართლის იუსტიციისა და სასამართლოს როლს დამნაშავეებთან ბრძოლის საქმეში, ხოლო ანთროპოლოგებისა და ფსიქიატრების დანიშნულებას ხედავდა როგორც ექსპერტებისას, რომელთა ამოცანა სასამართლოს დახმარება უნდა ყოფილიყო. უდავოდ დიდია ჩეზარე ლომბროზოს მოღვაწეობა კრიმინალური ანთროპოლოგიისა და ზოგადად კრიმინოლოგიის განვითარების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ 1892 წელს „ბრიუსელის

¹ <http://www.nplg.gov.ge>

² <http://www.nplg.gov.ge>

სისხლის სამართლის ანთროპოლოგიის კონგრესის“ მიერ უარყოფილ იქნა ლომბროზოს სწავლება დამნაშავე პიროვნების შესახებ, მისი მიღწევები გამოყენებულ იქნა ასევე სხვა მეცნიერთა და მკვლევართა მიერ. კერძოდ, ცნობილი ფრანგი კრიმინალისტ ბერტილიონის მიერ შეიქმნა დამნაშავეთა იდენტიფიკაციის ანთროპოლოგიური მეთოდი. ლომბროზოს კვლევები გამოყენებულ იქნა სიცრუის დეტექტორის შემუშავებაში. დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ლომბროზოს შეხედულებებს დამნაშავეთა ტატუირებასა და მათი დანაშაულებრივი უარგონების ანალიზს. ჩეზარე ლომბროზოს ბიოლოგიური და ბიოსოციალური თეორიების ფარგლებში წარმოიშვა კლინიკური კრიმინოლოგიის თეორია, რომლის წარმომადგენლია დიდი ფრანგი სწავლული ჟან პინატელი. მან ჩამოაყალიბა კრიმინალურ შესაძლებლობათა ცნება. პინტელის მთავარი იდეა იყო ის, თუ რამდენად თავსდებოდა დანაშაული ადამიანის ზნეობრივ პრინციპებთან და არის თუ არა სასჯელი მისთვის შემაკავებელი ფაქტორი. კრიმინალური შესაძლებლობა დგინდება კითხვარებით, ტესტებით, ასევე წარსულ (რეტროსპექტული) პროფესიათა ანალიზის, ცხოვრების წესის მიხედვით, ჩვევებითა და ინდივიდის მიღრეკილებით. ფსიქონალიზთან ერთად, კლინიკური კრიმინოლოგია პოტენციურ და რეალურ დამნაშავეთა საქციელის კორექციისთვის გვთავაზობს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ელექტროშოკი, ქირურგიული ჩარევა კასტრაციის ჩათვლით, სტერილიზაცია, ლობოტომია (სამედიცინო ტერმინია და ნიშნავს ტვინის სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთისგან გათიშვას), სხვადასხვა მედიკამენტურ ზემოქმედება იმ მიზნით, რომ შევამციროთ დამნაშავეთა აგრესია ძალადობრივი დანაშაულისადმი.¹ აქედან გამომდინარე, ჩეზარე ლომბროზოს ბიოლოგიური და ბიოსოციალური თეორიები, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულ იქნა კლინიკური კრიმინოლოგიის თეორია, დღემდე არ კარგავს თავის მნიშვნელობას და აქტუალურია. მაგ., ესტონეთში, რუსეთსა და ყაზახეთში მოქმედებს კანონი ქიმიური კასტრაციის შესახებ იმ პირებისა, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით მძიმე სექსუალური დანაშაულისა და პედოფილისათვის. ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში შექმნილია ისეთი პირობები, რომლის ფარგლებშიც დამნაშავე თვითონ თანხმდება ქიმიურ კასტრაციას. მაგ., საფრანგეთში არის სპეციალური დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულებს აქვთ ორი ალტერნატივა: 1. დათანხმდნენ პრეპარატის მიღებას ან 2. სამუდამოდ დარჩნენ კლინიკაში. საინტერესოა ამ მხრივ გერმანიაში არსებული სტატისტიკა, სადაც ნებაყოფლობით კასტრაციას თანხმდება წელიწადში 6 მოძალადე. სასჯელმოხდილი პედოფილებისა და სექსუალურ მოძალადეთა 84% გათავისუფლების შემდეგ ისევ აგრძელებს დანაშაულებრივ საქმიანობას, ხოლო ქიმიური კასტრაციის შემთხვევაში მხოლოდ 3%. ასევე, საყურადღებოა, დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად, იმ ქვეყნებში, სადაც ქიმიურ კასტრაციას იყენებენ ბავშთა მიმართ დანაშაული განახევრდა. აშშ-ში ქიმიური კასტრაცია, როგორც სასჯელის სახე, მოქმედებს რამდენმე შტატში. ამასთან, სექსუალურ დანაშაულში გასამართლებული პირები შეჰვავთ საერთო ნაციონალურ სიაში და აღრიცხვაზე აჟყავთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.²

¹ www.lawbook.online

² www.zakon.kz

კრიმინოლოგიაში არსებული სოციოლოგიური თეორიები

დანაშაულის ახსნა-განმარტების სოციოლოგიური თეორიები ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და ავტორიტეტული მიმართულებაა კრიმინოლოგიაში. სოციოლოგიურ თეორიათა მთავარი თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავეებად კი არ იხდებიან, არამედ ხდებიან (დანაშაულობის ახსნის სოციოლოგიური თეორიები სრულად ეწინააღმდეგება ჩვენ მიერ განხილულ კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური სკოლის იდეებს). ამ მიმართულებით შემუშავებულ იქნა დებულებანი, რომელთა თანახმად, დანაშაულობა დამოკიდებულია სოციალურ გარემოზე. სოციოლოგიური სკოლის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ცნობილი ბელგიელი სწავლის, სოციოლოგ-პოზიციისტის, მეცნიერული სტატისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ლამბერ ადოლფ ჟაკეტლეს (1796–1874) სახელთან და მის ცნობილ ფორმულასთან – თავად საზოგადოებაში არსებობს ყველა დანაშაულის ჩანასახი და თავად საზოგადოება შეიცავს პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს დანაშაულის წარმოშობასა და განვითარებას.

სოციოლოგიური თეორიებიდან აღსანიშნავია: **ეკონომიკური თეორია** (წარმომადგენელი ვ. ბოგნერი), რომელიც, თავის მხრივ, არაერთგაროვანია და დანაშაულობის წარმოქმნას აკავშირებს საკუთრებასთან არსებულ ურთიერთობებთან, ზორმისა და კაპიტალის განაწილებასთან, დაბალ ქონებრივ სტატუსსა და სიღარიბესთან. **ანომიის თეორია** (ე. დიურგპეიმი), რომლის თანახმად, დანაშაულობა არის ყველა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნორმალური და გარდაუგალი მდგომარეობა. დანაშაულობის პრობლემა მდგომარეობს არა თავად დანაშაულობაში, არამედ იმაში, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მისი დონე და მოცულობა ხდება დაუშვებლად საშიში, სახიფათო. ასეთი ვითარებები დაკავშირებულია საზოგადოების კრიზისულ, გარდამავალ მდგომარეობასთან, როდესაც ყოფილი სოციალური ნორმები და წესები აღარ მუშაობს, ხოლო ახლები ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული და მიღებული. **დაბაბულობის თეორია** (რ. მერტონი), რომლის თანახმად, დანაშაულობის მიზეზები არის იმ წინააღმდეგობრივ მდგომარეობაში, რომელიც არსებობს საზოგადოებაში მიღებულ მიზნებსა და მათ მისაღწევად დაშვებულ საშუალებებს შორის. უფრო კონკრეტულად, დაბაბულობის თეორიის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ცალსახადაა დაკავშირებული იმ კონფლიქტურ დამოკიდებულებასთან, რომელიც არსებობს კულტურულად აღიარებულ მიზნებსა და მათი მიღწევის ინსტიტუციურად დადგენილ საშუალებებს შორის. ინვაცია და ამბოხი, როგორც უკიდურესი რეაქცია ამ კონფლიქტზე, დანაშაულის საფუძველი ხდება. **კულტურათა კონფლიქტის თეორია** (წარმომადგენელია ტ. სელინი), რომლის თანახმად, ადამიანი თავის ცხოვრებაში იცვლის კუთვნილებას სხვადასხვა სოციალური ჯგუფისადმი, რომელთათვის დამახასიათებელია განსაზღვრული შეხედულებების სისტემა, წარმოდგენები, საქციელის ნორმები. თითოეული გადასვლა კულტურათა ერთ სისტემიდან მეორეში იწვევს კულტურათა კონფლიქტს – დაპირისპირებას, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას. ამასთან, კონკრეტული სახის დანაშაულებრივი საქციელი ერთ კულტურაში შესაძლოა აბსოლუტურად ლეგალური იყოს სხვა კულტურაში. **დიფერენციალური კავშირის თეორია** (წარმომადგენელი ედვინ სატერლენდი), რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაული ინდივიდზე იმ სოციალური ჯგუფების გავლენის შედეგია, რომლებთანაც ის კონტაქტობს. ამ ურთიერთობის დროს არსებით მნიშვნელობას იძენს წაბაძვის ელემენტი, რომლის შედეგადაც ინდივიდს გამოუმუშავდება დანაშაულის

ჩადენის იმპულსი. ის სწავლობს დანაშაულებრივი საქციელის ტექნიკას, უძლიერდება უპატივცემლობა კანონის მიმართ. სტიგმატიზაციის ანუ სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის (წარმომადგენელი ფ. ზაკი) თანახმად, დანაშაულებრივი საქციელი დაკავშირებულია იმასთან, რომ ადამიანი, რომელსაც ოფიციალურად მიკერებული აქვს დელიქვენტის იარლიუ (სტიგმა), იწყებს თავისი თავის ასოცირებას შესაბამის სოციალურ ჯგუფთან და მოქმედებას იწყებს ამ აღნიშვნის შესაბამისად. ამ თეორიის თანახმად, უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ არ შეიძლება დანაშაულის დრამატიზება, ასევე დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ოფიციალური სტიგმატიზების საკითხებს. სტიგმატიზაციის თეორია ასევე მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ის ამტკიცებს, თითქოს არც ერთი მოქმედება თავისი ბუნებით არ არის კრიმინალური. თეორიის კრიტიკოსები ამბობენ, რომ არსებობს გარკვეული მოქმედებები, რომლებიც სინამდვილეში ყველა კულტურაში მკაცრად არის აკრძალული – მკვლელობა, გაუპატიურება და ყაჩადობა. თუმცა, ეს შეხედულება არ არის სწორი. თქვენს საკუთარ კულტურაშიც კი მოკვლას ყოველთვის არ განიხილავთ, როგორც მკვლელობას, დანაშაულს. ომის დროს მტრის მოკვლა დადებითად აღიქმება. ამ თეორიის მიხედვით, იგივე შეიძლება ითქვას თითქმის ყველა დანაშაულის მიმართ.¹ კრიმინოლოგიურ თეორიებს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დანაშაულობის პრევენციის საქმეში. ეს თეორიები დღესაც არ კარგავს აქტუალობას. კრიმინოლოგიის ამოცანებისა და მიზნების მიღწევა აღნიშნული თეორიების პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურ გამოყენებაზე გადის.

¹ <http://4motivi.com>

მიხეილ გაბუნია,
სამართლის დოქტორი

მირითადი პრიმიტოლოგიური თეორიები და მათი მნიშვნელობა დაცვაულობის პრევენციის საჭეში

სტატიაში განხილულია ძირითადი კრიმინოლოგიური თეორიები და მათი მნიშვნელობა დანაშაულობის პრევენციის საქმეში, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის, კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლის იდეები დანაშაულობის, დანაშაულობის გამომწვევი მიზეზებისა და პრევენცის, დამნაშავის პიროვნებასთან დაკავშირებით. გაანალიზებულია საკითხის ირგვლივ არსებული ძირითადი მიმართულებები.

MIKHEIL GABUNIA,
Doctor of Law

THE MAIN CRIMINOLOGICAL THEORIES AND THEIR SIGNIFICANCE IN THE PREVENTION OF CRIME

There is reviewed the main criminological theories and their importance in the prevention of crime, the ideas of classical school of criminology and criminal law, criminal anthropology and sociological school in relation to the criminality, the cause of crime and the prevention. The main directions around the issue are analyzed.

МИХЕИЛ ГАБУНИА,
доктор прав

ОСНОВНЫЕ КРИМИНОЛОГИЧЕСКИЕ ТЕОРИИ, ИХ ЗНАЧЕНИЕ ДЛЯ ПРЕВЕНЦИИ ПРЕСТУПНОСТИ

В статье рассматриваются основные криминологические теории; криминологические идеи классической школы уголовного права; идеи антропологической и социологической школы криминологии, их значение в изучении причин и превенции преступности личности преступника; проанализированы основные направления вокруг проблемы.

ტექნიკური პრიმიტიულობის ცნება და ამოცაები

კრიმინოლოგის მეცნიერების განვითარებამ და დანაშაულობის პრევენციის აუცილებლობამ განაპირობა კრიმინოლოგის ისეთი დარგის წარმოშობა, როგორიცა ტექნიკური კრიმინოლოგია. ამ დარგის აქტუალობა სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დღითი დღე მატულობს.

ტექნიკური კრიმინოლოგია არის შედარებითი კრიმინოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დანაშაულობის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებს და შეიმუშავებს მათი გამომწვევი მიზეზების ნეიტრალიზებისა და აცილების ღონისძიებებს.

ტექნიკური კრიმინოლოგიის წარმოშობა დაკავშირებულია 1978 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰესენის ფედერალური მხარის დედაქალაქ ვისბადენში გამართულ პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმთან, რომელიც მიეძღვნა საქალაქო მშენებლობის დაგეგმვარების საკითხებს და კავშირს დასახლებული რაიონების არქიტექტურასა და დანაშაულობას შორის. მას შემდეგ ევროპის ქვეყნებში კვლევები ამ მიმართულებით სისტემატურად წარმოებს.¹

კრიმინალურ ანთროპოლოგიასა და ფსიქოლოგიაში ცნობილია მეცნიერულად დადასტურებული ფაქტი, რომ მაღალსართულიანი კორპუსები ქალაქის მოსახლეობაში დეპრესიის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. მნიშვნელოვნებით იგი უთანაბრდება სტრესისა და დეპრესიის ისეთ გამომწვევ ფაქტორს, როგორიც სიღარიბე და უმუშევრობაა. მაღალსართულიან კორპუსებში, სადაც ადამიანთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს (ერთ სახლში შესაძლებელია რამდენიმე სოფლის მოსახლის შესახლება), ერთმანეთში ცვლის ურთიერთობის სტილს. ასეთი საცხოვრებლის ტიპი მასში მცხოვრებ ადამიანთა შორის წარმოშობს ემოციურ გათიშულობას, გაუცხოებას, ხელს უწყობს ცივი კონტაქტების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ასეთი ტიპის საცხოვრებელში, მიუხედავად ხალხმრავლობისა, ადამიანს ეუფლება მარტოობისა და დაუცველობის გრძნობა. კრიმინოლოგიური და ვიქტიმოლოგიური კვლევების საფუძველზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საშუალოდ დაზარალებულების 45% ხდება დანაშაულის მსხვერპლი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, 37% – სახლიდან მოშორებით, ოუმცა დახურულ, გარეშე პირთა მხრიდან ვიზუალურად მიუწვდომელ სივრცეში (დახურულ სივრცეში). დადგენილია, რომ დასახლებულ პუნქტებში მეზობელთა შორის ურთერთდახმარება დანაშაულობის პრევენციის საუკეთესო საშუალებაა, ოუმცა, სოფლის მცხოვრებლებისაგან განსხვავებით, კორპუსის ტიპის სახლებში ფაქტობრივად ვერ ხორციელდება. კვლევებით ასევე დგინდება, რომ მაღალსართულიან საცხოვრებელ სახლებში 7-ჯერ მეტი დანაშაული ხდება, ვიდრე დაბალსართულიანში. რაც უფრო მაღალსართულიანია კორპუსი, მით უფრო მეტია დანაშაულის ჩადენის ალბათობა. 7-სართულიანი და მეტი სართულის მქონე სახლი 4-ჯერ უფრო ხშირად ექვემდებარება ყაჩაღურ თავდასხმებს, ქურდობას და ძარცვას, ვიდრე 6 და ნაკლებსართულებიანი. კრიმინოლოგთა მიერ ევროპის მასშტაბით ჩატარებული კვლევების და სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 32% ყაჩაღური თავდასხმებისა ხდება ლიფტში, რის საფუძველზეც გაიცა რეკომენდაცია ლიფტში ვიდეოსამეთვალყურეო კამერის და-

¹<https://ppt-online.org>

მონტაჟებაზე. აღნიშნულმა ტექნიკურმა დონისძიებამ გაანეიტრალა მსგავსი დანაშაულის ჩადენა. დიდი ქალაქის არქიტექტურული სტილი ხშირად ხელს უწყობს და აიოლებს დანაშაულის ჩადენას. დღეს უკვე ევროპის თითქმის ყველა განვითარებულ სახელმწიფოში ითვალისწინებენ ამ ასპექტს. ახალი რაიონების დაპროექტებისას პრიორიტეტს ანიჭებენ დაბალსართულიანი სახლების მშენებლობას, ხოლო ძველი სახლების რეკონსტრუქციას ახდენენ დაბალსართულიანი საცხოვრებელი შენობებით. განვიხილოთ დიდი ბრიტანეთის მაგალითზე ტექნიკური კრიმინოლოგიის რეკომენდაციები. ლონდონის ერთ-ერთ რაიონში (სთოუნბრიუში) შენობათა მახასიათებლები საქმაოდ ართულებდა პოლიციის საქმიანობას დამნაშავეთა შეპყრობის თვალსაზრისით. ვიწრო ქუჩებში შეუძლებელი იყო ავტომობილების გამოყენება. დიდი რაოდენობით ჩიხები, მიწისქეშა გადასასვლელები, ქუჩაბანდები, სარდაფები მოუწყვლადს, უგნებელს ხდიდა დამნაშავეებს და პოლიციური დეპნა ყოველთვის წარუმატებელი იყო. ლიად ვაჭრობდნენ ნარკოტიკებით, ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით, პრაქტიკულად, ნორმალურ მოვლენად იქცა. ტურისტები ამ რაიონში თითქმის ყოველთვის ძალადობრივი დანაშაულის – ძარცვისა და ყაჩადობის მსხვერპლი ხდებოდნენ. ამ დანაშაულობის პრევენციის მიზნით, ექსპერტ-კრიმინოლოგებისა და სამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელობის შუამდგომლობით, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ზოგიერთი სახლის დემონტაჟისა და სტოუნბრიუშის ხელახლი დაგეგმარების შესახებ. არქიტექტურული თავისებურებები, რომლებიც ქმნიდა კრიმინოგენურ ლანდშაფტს, მოცილებულ იქნა. ქალაქის მცხოვრებლებს მშენებლობის სამინისტრომ გამოუყო 1000 ფუნტი სტერლინგი, რათა აღმასრულვათ თითოეული ბინა სიგნალიზაციით და დაცვის სხვა საშუალებებით (ბრონირებული კარები, გისოსები და ა.შ.). აღნიშნული მოდელი ფართოდ გავრცელდა როგორც ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებში, ისე ამერიკის შეერთებულ შრტატებში. შედეგად არა მხოლოდ ძალადობრივი დანაშაულები, არამედ მთლიანად დანაშაულობის თითქმის სრული ნეიტრალიზება მოხდა.¹

ტექნიკური კრიმინოლოგიის შედეგები შთამბეჭდავი გახლავთ შეერთებულ შტატებშიც. მაგ., ექსპერტ-კრიმინოლოგთა რეკომენდაციით, აშშ-ის ქალაქ დეიტონის ერთ-ერთ რაიონში (Five Oak), სადაც ძალადობრივ დანაშაულობათა რიცხვი საქმაოდ მაღალი იყო, რეკონსტრუქციის მიზნით სახლები დაანგრიეს და ხელახლა ააშენეს. 2 წლის განმავლობაში დანაშაულობის დონე 26% შემცირდა, ხოლო ძალადობრივი დანაშაულობა განახევრდა. ასევე, აშშ-ის სამხრეთ ბრონქსის რეკონსტრუქციის შედეგად დანაშაულობის მაჩვენებელი თითქმის 54%-ით შემცირდა.²

ტექნიკური კრიმინოლოგიის კიდევ ერთი მიღწევაა რეკომენდაციები სამეთვალყურეო კამერების დაყენების შესახებ. დღეს ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ დანაშაულობის პრევენციის ასეთი საშუალებების დანერგვა სწორედ კრიმინოლოგიის, კერძოდ კი მისი ისეთი დარგის განვითარებამ მოიტანა, როგორიც ტექნიკური კრიმინოლოგია. ტექნიკური კრიმინოლოგიის წარმატებული პროექტი გახლავთ ისიც, რომ დღეს, დანაშაულობის პრევენციის საქმეში, ევროპის ქვეყნებში განთავსებულია ე.წ. „ჰკვიანი კამერები“ და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები; მისასალმებელია, რომ დღეს საქართველოშიც განხორციელდა მსგავსი ღონისძიება. ამ ნოვაციამ ლონდონში, დანაშაულობის პრევენციის თვალსაზრისით, კარგი შედეგი მოიტანა. პრაქტიკულად, მოხდა ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა ნეიტრალიზება და, ამავე დროს, გამარტივდა სხვა დანაშაულთა

¹ <http://allrefs.net>.

² <https://ppt-online.org>.

გახსნა. ვიდეოკამერასთან სინთეზში გამოიყენება ავტომატური ფოტოაპარატი (ფოტოკამერა), რომელსაც შეუძლია რამდენიმე წამის განმავლობაში გააკეთოს ორი ფოტო იმ ავტომატანსპორტისა, რომელიც სიჩქარეს გადააჭარბებს. ფოტოები გამოიყენება, როგორც სამხილი – მტკიცებულება სამართალწარმოების დროს. დისტანციური თვალთვალის პრაქტიკა აქტუალურია კრიმინალური პოლიციისთვისაც. მაგ., ქალაქ ერდორაში (ინგლისი) და აუქნეს რა 10 ვიდეოკამერა, დანაშაულთა რიცხვი 75%-ით შემცირდა, ხოლო დანაშაულთა გახსნის რიცხვი გაორმაგდა და 70% შეადგინა. ეს ბრიტანული გამოცდილება გაიზიარეს ევროპის სხვა ქვეყნებმაც. მონაკოს სათავადოში პოტენციურად საშიში ადგილები თითქმის მთლიანად დაიფარა ვიდეოკამერებით.

შე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისში ტექნიკურად ეფექტური ზომები გატარდა ავტომობილთა ქურდობის პრევენციისთვის. ცნობილია, რომ ამ პერიოდში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ქურდობამ მთელ ევროპა მოიცვა. პრევენციის მიზნით, კრიმინოლოგებმა შეიმუშავეს ერთი კონკრეტული, ასევე იოლი, თუმცა მეტად ფასეული რეკომენდაცია ეწ „ოპერაცია სატყარა“, რომელიც პრაქტიკაში შემდეგნაირად განხორციელდა: სპეციალურად აღჭურვილი ავტომობილი, როგორც სატყარა, ჩერდებოდა ისეთ ადგილებში, სადაც ყველაზე ხშირად ფიქსირდებოდა ავტომობილის მოპარვა. ავტომობილის მოპარვიდან რამდენიმე წუთში მანქანა ავტომატურად ჩერდებოდა და ბლოკირებას უკეთებდა დამნაშავეს სალონის შიგნიდან (ძრავა ქრებოდა, ითიშებოდა კარებისა და ფანჯრის დილაკები, ირთვებოდა ხმიანი სიგნალი და ეგზავნებოდა პოლიციას). მანქანის გატაცების საწინააღმდეგოდ აქტიურად გამოიყენებოდა ასევე სატრანსპორტო საშუალებებზე დამაგრებული გადამცემი მაჩვენებლები (სენსორები). მათი მეშვეობით პოლიცია ადგენდა მანქანის ადგილმდებარებას. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გაუფრთხილებლობით დანაშაულის პრევენციისას უკეთესი შედეგი მოაქვს, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, უსაფრთხოების სისტემების შექმნასა და გამოყენებას, ვიდრე უსაფრთხო ექსპლუატაციის წესებისა და კანონების შემუშავებას, მიღებასა და მაკონტროლებელ სტრუქტურათა შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს ამ წესების დაცვას. აღნიშნული მიღობა ყოველმხრივ გამართლებულია და მეცნიერულად დასაბუთებული. ერთი მხრივ, იზოგვა ბიუჯეტი, ხოლო, მეორე მხრივ, კონტროლი საკმაოდ უფექტური და მარტივია. მაგ., როდესაც ლეტალური შედეგების რაოდენობა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად, გახდა ეროვნული პრობლემა ბევრ დემოკრატიულ და ცივილიზებულ ქვეყანაში, მთავრობებმა, ექსპერტ-კრიმინოლოგთა დასკვნების საფუძველზე, „აიმულეს“ ავტომობილის მწარმოებლები, რომ შეეტანათ ცვლილებები ავტომობილის კონსტრუქციაში იმ მიზნით, რომ დარტყმის საწინააღმდეგო მახასიათებლები გაზრდილიყო. შედეგად მოხერხდა ბევრი სიცოცხლის გადარჩნა.¹

ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოში უნდა შეიქმნას კრიმინოლოგიური ექსპერტის ცენტრი, სადაც მოხდება დანაშაულობის პრევენციის სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონის სიებათა შემუშავება და სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის კანონპროექტთა კრიმინოლოგიური ექსპერტიზების განხორციელება იმ მიზნით, რომ დავადგინოთ, რას გამოიწვევს მომავალში კანონის მიღება – დანაშაულებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციას თუ, პირიქით, მათ პროვოცირებას.

¹ <https://studme.org>.

მთხვეობა გამუნის,
სამართლის დოქტორი

ტექნიკური პრიმიტიულობის ცნება და ამოცავები

სტატიაში განხილულია შედარებითი კრიმინოლოგიის ახალი დარგის – ტექნიკური კრიმინოლოგიის ცნება, მიზნები და ამოცანები. გაანალიზებულია დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ზოგიერთ ქალაქში განხორციელებული ის ღონისძიებანი, რომლებიც ამ დარგის რეკომენდაციების შემუშავების შედეგად განხორციელდა და დანაშაულობის ეფექტური პრევენცია მოახდინა.

MIKHEIL GABUNIA,
Doctor of Law

THE CONCEPTION AND OBJECTIVES OF TECHNICAL CRIMINOLOGY

There is discussed the conception, goals and objectives of the new field of comparative criminology - technical criminology. There is analyzed recommendations of this field, on the basis of which, effective prevention of crime occurred in some areas of the United States and Great Britain.

МИХЕИЛ ГАБУНИА,
доктор права

КОНЦЕПЦИЯ И ЦЕЛИ ТЕХНИЧЕСКОЙ КРИМИНОЛОГИИ

В статье обсуждаются концепция, цели и задачи новой отрасли сравнительной криминологии-технической криминологии. Проанализированы рекомендации этой отрасли, на основе которых произошла эффективная превенция преступности в некоторых областях США и Великобритании.

ЛЕОНЕНКО ТАТЬЯНА ЕВГЕНЬЕВНА,
доктор юридических наук, доцент,
заведующая кафедрой
уголовного, гражданского и международного права
юридического факультета
Института управления и права
Запорожского национального технического университета
(Украина, Запорожье)

ЛЕОНЕНКО МАКСИМ ИВАНОВИЧ,
кандидат юридических наук, доцент,
профессор кафедры уголовного процесса
и криминалистики
Института права имени Владимира Сташица
классического приватного университета,
(Украина, Запорожье)

МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ И ГНОСЕОЛОГИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ИССЛЕДОВАНИЯ ФЕНОМЕНА ПРЕСТУПНОСТИ НА РЕЛИГИОЗНОЙ ПОЧВЕ КАК СОЦИАЛЬНО- ПРАВОВОГО ЯВЛЕНИЯ

Постановка проблемы. Преступность на религиозной почве как объект криминологического исследования - социально-опасное, исторически изменчивое явление (феномен), посягающее на свободу совести и свободу вероисповедания, совершенное по мотивам религиозной ненависти или вражды, имеет физические, духовные, материальные и политические последствия и отображается в совокупности преступлений, совершенных на определенной территории за определенный промежуток времени и придерживается количественной интерпретации.

Украинское общество постепенно начинает осознавать, что человек, его душевная жизнь и духовность являются высшей ценностью. Поэтому возникает вопрос: "Почему религиозные отношения, которые несут в своей основе добро, милосердие, духовность, нравственность – являются объектом преступных посягательств со стороны отдельных лиц и преступных групп? Почему постепенно преступность на религиозной почве становится объектом криминологического исследования в связи с ростом количества совершенных преступлений данного вида? "Более того, на основании тенденции процесса глобализации человеческой деятельности, который распространяется не только на духовные основы религии, но и на мировой порядок, учеными отмечена целесообразность выделения в криминологической науке отдельного направления - религиозность и ее влияние на преступность, где определяющим должно быть отсутствие каких-либо моральных оценок того или иного вероисповедания [42, с. 542]. Таким образом, важным научным и практическим заданием является анализ методологических и гносеологических основ исследования феномена преступности на религиозной почве как социально-правового явления.

Формулировка целей статьи. Для достижения поставленной цели, мы ставим перед собой следующие задачи: анализ источников и публикаций по проблеме исследования преступности на религиозной почве на основании анализа состояния научной разработанности теоретико-правовых проблем исследования преступности на религиозной почве; формулировка авторского видения методологии исследования преступности на религиозной почве и авторской группификации соответствующих исследований.

Изложение основных обоснованных результатов исследования. Учитывая специфику преступлений на религиозной почве, методология предназначена для созидания научного исследования. По нашему мнению, ведущим методологическим инструментарием исследований в сфере преступлений на религиозной почве являются диалектический, феноменологический, синергетический и системный подходы научного познания.

Диалектический подход необходим для исследования преступности на религиозной почве как социального явления в развитии, определения принадлежащих ей связей и закономерностей.

Феноменологический подход необходим для рассмотрения преступности на религиозной почве как объективно существующего явления, где объективность познания феномена гарантирует тот факт, что оно очевидно и ориентировано на исследование преступности на религиозной почве как социально-правовой реальности.

Синергетический подход необходим для познания детерминации феномена преступности на религиозной почве сквозь призму социокультурных, политических, психологических и случайных составляющих, которые влияют на формирование мотивации и мотива религиозной ненависти или вражды, таким образом, раскрыв в пределах предмета науки криминологии причины и условия возникновения и распространения преступности на религиозной почве.

Системный подход необходим для раскрытия принципов динамической системы, взаимодействия и взаимозависимости элементов, комплексности, целостности и иерархичности, а также определения преступности на религиозной почве как целостного единства, с познанием степени и характера взаимосвязи элементов, которые входят в систему явления преступности на религиозной почве.

Руководствуясь вышеизложенными научными подходами, необходимо акцентировать внимание на том, что исследование особенностей религиозных отношений в рамках уголовного права, криминологии и социологии имеет свою историю. Научной основой к изучению проблемы преступности на религиозной почве в досоветский период и во времена бывшего СССР являются работы К. К. Арсеньева («Свобода совести и веротерпимость», 1905) [1], Л. С. Белогриц-Котляревского («Преступления против религии в важнейших государствах Запада», 1886), «Мифологическое значение некоторых преступлений, совершаемых по суеверию», 1888) [2], В. В. Есипова («Грех и преступление, святотатство и кражा», 1894), С. В. Познышева («Религиозные преступления с точки зрения религиозной свободы», 1906) [3], В. М. Ширяева («Религиозные преступления. Историко-догматические очерки», 1909) [4], Н. Н. Шеймана («Религиозность и преступность», 1927), В. В. Джуня («Уголовная ответственность за нарушение права свободы совести (на материалах УССР)», 1989). В работах П. С. Дагеля [5], А. Е. Жалинского [6], А. И. Клибанова [7], А. Т. Москаленко [8], Ф. И. Федоренко [9] и др. заложены основы уголовно-правовой и криминологической классификации «религиозных преступлений».

Эти тенденции продолжены в трудах современных зарубежных ученых, а именно Л. Д. Башкатова [10], В. А. Бурковской [11], Н. Б. Вагиной [12], М. М. Василенко [13], Г. Л. Кастронского [14], В. В. Кунц [15], А. Ф. Минекаевой [16], М. А. Придворова и А. В. Тихоновой [17], Г. А. Папаяна, А. А. Тер-Акопова

[18], А. В. Пчелинцева [19], А. В. Старкова [20], Н. С. Федосовой [21], М. С. Фокина [22], К. М. Шевкопляс [23].

В Украине вопросам уголовно-правовой охраны права на свободу вероисповедания посвящены диссертационные исследования Л. С. Бабыниной [24], А. В. Билаша [25], В. И. Маркина [26], А. С. Островского [27], М. В. Палия [28], В. М. Панькевич [29], А. В. Тарасенко [30], И. Г. Швидченко [31].

Кроме этого, надо отметить новый взгляд на проблему преступлений, посягающих на религиозные отношения в работах В. А. Глушкова [32], А. А. Дудорова и М. И. Хавронюка [33], И. А. Зинченко [34], В. В. Курафеева [35], С. Я. Лиховой [36], К. Б. Марысюка [37], А. А. Мартыненко [38], А. В. Олишевской [39], А. В. Савченко [40], Е. Л. Стрельцова [41], В. И. Шакуна [42] и др.

Следует выделить работы и религиоведов, так или иначе изучающих проблемы преступности на религиозной почве - А. В. Аристовой [43], В. М. Волк [44], В. И. Гараджи [45], С. И. Здиорук [46], А. М. Колодного [47], Б. Н. Куценко [48] и др.

Среди работ, касающихся решения проблем формирования личностной и групповой мотивации на совершение преступлений на религиозной почве в области уголовного права, криминологии и юридической психологии надо отметить научные труды: А. Абдуджалилова [49], А. А. Александрова [50], Л. В. Алексеевой [51], Ю. М. Антоняна [52], Л. В. Багрий-Шахматова [53], В. А. Бачинина [54], Б. С. Братуся [55], А. И. Долговой [56], В. М. Дремина [57], В. П. Емельянова [58], А. Ф. Зелинского [59], Г. Л. Кастрорского [60], Е. В. Фесенка [61] и др.

Криминологическое исследование преступности на религиозной почве, по нашему мнению, невозможно без анализа источников, освещивающих основы духовности, нравственности и влияния на них религии как системы ценностей, идеалов и заповедей, поскольку значительная часть украинского общества связывает надежды на духовное возрождение нации именно с религией [42, с. 540]. Из современных исследований в этом направлении следует отметить работы А. А. Гусейнова [62], В. В. Кузнецова [63], Л. Н. Митрохина [64], А. С. Панарина [65], А. П. Скрипника [66] и др.

Большой вклад в разработку анализа личности преступника, совершившего преступление на религиозной почве, начиная с 60-х гг. XX в., осуществили: Ю. М. Антонян [67], К. Бартол [68], Ю. Д. Блувштейн [69], Л. И. Божович [70], Б. С. Братуся [71], Б. В. Волженкин [72], М. Газзанига [73], Я. И. Гилинский [74], А. И. Долгова [75], С. И. Курганов [76], В. Н. Кудрявцев [77], Н. В. Лифарева [78], Б. А. Лобовик [79], Е. В. Фесенко [80] и др. Именно в этот период был заложен тот научный фундамент, который в большинстве своем выдержал испытание временем и в значительной мере определяет нынешнее научное понимание проблемы личности преступника.

Установление факторов, влияющих на мотив совершения преступления на религиозной почве невозможен без морально-психологической характеристики личности, которая в психологическом аспекте недостаточно прозрачна. Среди наиболее известных направлений в исследовании личности следует выделить: психодинамическую теорию Зигмунда Фрейда (Sigmund Freud), индивидуальную теорию Альфреда Адлера (Alfred Adler), аналитическую теорию Карла Густава Юнга (Carl Gustav Jung), гуманистическую теорию Эриха Фромма (Erich Fromm), социокультурную теорию Карен Хорни (Karen Horney), диспозициональную теорию Гордона Олпорта (Gordon Allport) [81], теорию социального учения Джюлиана Роттера (Julian Rotter), феноменологическую теорию Карла Роджерса (Carl Rogers), структурную теорию черт личности Рэймонда Кеттела (Raymond Cartel), теорию типов личности Ганса Айзенка (Hans Eysenck), теорию личности Эрика Эрикссона (Eric Ericson) и др.

Теоретико-методологическую основу исследования девиантного поведения составили: фундаментальные принципы и положения общей, социальной и юридической психологии, раскрывающие основные закономерности развития и социализации личности в работах Р. Мертон, В. Франкла, Э. Фромма, L. Berkowitz [82], D. Brooksbank, A. Buss, C. Cloninger, R. Custer, A. Kardiner [83], N. Miller [84], N. Farberow, D. Goodwill, M. Griffiths, J. P. Guilford [85], G. White и др.

Проблема мотивации преступлений не является новой для юридической науки. Многие вопросы этой проблемы в определенной степени затрагивались в работах Ю. М. Антоняна [86], Ф. Г. Бурчака [87], П. С. Дагеля [88], И. М. Даньшина [89], К. Е. Игошева [90], Н. Ф. Кузнецовой [91], В. В. Лунеева [92], А. А. Мартыненко [93], А. Маслоу [94], А. В. Савченко [95], А. В. Старкова [96], Е. В. Фесенко, В. Б. Харченко [97] и др. Однако в литературе мотив преступления рассматривается чаще всего в рамках учения о субъективной стороне преступления. Вместе с тем, на практике довольно часто возникают вопросы квалификации преступлений, совершенных по сложным, неочевидным мотивам, одним из которых является мотив религиозной ненависти или вражды.

Научные разработки проблем предупреждения преступлений на религиозной почве посредством воздействия на детерминированные преступным поведением явления и процессы посвящены в трудах Ю. В. Александрова, Л. Д. Башкатова [98], Б. Н. Головкина [99], А. Н. Джужи [100], А. П. Закалюк [101], В. С. Зеленецкий [102], А. Г. Кальмана [103], А. Г. Кулика [104], А. Н. Литвинова [105] и др.

Учеными, которые исследовали различные аспекты религиозной проблематики, значительное внимание уделялось вопросам правомерности поведения верующих с позиции права и светской морали. Вместе с тем, вопросы правового воздействия на поведение лиц, посягающих на свободу совести и вероисповедания, рассмотрено учеными поверхностно. Практически отсутствуют теоретические разработки методики использования в деятельности правоохранительных органов методов регулирования поведения людей, находящихся под влиянием религиозных факторов.

По нашему мнению, на процесс противодействия преступлениям на религиозной почве влияет доскональное изучение структуры механизма преступного поведения лица, совершившего преступление на религиозной почве, а также одно из перспективных направлений исследований в пенитенциарной психологии - анализ психологических характеристик представлений личности преступника, совершившего преступление на религиозной почве о жертвах преступлений, позволяет совершенствовать программы психологической коррекции личности осужденных за счет коррекции их представлений о жертвах преступлений.

Формирование представлений о другом человеке в процессе его познания изучали: К. А. Абульханова-Славская [106], Г. М. Андреева [107], А. А. Бодалев [108]. Вопросы изучения отдельных структурных элементов системы представлений личности преступников и осужденных отражены в работах Ю. М. Антоняна, который рассмотрел внутренние причины совершения преступлений преступниками, их взаимоотношения с жертвами преступлений, виктимный опыт преступников; И. П. Башкатова, В. Ф. Пирожкова, которые изучали субкультурные характеристики функционирования преступных групп, в том числе жертв преступлений, принятых в преступной субкультуре, а также психологические аспекты притеснений осужденными других осужденных в местах лишения свободы; А. Г. Ратинова, который создал ценностно-нормативный подход в рассмотрении личности преступников и др. Труды этих ученых имеют высокое теоретическое и практическое значение в раскрытии уголовно значимых особенностей личности, способствующих совершению преступлений, и требуют коррекции в процессе исполнения наказания, а представление о жертвах преступлений рассматривают как одну из таких особенностей.

Выходы данного исследования. Подводя итог определения состояния научной разработанности теоретико-правовых проблем исследования преступности на религиозной почве, их можно разделить на обобщающие группы: 1) труды античных, средневековых и мыслителей Нового времени, в которых раскрыты проблемы соотношения морали, духовности и религии; 2) труды отечественных ученых досоветского периода, которые на монографическом уровне исследовали проблему посягательств на "религиозные отношения" в рамках уголовного права, криминологии и социологии, а также результаты исследований ученых бывшего СССР в области уголовного права, криминологии, общей и юридической психологии; 3) труды ведущих современных зарубежных ученых, внесших весомый вклад в понимание и решение проблемы преступного и религиозного в криминологии, философии, общей и юридической психологии, психологии религии и религиоведении; 4) исследование уголовно-правового и криминологического аспектов преступности на религиозной почве современных украинских ученых на монографическом уровне, а также в пределах собственных научных интересов.

თაფიანა ლეონენკო,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

მაშიმ ლეონენკო,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

რელიგიურ ნიაზაგზე დაცაშაულის, როგორც სოციალური და უფლებარივი უცნობესი შესრავლის მათოდოლოგიური და გნოსეოლოგიური საფუძველი

განხილულია დანაშაულის ფენომენის გამოკვლევის მეთოდოლოგიური და გნოსეოლოგიური საფუძველი, რომელიც დაფუძნებულია რელიგიურ ნიაზაგზე, როგორც სოციალური და უფლებრივი ფენომენი და შემოთავაზებულია ამ სფეროში მკვლევართა ნაშრომების ავტორთა კლასიფიკაცია.

TATIANA LEONENKO,
Doctor of juridical Sciences

MAXSIM LEONENKO,
Candidate of juridical Sciences

METHODOLOGICAL AND GNOSLOLOGICAL BASIS OF THE STUDY OF THE CRIME ON THE RELIGIOUS SOIL AS A SOCIAL-LEGAL PHENOMENON

There is considered the methodological and gnosiological basis of research of the phenomenon of crime based on religion as a social and legal phenomenon and there is offered the authors' classification of researchers works in this field.

Crime based on religion, as an object of criminological research is a socially dangerous and historically changing occurrence (phenomenon), that encroaches on right of conscience and freedom of religion, committed on the grounds of religious hatred or animosity, has physical, spiritual, financial and political consequences and is displayed in the aggregate of crimes committed in a particular area for a certain period of time, and follows the quantitative interpretation.

Research of particularities of religious relations within the criminal law, criminology and sociology has its own history.

Scholars, who studied various aspects of religious problematics, gave a special consideration to the issues of rightfulness of the believers behaviour from the perspective of law and secular morality. However, problems of the legal impact on the behavior of individuals who encroach on right of conscience and freedom of religion, are considered by scholars formally. In our opinion, achievements of world religions' doctrines and resources of confessions following them in the prevention of socially dangerous behavior are not adequately investigated. There are no proper theoretical analysis of principles of use in the law enforcement the methods of regulation of behavior of people who are under the influence of religious factors.

In our opinion, in determining the degree of scientific development of theoretical and legal problems of research of crime based on religion, these issues can be divided into the following generalized groups: 1) works of ancient and medieval thinkers, as well as of modern age, which reveals the problems of correlation between morality, spirituality and religion; 2) works of Ukrainian scholars of the pre-Soviet period, which at monographic level investigated the issue of encroachment on “religious relations” within the criminal law, criminology and sociology, as well as the results of the researches of the scholars of the former USSR in the field of criminal law, criminology, general and legal psychology; 3) works of leading modern foreign scholars, who have made a significant contribution in the understanding and solving of a problem of crime and religion elements in criminology, philosophy, general and legal psychology, psychology of religion and religious studies; 4) research of criminal law and criminological aspects of crime based on religion by modern Ukrainian scholars conducted on monographic level and within their own academic interests.

ЛЕОНЕНКО ТАТЬЯНА,
доктор юридических наук, доцент

ЛЕОНЕНКО МАКСИМ,
кандидат юридических наук, доцент

**МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ И ГНОСЕОЛОГИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ИССЛЕДОВАНИЯ
ФЕНОМЕНА ПРЕСТУПНОСТИ НА РЕЛИГИОЗНОЙ ПОЧВЕ КАК СОЦИАЛЬНО-
ПРАВОВОГО ЯВЛЕНИЯ**

Рассмотрены методологические и гносеологические основы исследования феномента преступлений, которые осуществлены на религиозной почве, как социальный и правовой феномен, и представлены в этой сфере как классификация авторских трудов.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დადგითი და უარყოფითი მხარები

სასამართლო რეფორმა, რომელიც საქართველოში 1997 წლის 13 ივნისს პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღებით დაიწყო და დღემდე გრძელდება, მიზნად ისახავს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზებას და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირებას.

სასამართლო რეფორმას არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოჰყვა, რომელთაგან უმნიშვნელოვანებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – უძველესი ტრადიციებისა და ხანგრძლივი ისტორიის მქონე სამართლებრივი ინსტიტუტი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უძველესი წინაპარი ათენის დიკასტერია (პეილეია) გამოირჩეოდა მოსამართლეთა სიმრავლით, სხდომათა საჯაროობით და უაპელაციო გადაწყვეტილებებით.

რომში არსებობდა ტრიბუნალი მსაჯულების მონაწილეობით. მნიშვნელოვან საქმეებს 100 ან 1000 ადამიანისგან შემდგარი მსაჯულთა საბჭო განიხილავდა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კონცეფცია ჩაისახა ინგლისში ნორმანდიელთა დაპყრობის შემდეგ, 1066 წელს. ნორმანდიელები ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ ფიცის ქვეშ ედიარებინათ სიმართლე (Jury ლათ. Jurare - დაფიცება). ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია 1215 წელს „თავისუფლების დიდი ქარტიის“ მიღებამ, რომლითაც შეიზღუდა მეფის ხელისუფლება. ამ დოკუმენტის თანახმად, ყოველი დიდგვაროვანი თუ თავისუფალი ადამიანი უნდა განესაჯა მის თანასწორთ, კანონიერად და თანაზომიერად. ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა პქონდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის, საბოლოოდ განმტკიცდა 1689 წელს მიღებულ „უფლებათა ბილში“.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საფრანგეთში მე-9 საუკუნის დასაწყისში ლუდოვიკო დვორისმოსავის დროს წარმოიშვა და შემდეგ გავრცელდა ინგლისში¹.

მე-19 საუკუნეში, ინგლისის გავლენით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გარკვეული კორექტირებით კონტინენტური ევროპის ქვეყნებშიც (საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია, შვეცია, გერმანია) გავრცელდა. ამ ქვეყნებმა უპირატესობა მიანიჭა ე.წ. „შერეულ მოდელს“, რომელიც გულისხმობს მოსამართლისა და მსაჯულის მიერ ერთობლივად როგორც მსჯავრის, ისე სასჯელის საკითხის გადაწყვეტას, განსხვავებით ინგლისური მოდელისაგან, სადაც ფუნქციები მკაცრადაა დანაწილებული მოსამართლეებსა და მსაჯულებს შორის: პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტის ნაფიცი მსაჯულები, ხოლო მოსამართლე – პროცესუალურ საკითხებს და უფარდებს სასჯელს.

გერმანიაში თავიდანვე კლასიკური მოდელისაგან განსხვავებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაინერგა. მოგვიანებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეცვალა ერთიანმა

¹ თ. რეხვიაშვილი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (ანალიტიკური მიმოხილვა). 15.06.2010. გვ.1. ხელმისაწვდომია: www.librarycourt.ge.

კოლეგიამ – შეფენების სასამართლომ. დღეისათვის გერმანიაში ფუნქციონირებს მიწის სასამართლოები, სადაც სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ სამი მოსამართლისა და ორი შეფენის მონაწილეობით. მსაჯულები და მოსამართლეები გერმანიაში, როგორც კონტინენტური ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში, ქმიან ერთიან კოლეგიას და გადაწყვეტილება გამოაქვთ ხმათა უმრავლესობით. მსაჯულთა მონაწილეობა და რაოდენობა დამოკიდებულია საქმის სირთულესა და სასამართლოს ინსტანციურობაზე. წინასწარ დგება შეფენების კანდიდატთა სია, რომელთაგან საქმის განმხილველი სასამართლო შეარჩევს მთავარ და სათადარიგო (დამხმარე) შეფენებს. დამხმარე შეფენები ჩაენაცვლებიან მთავარ შეფენებს, თუ ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მონაწილეობენ საქმის განხილვაში.

იტალიაში მოქმედებს 6 მსაჯულისა და 2 მოსამართლისგან შემდგარი სახალხო სასამართლო, რომელიც ერთიანი კოლეგიაა და ერთობლივად წყვეტის ბრალეულობასა და სასჯელთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. სასამართლოებში ცალკე სექციის სახითაა ჩამოყალიბებული ნაფიც მსაჯულთა კოლეგია, რომელიც იხილავს ქვედა რგოლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე სახივრებს. კოლეგია შედგება 2 მოსამართლისა და 6 სახალხო მსაჯულისაგან. 1988 წლიდან იტალიაში შეიქმნა ტრიბუნალები, სადაც მსაჯულები ექსპერტებმა ჩაანაცვლა.

ავსტრიის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაშია 3 მოსამართლე და 8 მსაჯული. მსუბუქი დანაშაულის საქმეებს, თუ სავარაუდო სასჯელი 3 წელს არ აღემატება, განიხილავს მოსამართლე ერთპიროვნულად, ხოლო თუ უფრო მაღალი სასჯელის ალბათობაა, მონაწილეობენ მსაჯულებიც.

საბერძნეთშიც მოქმედებს კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი „შეფენური“ მოდელი. სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 3 მოსამართლე და 5 მსაჯული. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, სადაც მსაჯულთა მონაწილეობა აუცილებელია.

იაპონიაში მსაჯულთა ინსტიტუტი პირველად 1923 წელს პრემიერ-მინისტრ კატო ტო-მოსაბუროს ინიციატივით შემოიდეს. სასამართლოს შემადგენლობაშია 6 ნაფიცი მსაჯული, რომლებიც საზოგადოებიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპის წესით შეირჩევა და 3 პროფესიონალი მოსამართლე, რომლებიც ერთობლივად წყვეტენ ბრალეულობისა და სასჯელის საკითხებს. მოქალაქე ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე უარის შემთხვევაში ჯარიმდება 100 000 იენით. იაპონიაში ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 70 % იძულებით ასრულებს მსაჯულის ფუნქციას¹.

აშშ-ში ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობენ. აშშ-ის 12 მოქალაქეს სახელმწიფოს სახელით ერთპიროვნულად გამოაქვს ვერდიქტი და მათი გადაწყვეტილება უზენაესია. მოსამართლეს პროცესის მსვლელობისას მხოლოდ არბიტრის ფუნქცია აკისრია და სასჯელის ზომას განსაზღვრავს. გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. ნაფიცი მსაჯულები შეირჩევიან საარჩევნო, მართვის მოწმობებისა და ხოციალური დახმარების მონაცემების საფუძველზე. ნაფიცი მსაჯულობა ყველა სრულწლოვანი ამერიკელის ვალდებულებაა, განურჩევლად პროფესიისა, სოციალური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობისა (სათანადო პირობებია შექმნილი ყრუ-მუნჯებისა და ბრძებისთვის).

¹ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. წარმოშობისა და განვითარების მოქლე ისტორია. თბ. 2012, გვ. 72. სელმისაწვდომია: www.supremecourt.ge.

თითოეული სასამართლო პროცესისთვის 30 კაციდან 12 მსაჯული და 2 სათადარიგო მსაჯული უნდა შეირჩეს. ნაფიცი მსაჯულების შერჩევისას, მოსამართლე კანდიდატებს 18-პუნქტიან კითხვარს ურიგებს, გაცემული პასუხების შეფასების საფუძველზე მათი გაცხრილვა იწყება, რომლის შემდეგაც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესში ადვოკატი და პროკურორი ერთვებიან.

გამოკითხვის ეტაპების გავლის შემდეგ, ნაფიც მსაჯულად არჩეული აშშ-ის 12 მოქალაქე ფიცს დებს და სახელმწიფოს სახელით ვერდიქტის გამოსატანად ემზადება.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის 200-წლიანი ტრადიცია არსებობს და მოქალაქეობრივი მოვალეობაც თითოეულ ამერიკელს ბოლომდე აქვს გაცნობიერებული, სხვადასხვა პრობლემის გამო, ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას ბევრი ადამიანი თავს არიდებს, რის გამოც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა დადგენილი¹.

საქართველოში მე-11 საუკუნემდე „მოსამართლეს“ მოიხსენიებდნენ ტერმინებით „მსაჯული“, „ბჭე“. ქართველ მეცნიერთა მოსაზრებით, ტერმინი „მოსამართლე“ აღნიშნავდა სასამართლო ფუნქციების მქონე სახელისუფლებო მოხელეს, რომელსაც დავალებული პქონდა სადაც საქმეების განხილვა, ასევე სხვა პირსაც, რომელიც, როგორც მოდავე მხარის მიერ არჩეული პირი, მხოლოდ ამ კონკრეტული საქმის განხილვის დროს ასრულებდა მოსამართლის ფუნქციას სხვა პირებთან ერთად².

რუსეთის იმპერიაში დაინერგა მომრიგებელი მოსამართლის რუსული მოდელი. მეფის რუსეთის მმართველებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს მოსახლეობა სამართლებრივი განვითარების დონით არ იყო მზად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის.

1919 წლის 17 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო დებულება „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა ნაფიც მსაჯულთა მიერ განსჯადი საქმეების ჩამონათვალი, საქმის განხილვის წესი და მსაჯულთა უფლებამოსილებები. ნაფიც მსაჯულად აირჩეოდა საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობდა სახელმწიფო ენას და არანაკლებ 1 წელი ცხოვრობდა საქართველოში. ნაფიც მსაჯულად ყოვნა კერძალებოდა ნასამართლევ პირს, სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან დათხოვილ პირს, გადამხდელუნარო და ფიზიკურად უუნარო ადამიანს, სამღვდელოების წარმომადგენელს, სასამართლოს თანამშრომელს, პროკურატურის მუშაქს, სახელმწიფო ბანკის ხაზინადარს და მოლარეს, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის უფროსებს, სამხედრო და საზღვაო უწყების ცალკეულ თანამშრომლებს, საკარანტინო დაწესებულებათა მოხელეს, გუბერნიის, მაზრისა და სოფლის კომისარს და მის თანაშემწეს, მილიციის მოხელეს.

1921 წლის კონსტიტუციის 81-ე მუხლის თანახმად, მძიმე სისხლის სამართლის, აგრეთვე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

საბჭოთა საქართველოში ნაფიცი მსაჯულები შეცვალა სახალხო მსაჯულებმა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით აღდგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 82-ე მუხლს

¹ ქართველი მოსამართლეები და უურნალისტები ამერიკის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში. 20 წლებით, 2009წ. ხელმისაწვდომია: <http://www.24saati.ge>.

² ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია. თბ. 2012, გვ. 16. ხელმისაწვდომია www.supremecourt.ge.

დაემატა მე-5 პუნქტი, რომლის თანახმად, საერთო სასამართლოში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, ხოლო 2010 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის ერთ-ერთი ნოვაცია იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 12 ძირითადი და 2 სათადარიგო მსაჯულისაგან შედგება. მათი შერჩევის მიზნით, სასამართლოში ტარდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ადვოკატისა და პროკურორის თანდასწრებით, ადგენს მოსამართლე. ამ სიაშია შესაბამის ტერიტორიულ ოლქში რეგისტრირებული 100-მდე მოქალაქე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს 6-ზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, 8-ზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, 10-ზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

ნაფიცი მსაჯული შეიძლება იყოს საქართველოს სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული 18 წელს გადაცილებული პირი, რომელიც ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას, ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი, შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას.

ნაფიცი მსაჯული ვერ იქნება: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, გამომძიებელი, პოლიციელი, სამხედრო პირი, სასულიერო პირი, აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, ბრალდებული, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, იურისტი, აგრეთვე პირები, რომლებსაც მიკერძოებული მოსაზრებები აქვთ ამ საქმესთან დაკავშირებით.

პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული, ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს, თუ ხანგრძლივად იმუოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ, თუ 70 წელს გადაცილებულია, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

რაც შეეხება სოციალურ გარანტიებს, ნაფიც მსაჯულს და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ სახელმწიფოსგან დროულად მიიღონ ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირად დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან. დასაქმებულ პირს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარ-ჩუნდება სამუშაო ადგილი და ანაზღაურება.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დემოკრატიის პრინციპის გამოვლინებაა, რომელსაც მდიდარი ტრადიციები აქვს, სასამართლოსადმი ნდობის აღდგენის, მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის ჩართულობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მან დიდი როლი შეასრულა. საზოგადოება კისრულობს პასუხისმგებლობას პირის დამნაშავეობის/უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში, რაც ზრდის მოქალაქეთა ნდობას მართლ-მსაჯულების სისტემის მიმართ. საუკუნეების განმავლობაში ამ ინსტიტუტმა წარმატებით

იმუშავა, შეძლო შეესუსტებინა სახელმწიფოს გავლენა სასამართლოზე და მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქების ჩართვით დაედგინა საქმეზე ჭეშმარიტება. ოუმცადლეისათვის მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის პოპულარობა საგრძნობლად დაეცა, შესაბამისად იკლო მათი მონაწილეობით განხილულ საქმეთა რაოდენობამ. ბევრმა ქვეყანამ უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, ზოგან კი, ტრადიციისადმი ერთგულების ნიშნად, მხოლოდ სიმბოლურად ინარჩუნებენ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ღირსება და ნაკლი დღემდე რჩება დავის საგნად. მომხრეებსა და მოწინააღმდეგებებს შორის დავა ძირითადად შემდეგ საკითხებს ეხება: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სოციალური მნიშვნელობა, ნაფიც მსაჯულთა კომპეტენტურობა და მსაჯულთა მიერ საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ნაფიცი მსაჯულები უზრუნველყოფენ სახელმწიფოსაგან პიროვნების დაცვას, პროცესის შეჯიბრებითობას და მხარეთა თანასწორობას, საზოგადოების სამართლებრივი დონის ამაღლებას.

მოწინააღმდეგების არგუმენტებია: მსაჯულთა არაპროფესიონალიზმი, ნელი, მოუქნელი, გაჭიანურებული და ქვირად ღირებული პროცესი.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოდებამ თავიდანვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ამ ინსტიტუტის მოწინააღმდეგები თვლიდნენ, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და ნაცნობ-მეგობრობა ხელს შეუშლის ობიექტური მსაჯულების შერჩევას. გარდა ამისა, სახელმწიფო შეიძლება ვერ გასწვდეს ამ ინსტიტუტის ხარჯებს. ვახტანგ სმალაძეს მიაჩნია, რომ „საქართველო პატარა ქვეყანაა საიმისოდ, რომ ნაფიც მსაჯულს ბრალდებულისა თუ დაზარალებულის მხარეს საერთო ნაცნობი არ აღმოაჩნდეს. კიდევ ერთი საკითხია, შესაძლოა, ნაფიც მსაჯულთა მიმართ დაცვის დონისძიებების გამოყენება გახდეს საჭირო – სახელის, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა... საქართველოში ეს ვერ იმუშავებს, რადგან აქ ადამიანი ვერ დაიმალება, ძალიან პატარა ქვეყანა ვარ“¹.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების წინააღმდეგი იყო თინა ხიდაშელიც: „მე, როგორც იურისტი და პოლიტიკოსი, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების მომხრე არა ვარ. მიმაჩნია, რომ გაუმართლებელი და სარისკო 21-ე ს-ში ამ ინსტიტუტის შემოღება, რომელმაც მის დამფუძნებელ ქვეყნებშიც კი აზრი დაკარგა..., როგორც პოლიტიკოსს, მიმაჩნია, რომ ამ ინსტიტუტის შემოღებით ხელისუფლებას სურს, უკანონო გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობა ხალხს დააკისროს“².

ამის საპირისპიროდ, მომხრეები თვლიდნენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტს შეუძლია მისი დაფინანსება, მოგვარებადია ნაცნობ-მეგობრობის პრობლემაც. „ჯერ ერთი, საქართველოში საკმაოდ ბევრი მოქალაქისათვის მთავარი არის ღირსება, ობიექტურობა და არა, ვთქვათ, ნაცნობ-მეგობრობა და მეორე – ეს პრობლემა შეიძლება გადაიჭრას იმით, რომ ნაფიცი მსაჯულის შერჩევის დროს ძალიან დეტალურად იქნეს გამოკითხული, რამე კავშირი ხომ არა აქვს ბრალდებულთან ან სახელმწიფო ორგანოსთან“..., აცხადებდა საქართველოს უზგნევი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი³.

¹ უნდა გაუქმდეს თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში – რას ფიქრობენ პოლიტიკოსები და იურისტები. 10. 06. 2015, ხელმისაწვდომია: <http://kvira.ge>.

² შ. ლათათია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში. 02.02.2011. ხელმისაწვდომია: www.humanrights.ge.

³ იხ. იქვე.

მას შემდეგ, რაც ლაშა მახარაძის მკვლელობის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 12-საათიანი მსჯელობის შედეგად გადაწყვეტილება ვერ მიიღო, საქართველოში დღის წესრიგში დადგა ამ ინსტიტუტის არსებობის საკითხი. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა განაცხადა, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა სრული კოლაფსი განიცადა¹.

ამ ინსტიტუტის წინააღმდეგია საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხარიაშვილიც: „კანონპროექტის მიღებისთანავე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წინააღმდეგი ვიყავი. მის შემოღებას მხოლოდ ერთი ფაქტით ვხსნიდი - რადგან საქართველოში სასამართლო არ არსებობდა, მოსამართლე ბეჭედს არტყამდა პროკურორის მიერ შემოტანილ ყველანაირ შუამდგომლობას აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, ვიმედოვნებდი, რომ იქნებ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს პქონოდა ის ფუნქცია, რომ სასამართლოს უსუსურობა დაემალა... თუ გატარდება ინსტიტუციური რეფორმა და სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებს ევროკონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე ანუ სამართლიანი სასამართლოს პრინციპით, თუ პროკურატურას ექნება მხოლოდ ბრალდების ფუნქცია და გამოძიებაში აღარ ჩაერევა, თუ საქართველოში იარსებებს დამოუკიდებელი საგამოძიებო ინსტიტუტი, რომელიც არც ერთ სამინისტროს არ დაექვემდებარება და იქნება ანგარიშგალდებული პარლამენტის წინაშე, მაშინ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საჭირო არ იქნება. მე წინააღმდეგი ვარ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის, ოღონდ მისი გაუქმება უნდა მოხდეს ინსტიტუციური რეფორმის შემდეგ“².

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი გარდაქმნას საჭიროებს: „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი... ვერ ვიტავთ, რომ შეეთვისა ქართულ სამართლებრივ სისტემას. ის საჭიროებს გარდაქმნას... შეგვიძლია შევქმნათ გარანტიები იმისა, რომ... თუკი ხარვეზები ან შეცდომები დაუშვეს, არსებობდეს გასაჩივრების მექანიზმი პროფესიონალ მოსამართლესთან, რაც დღეს არ არსებობს“³.

სამართლის პროფესორის – მინდია უგრეხელიძის შეფასებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვეღარ ამართლებს დღევანდელ პირობებში: „ჯერ ერთი, ძალიან ახანგრძლივებს პროცესს, მეორე – ჯდება უფრო ძვირი და, რაც მთავარია, ძალიან დიდია ცდომილების ალბათობა და პროცენტი“. მაგალითისთვის ასახელებს სიმფსონის საქმეს, რომელმაც „გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ამ ინსტიტუტს“. ამერიკული კინოსა და ფენტურთის შავგანიანი ვარსკელავი სიმფსონი, რომელიც ბრალდებული იყო ცოლის მკვლელობაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომელშიც 9 შავგანიანი იყო წარმოდგენილი, გაამართლა. სიმფსონმა თავის აღვოკატს ირონიულად ჩაულაპარაკა, მგონი მართლა არ მომიკლავსო. შემდეგ საქმე მოხვდა სამოქალაქო სასამართლოში, რომელმაც დაადგინა, რომ სიმფსონმა მოკლა თავისი მეუღლე. ე.ი. დღეს ამერიკაში ერთ საქმეზე არის 2 გადაწყვეტილება: ერთი, სისხლის სამართლის ანუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი,

¹ უნდა გაუქმდეს თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში – რას ფიქრობენ პოლიტიკოსები და იურისტები. 10. 06. 2015. ხელმისაწვდომია: <http://kvira.ge>.

² იხ. იქვე.

³ იხ. იქვე.

რის მიხედვითაც სიმფსონს არ მოუკლავს ცოლი და მეორე, სამოქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მან ის მოკლა¹.

2010 წლიდან დღემდე საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ათიოდე საქმე განიხილა, აქედან ერთ საქმეზე ვერ მიიღო ვერდიქტი, ხოლო საქმეების უმრავლესობაზე მიღებულია გამამტყუნებელი განაჩენი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

ა) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმის განხილვა დიდ დროსა და ხარჯებს საჭიროებს: მსაჯულთა კანდიდატების მოწვევა, მათი გამოკითხვა, შერჩევა, აცილება, საბოლოო სასამართლოს ფორმირება, სოციალური გარანტიები და ა.შ.

ბ) ნაფიცი მსაჯულები არ არიან პროფესიონალი იურისტები და არ იცნობენ კანონმდებლობას. მათ მიერ გადაწყვეტილების მიღებისას შეცდომის რისკი მაღალია, რასაც ისიც ამძაფრებს, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ საჩივრდება. მიმაჩნია, რომ საქმე არაკვალიფიციური მსაჯულის ნაცვლად უნდა განიხილოს იურიდიული განათლების მქონე მოსამართლემ.

გ) ნაფიც მსაჯულებს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოაქვთ გადაწყვეტილება, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. ამასთან დაკავშირებით, ადსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლო 2010 წლის 16 ნოემბერს ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება ბათილად ცნო საქმეში Taxquet v. Belgium (ტაქსებე ბელგიის წინააღმდეგ), ქვეყანა ევროსასამართლოს მე-6 მუხლის დარღვევაში დაადანაშაულა და ბელგიის მთავრობას აპლიკანტისთვის 8.173,22 ევროს გადახდა დააკისრა².

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებები ყოველთვის არ ყოფილა სამართლიანი. აღსანიშნავია არაერთი სასამართლო პროცესი, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა არასწორი გადაწყვეტილებები გამოიტანეს, მათ შორისაა კეისი ენტონის, შონ ბელის, როდნი კინგის, ოსკარ გრანტის და ა.შ. საქმეები.

საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიმართ უნდობლობამ და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებამ წლების წინ განაპირობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შექმნა საქართველოში. სამომავლოდ, თუ ნდობის ხარისხი ამაღლდება სასამართლო ხელისუფლების მიმართ, შემცირდება სახელმწიფოს გავლენა სასამართლოზე, მაშინ ამ ინსტანციის არსებობა, სავარაუდოდ, აზრს დაკარგავს.

¹მ. უგრეხელიძე. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შეიძლება ეწოდოს სასამართლო. 05.06.2015, ხელმისაწვდომია: <http://fact2.ge>.

²შ. ლათათია. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში. 02.02.2011. ხელმისაწვდომია: www.humanrights.ge.

ლალი შაიშმელაშვილი,
სამართლის დოქტორი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დაზღაითი და უარყოფითი მნიშვნელი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უძველესი ტრადიციებისა და ხანგრძლივი ისტორიის მქონე სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც საქართველოში 2010 წლის ოქტომბრიდან ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედების საფუძველზე შეიქმნა. სტატიაში განხილულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობის ისტორია მსოფლიოსა და საქართველოში, შეფასებულია დადებითი და უარყოფითი მხარეები.

LALI SHAISHMELASHVILI,

Doctor of Law

ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF A JURY TRIAL

A Jury Trial, a legal institution with ancient traditions and age-long history was introduced in Georgia on the basis of the new Criminal Code, enforced in October 2010. The scientific paper of Lali Shaishmelashvili „Advantages and Disadvantages of a Jury Trial“ deals with the origin of a Jury Trial in the world and in Georgia and there is assessed its strengths and weaknesses.

ЛАЛИ ШАИШМЕЛАШВИЛИ,

доктор юридических наук

ПОЛОЖИТЕЛЬНЫЕ И ОТРИЦАТЕЛЬНЫЕ СТОРОНЫ СУДА ПРИСЯЖНЫХ

Суд присяжных является правовым институтом с древней традицией и долгой историей. В Грузии он был создан в октябре 2010-го года, на базе нового Уголовного Кодекса страны. В научном труде Лали Шаишмелашвили «Положительные и отрицательные стороны суда присяжных», рассмотрена история происхождения суда присяжных в мире и в Грузии, оценены положительные и отрицательные стороны этого института.

გავშვთა უფლებების დაცვა უთანასწორობისას და უგულებელყოფისას ოჯახსა და საგანვითლებლო დაწისძულებები

მთავარი სამართლებრივი აქტი, რომელიც ბავშვებს ეხება, „ბავშვთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენცია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქნება არასრულწლოვან პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ე.წ. „მსოფლიო ბავშვთა კონსტიტუცია“, რომელიც მიღებულია 1989 წელს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს, როცა მეოცე სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიცირება, ხოლო საქართველოში კონვენცია ძალაშია 1994 წლიდან. კონვენციის მიხედვით, ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებლად უნდა იყოს დაცული. ქენევის ბავშვთა უფლებათა დეკლარაციით, „ბავშვს, ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“¹ დაცვის უფლება გულისხმობს მშობლების ან სხვა პირის მხრიდან ძალადობისა და უთანასწორობისაგან ბავშვის დაცვას. ეს იქნება ფიზიკური, ფსიქოლოგიური ძალადობა, დაუდევარი მოპყრობა თუ უგულებელყოფა. ბავშვის ზრდა-განვითარებასთან ერთად მათი დამოუკიდებლობაც იზრდება. ისინი დროის უმეტეს ნაწილს ოჯახის გარეთ ატარებენ, რის გამოც ხშირად გარეშე პირთა ძალადობის მსხვერპლი ხდებიან.

ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ემოციურ მდგრადობას. როცა ადამიანი დისკომფორტს განიცდის, საფრთხე ემუქრება ემოციურ სფეროს, რასაც შფოთვა მოჰყვება. ტრაგმირებული ბავშვის განვითარება ფერხდება როგორც ფიზიკური, ისე კოგნიტური მიმართულებით. სკოლაში მიღებული გამოცდილება განაპირობებს ბავშვის შემდგომ განვითარებას და ამიტომ არის პიროვნების ფორმირება სკოლის პრიორიტეტი. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, სკოლა ვალდებულია ხელი შეუწყოს შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებას განურჩევლად მათი მსოფლიმხედველობრივი კუთვნილებისა, ² ასევე სკოლა ვალდებულია თანასწორობის საფუძველზე დაიცვას უმცირესობათა წევრების ინდივიდუალური უფლება. „ბავშვთა უფლებათა შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, ბავშვი არ უნდა დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს ცალკე მუხლს ბავშვთა უფლებათა დაცვის შესახებ. მაგრამ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა თავისი პრეცედენტული სამართლით, რომ ბავშვთა უფლებები უნდა იყოს დაცული ოჯახურ ცხოვრებასთან მიმართებით და მის საუკეთესო ინტერესსაც უნდა შეესაბამებოდეს. ასე

¹ კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ, 1989.

² საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005.

რომ, ბავშვთა უფლებებთან მიმართებით, ევროპული კონვენციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შეასრულოს არა მხოლოდ ნებატიური, არამედ პოზიტიური ვალდებულებაც. სასამართლომ მრავალჯერ განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა ბავშვის სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ ყოფნას.¹ ეს შეიძლება იყოს დროებითი დონისძიება და მიზნად ისახავდეს მშობლის უფლების შეზღუდვას გარკვეული პერიოდით ან იყოს სამუდამო დონისძიება და მიზნად ისახავდეს ბავშვის შემდგომ გაშვილებას სხვა ოჯახში. მშობლის უფლების ჩამორთმევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახურ ცხოვრებაზე და სახელმწიფოს განსაკუთრებული მიზეზი უნდა ჰქონდეს ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევისათვის. სახელმწიფოს ვალდებულებად გამოიკვლიოს ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის მიზეზი. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფომ ჯეროვნად უნდა გამოიკვლიოს მიზეზი, რომელიც შეიძლება ოჯახური ცხოვრების შეზღუდვის საფუძველი გახდეს. საქმე, რომელიც იყო გერმანიის წინააღმდეგ, ეხებოდა მოსარჩევლებს, რომლებიც იყვნენ თურქული წარმოშობის ავსტრიის მოქალაქეები. მათი შვილები – 12 წლის გოგო და 8 წლის ბიჭი ამტკიცებდნენ, რომ მამა მათ სცემდა, ამის გამო 2008 წელს მშობლებს ჩამოართვეს მშობლის უფლება, ხოლო ბავშვები დაუქვემდებარეს სახელმწიფო მზრუნველობას, მშობლებსა და ბავშვებს შორის კონტაქტის უფლების გარეშე.² წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ გოგონამ აღიარა, რომ იტყუებოდა და არც ერთ მშობელს არასოდეს უცემია, იგივე დაადასტურა მმამაც. როგორც აღმოჩნდა, საოჯახო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე ხოციალური სამსახურიც დაეყრდნო მხოლოდ ბავშვების განცხადებებს, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები ძალადობის ფაქტებს უარყოფდნენ. მშობლების განცხადებით, არც ექიმებს და არც ფსიქოლოგს არ წარუდგენიათ რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ბავშვების განცხადების სისწორეს. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის ერთადერთი საფუძველი იყო ბავშვების განცხადება და არ არსებობდა ძალადობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გერმანიის საოჯახო სასამართლოს უნდა ჩაეტერებინა მოკვლევა შესაბამისი ფაქტის დადგენის მიზნით, ეროვნულმა სასამართლოებმა არ წარმოადგინეს საკმარისი დასაბუთება, აქედან გამომდინარე დაარღვიეს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც ეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას.

სახელმწიფო ვალდებულია, გონივრულ ვადაში განიხილოს ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პროცესი, რადგან ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ რაიმე პროცედურულმა დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს სასამართლოსთვის წარდგენილი საკითხის ფაქტობრივი განსაზღვრა, ვიდრე ის მას განიხილავს. ოჯახური ცხოვრების დაცვა მოითხოვს, მშობელსა და შვილს შორის მომავალი ურთიერთობა განისაზღვროს ყველა შესაბამისი გარემოების გათვალისწინებით და არა უბრალოდ დროის გასვლით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესებს მშობლების მირითად უფლება-მოვალეობებს შვილების მიმართ, ადგენს მათი განხორციელების საზღვრებს. არ შეიძლება მშობლების უფლება-მოვალეობების გამოყენება შვილების ინტერესების საწინააღმდეგოდ. შვილების ინტერესში იგულისხმება აღზრდასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, ეს

¹ ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი, 1950.

² ბოხაშვილი ბ, კორკელია კ. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფო ვალდებულებები. თბ, 2017 გვ. 185.

იქნება მორალური, კანონის მოთხოვნებთან შესაბამისი თუ მატერიალური. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის აღზრდის ზნეობრივ მხარეს.¹

ბავშვის აღზრდისას მშობლებმა არ შეიძლება განაცხადონ პრეტენზია შვილების მხრიდან მოვალეობაზე, რადგან ბავშვთა უფლებათა კონვენციაში საუბარია მხოლოდ ბავშვის უფლებებზე და არა მოვალეობებზე. მხოლოდ არგენტინის სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს შვილების მოვალეობას მშობლების მიმართ და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „მშობლებს უმეტესად ვალდებულებები გააჩნიათ, ხოლო შვილებს უფლებები, მიუხედავად ამისა ისინი ვალდებული არიან ითანამშრომლონ და დაეჭვემდებარონ მშობლების გადაწყვეტილებებს, თუ ის არ ეწინააღმდეგება შვილების საუკეთესო ინტერესებს. ბავშვები, მათი ასაკის შესაბამისად, ვალდებული იქნებიან ასევე იზრუნონ მშობლებზე ან აღმზრდელებზე.“ მშობელსა და შვილს შორის აღზრდის დემოკრატიული მიღვომა განაპირობებს შვილის დამოუკიდებელ ცხოვრებას და საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედებას.

გამოკვლევები ადასტურებს, რომ ძალადობისა და უგულებელყოფის ფორმები ურთიერთდაკავშირებულია. ხშირად ძნელია ზღვარის გავლება იმათ შორის, თუ რომელი ქმედებაა განზრას ჩადენილი და რომელი უვიცობით ან მზრუნველობის ნაკლებობით. ბავშვის უგულებელყოფა არის ბავშვთა შეურაცხყოფის ყველაზე გავრცელებული ფორმა. ბავშვის უგულებელყოფის ნიშნები შესაძლოა გამოჩნდეს ზრუნვაში, ფიზიკურად, ბავშვისათვის განათლების მიცემაში ან რაიმე განსაკუთრებული საჭიროებისადმი ყურადღების ნაკლებობაში.

ასეთი ბავშვი არის დეპრესიაში, იქცევა თვითნებურებული და რეგულარული არის დაღლილი, იძინებს კლასში, ნაკლებად ენდობა სხვებს, არაპროგნოზირებადია. ზოგჯერ ბავშვი აღიარებს, რომ სახლში არავინ ზრუნავს მასზე ან საერთოდ არ იცის რა არის მზრუნველობა. უმეტეს შემთხვევაში, უგულებელყოფა განიხილება, როგორც ბოროტება. მიტოვება ასევე ითვლება უგულებელყოფად მრავალ ქვეყანაში.² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1193¹ მუხლით ბავშვის მიტოვებულად აღიარება განისაზღვრება „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით. „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში მიტოვებული ბავშვი განიმარტება, როგორც 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად სასამართლოს მიერ აღიარებულია მიტოვებულად და რომლის მშობელს (მშობლებს) ამ ბავშვის მიმართ ჩამორთმეული აქვს (აქვთ) მშობლის უფლება-მოვალეობა.³

ინდოეთში უგულებელყოფის საკითხზე ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ გოგონები ბიჭებთან შედარებით უფრო ხშირად არიან უგულებელყოფილი ჩვილობის ასაკში. კერძოდ, გოგონები უფრო იშვიათად დაჰყავთ სამედიცინო დაწესებულებებში და უფრო გვიან მიმართავენ ამ დაწესებულებებს მათი ავადმყოფობის შემთხვევაში. იგივე ხდება ნეპალში. ჩინეთში სქესის თანაფარდობა გაუწონასწორებულია ბიჭების სასარგებლოდ, რაც ახალშობილ ჩვილთა დახოცვას უკავშირდება.⁴ ეს ბავშვები ზრუნვის მიკერძოებაზე მიუთითებს. ანტიდისკრიმინაციული სამართალი კრძალავს შემთხვევებს, როდესაც

¹ შენგელია რ, შენგელია ე. საოჯახო სამართალი. თბ.: მერიდიანი, 2013, გვ. 236.

² Tracy N, What is Child Neglect? www. healthyplace. com/abuse/child-abuse-information/what-is-child-neglect.

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბილისი, 1997, 1193-ე მუხლი.

⁴ პინგირო პ. მხოლოდ მოხსენება თემაზე „ძალადობა ბავშვის მიმართ“. გაეროს გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ, 2014.

ადამიანებს იდენტურ სიტუაციაში სხვადასხვაგვარად ეპყრობიან და როცა ადამიანებს განსხვავებულ სიტუაციაში იდენტურად ეპყრობიან. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, „ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამონაკლისი სამართლიანი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას.“ ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით, „ბავშვთა ინტერესების საუკეთესო დაცვა უნდა წარმოადგენდეს უპირველესი ყურადღების საგანს ბავშვთა უფლების დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი საშუალებების გამოყენებისას და რომ დაცვის ამგვარი საშუალებები უნდა ითვალისწინებდეს ყველა დონეზე ისეთი პროცედურების გამოყენებას, რომლებიც პასუხობს ბავშვის მოთხოვნილებებს.“¹

თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად ტრანსფორმაცია განიცადა ბავშვთა ცხოვრების წესმა,² მათმა სოციალურმა კომუნიკაციამ გადაინაცვლა ინტერნეტსივრცეში. შესაბამისად, სახე იცვალა მშობლის სტატუსმაც. ადრე მშობლის მიზანი იყო წარმოებინა თავისი შვილი გარე სამყაროსათვის, ახლა მშობელი ცდილობს დაიცვას თავისი შვილი გარე სამყაროსაგან. იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს ბავშვის ექსპლუატაციას, დაუდევარ მოპყრობას, უგულებელყოფას და ზოგადად ძალადობას, ასევე უთანასწორობას, უმნიშვნელოვანებია, ერთი მხრივ, მშობლების განათლება, მათი მომზადება ბავშვებთან ურთიერთობისათვის და, მეორე მხრივ, ბავშვთა უფლებების შესწავლას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომ ბავშვი მომავალში ჩამოყალიბდეს სრულფასოვან პიროვნებად.

¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი შეტყობინების პროცედურების შესახებ, 2011.

² ჯაფარიძე ქ. მშობლებისა და შვილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობა. თბ.: იურისტების სამყარო, 2018, გვ. 93.

მარიამ მამულაშვილი,
სამართლის დოქტორი

ნანა როსეპაშვილი,
სამართლის დოქტორი

ბავშვათა უფლებების დაცვა უთანასწორობისა და უგულებელყოფისას ოჯახსა და საბანდანათლებლო დაწესებულებებში

ბავშვთა უფლებები პრიორიტეტულია ოჯახში. ბავშვის უფლებათა დაცვა გულისხმობს მშობლების ან სხვა პირთა მხრიდან ძალადობისა და უთანასწორობისაგან ბავშვის დაცვას. აღნიშნული შეიძლება იყოს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა, დაუდევარი მოპყრობა, ექსპლუატაცია, უგულებელყოფა.

ბავშვთა ზრდა-განვითარებასთან ერთად მათი დამოუკიდებლობაც იზრდება. ისინი დროის დიდ ნაწილს ოჯახის გარეთ ატარებენ, რის გამოც ხშირად შეიძლება გარეშე პირთა ძალადობის მსხვერპლი გახდნენ, რაც მათი გატაცებით, სხვადასხვა დაჯგუფებაში გაერთიანებით, საკუთარი უპირატესობის დამტკიცების სურვილითაა გამოწვეული. არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობრივ ქმედებებში ხშირად იკვეთება სხვადასხვა ტიპის დანაშაულის ნიშნები, რომლებიც შესაბამისი კანონით ისჭება.

აღზრდის დემოკრატიული სტილის თნახმად, შვილი მიიჩნევა მშობლის პარტნიორად და მისი ყოველი ინიციატივა მოსმენილი და გათვალისწინებულია. ასეთი მიდგომა განაპირობებს ადსაზრდელის დამოუკიდებელ ცხოვრებას და საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედებას.

ბავშვის უგულებელყოფა არის შეურაცხყოფის ყველაზე გავრცელებული ფორმა. გამოკიდებულები ადასტურებს, რომ ძალადობისა და უგულებელყოფის ფორმები ურთიერთდაკავშირებულია. ხშირად ძნელია ზღვრის გავლება, რომელი ქმედებაა განზრას ჩადენილი და რომელი უვიცობით ან მზრუნველობის ნაკლებობით.

MARIAM MAMULASHVILI,
Doctor of Law

NANA ROSEPASHVILI,
Doctor of law

PROTECTING CHILDREN RIGHTS FROM INEQUALITY AND NEGLIGENCE IN FAMILY AND EDUCATIONAL ORGANIZATIONS

Children rights are prioritii in family. Protection of rights means protecting child from violence and inequality by parents, or other persons. This may be physical, psychological violence, negligent treatment, exploitation or neglect.

When children grow they become more independent. They spend more of time out of family, because of that they often become victims by outside persons, that is caused by their enthusiasm, joining in different groups, desire of proving predominance. Different types of crimes are appeared in acts of violence of juveniles, which is punishable by law.

According to the upbringing of a democratic style, child is considered as a parent's partner and his each initiative is listened and taken into account. Such attitude provides his independent life and acting on his own responsibility.

Negligence of child is the widespread form of children insulting. The studies confirm, that the forms of violence and negligence are interconnected. Often it is very difficult to margin, which act is intentional and which is by ignorance or lack of care.

МАРИАМ МАМУЛАШВИЛИ,
доктор права

НАНА РОСЕПАШВИЛИ,
доктор права

ЗАЩИТА ПРАВ ДЕТЕЙ ОТ НЕРАВЕНСТВА И ПРЕНЕБРЕЖЕНИЯ В СЕМЬЕ И УЧЕБНЫХ ЗАВЕДЕНИЯХ

Права детей являются приоритетными в семье. Защита прав ребенка подразумевает защиту ребенка от насилия и неравенства от родителей или других лиц. Это может быть физическое или психологическое насилие, небрежное обращение, эксплуатация, пренебрежение.

С ростом и развитием детей их независимость возрастает. Они проводят много времени вне семьи. Часто они могут стать жертвами насилия, что связано с их увлечениями, объединением их в различные группы, желанием доказать свое превосходство. Насильственные действия в отношении несовершеннолетних часто обозначаются различными видами преступлений, которые наказуемы соответствующими законами.

Согласно с демократическим стиля воспитания, ребенок считается партнером родителя, и его каждая инициатива слышится и принимается во внимание. Такой подход ведет ребенка к самостоятельной жизни и он становится ответственным за свои действия.

Пренебрежение к детям является наиболее распространенной формой жестокого обращения с детьми. Исследования показывают, что формы насилия и пренебрежения взаимосвязаны. Часто бывает трудно найти разницу между намеренно совершенным действием и отсутствием знаний или отсутствием заботы.

ზღვარი არაპირდაპირ განხრახვასა და თვითიმედოვნების შორის

სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა დანაშაულთა ზუსტი კვალიფიკაციაა. ეს საკითხი სამართლის არსებობის დღიდან მეცნიერთა განხჯის საგნად იქცა, თუმცა მათი ერთ აზრზე შეჯერება შეუძლებელი აღმოჩნდა. სწორედ ასეთ სადაც საკითხს მიეკუთვნება არაპირდაპირი განხრახვითა და თვითიმედოვნებით ჩადენილ დანაშაულთა ერთმანეთისგან გამიჯვნა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაული არის მართლ-საწინააღმდეგო ბრალეული ქმედება, რომელშიც შედის მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.¹ სიტყვა მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართლში საკმაოდ მოზომილი ტერმინია, ვინაიდან სწორედ ის განსაზღვრავს რამდენადაა კონკრეტული ქმედება დანაშაულის საწინდარი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი განმარტავს არაპირდაპირ განხრახვას და მიიჩნევს, რომ ქმედება არაპირდაპირი განხრახვითაა ჩადენილი თუ პირს გაცნობიერებული პქონდა თვითი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი კი გვთავაზობს თვითიმედოვნების განმარტებას და ამბობს, რომ ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი თუ პირს გაცნობიერებული პქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმდოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. ვინაიდან კანონშემოქმედებითობა იმდენად როგორი პროცესია, რომ ნორმატიულ აქტებში გამოყენებულ სასვენ ნიშნებსაც კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამ თრ შემთხვევაშიც აუცილებელია ყველა სიტყვა და ამ სიტყვის უკან მდგარი აზრი მკაცრად იქნეს ერთმანეთისგან გამიჯნული. სანამ ამ თრი მუხლის განმარტებას დაიწყებდეთ საინტერესოა არსებულ საკითხთან მიმართებაში წამყვანი მეცნიერების მოსაზრება, რომლებმაც, არსებული საკითხის სირთულიდან გამომდინარე, თეორიაც კი შექმნეს არაპირდაპირი განხრახვითა და თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულების გასამიჯნად, რასაც “აცდენილი ისრის”² თეორია ეწოდა. როდესაც პროფესორი გურამ ნაჭყებია თვითიმედოვნების განმარტებას გვთავაზობს, ამბობს, რომ გაუფრთხილებლობის დროს სუბიექტი აცნობიერებს იმას, რომ ქმედება, რომელსაც ის სჩადის, წინდახედულობის ნორმითაა აკრძალული.³ ამით ის აღიარებს, რომ ქმედების სამართლებრივი შინაარსი განსაზღვრავს შედეგის სამართლებრივ კვალიფიკაციას. სწორედ ამ საკითხის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას შეეცადა აკადემიკოსი თინათინ წერეთელიც და მიიჩნია, რომ თუ ვინმეს გადაწყვეტილი პქონდა განსაზღვრული პირის მოკვლა, მაგრამ მის მიერ გამოყენებული იარაღი ან საშუალება ამ პირს აცდა და სხვა ადამიანს მოუსპო სიცოცხლე, პირის ქმედება დაკვალიფიცირდება

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის 1-ელი ნაწილი.

² ლათ. “Aberration Ictus” მერაბ ტურავა. სისხლის სამართლი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. მერიდიანი, 2013 წ. გვ. 158.

³ გურამ ნაჭყებია. სისხლის სამართლის სახელმძღვანელო. ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2015 წ. გვ. 393.

დანაშაულის იდეალური ერთობლიობის წესით – ერთი პირის განზრას მკვლელობის მცდელობა და მეორე პირის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა.¹ ეს მოსაზრება გაიზიარა პროფესორმა მერაბ ტურავამაც და თავის ზოგად სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში თვითიმედოვნების შემდეგნაირი განმარტება შემოგვთავაზა: “თვითიმედოვნების დროს პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძღლოდ იმედოვნებს, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებს: სწორედ ამიტომ ეწოდება თვითიმედოვნებას შეგნებული ანუ გაცნობიერებული გაუფრთხილებლობა”.² მათი თვითიმედოვნებისადმი მსგავსი დამოკიდებულება ფაქტობრივად თავდაყირა აუკრიბებს კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილს, სადაც თვითიმედოვნება, როგორც შედეგის მიმდები ქმედება, არის არა მართლწინააღმდეგობა, არამედ წინდახედულობის ნორმების დარღვევა. სწორედ წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედებით გამოწვეული დანაშაულის მაგალითია პროფესორ მერაბ ტურავას მაგალითი გაუფრთხილებლობასთან დაკავშირებით, რომელსაც იგი იშველიებს ზემოთ აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად, სადაც ქმედების კვალიფიკაციაში ცალსახად ემიჯნება მართლწინააღმდეგობას. კერძოდ: ა-მ ფანჯრიდან გაუშესებული უთო გადააგდო, რომელიც თავზე დაეცა ბ-ს და მოკვდა. ა-მ დაარღვია წინდახედულობის ნორმა.³ უფრო კონკრეტულად რომ აღნიშნულოთ, ვინაიდან ქმედება (ფანჯრიდან უთოს გადაგდება), რომელიც არ არის მიმართული ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისკენ, არ ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით, არის წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, რასაც მოჰყვა გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, დანაშაულის კვალიფიკაცია გაუფრთხილებლობად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დანაშაული გამოიწვია მხოლოდ წინდახედულობის ნორმით აკრძალულმა ქმედებამ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონშემოქმედებითობა საკმაოდ რთული პროცესია. მოსამართლე ვალდებულია სუბსუმციის ფარგლებში ფაქტობრივ გარემოებებს ნორმატიული აქტები ზუსტად და ლაკონურად შეუსაბამოს. დაუშვებელია კანონთა ინტერპრეტირება და მასში გამოყენებულ ტერმინთა უგულებელყოფა. არსებული მიდგომიდან გამომდინარე, არაპირდაპირი განზრახვისა და თვითიმედოვნების მუხლებში ნათლად და ნორმატიულად იკითხება, რომ მათ შორის პირველი და ძირეული განსხვავება სწორედ ქმედების კვალიფიკაციაშია და იმისთვის რომ დანაშაული დაკავლიფიცირდეს არაპირდაპირ განზრახვად, სახეზე უნდა გვქონდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თვითიმედოვნების დროს კი – წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება.⁴ კანონმდებელმა მნიშვნელოვნად ჩათვალა ამ ორი სხვადასხვა ქმედების გამიჯვნა და ამიტომაც შემოგვთავაზა მუხლების მსგავსი დეფინიცია. განსხვავებულ კვალიფიკაციას გვთავაზობს პროფესორი თამაზ დონჯაშვილი და ევენტუალური განზრახვის მისეულ მაგალითში განმარტავს, რომ თუ მშენებლობის დროს პირი ყოველგვარი გამაფრთხილებელი წესების უგულებელყოფით

¹ ე. მაკავაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე. დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარი, 1980 წ. გვ. 13.

² მერაბ ტურავა. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. მერიდიანი, 2013 წ. გვ. 245.

³ მერაბ ტურავა. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. მერიდიანი, 2013 წ. გვ. 245.

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილი და მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი.

ისვრის სახლის სახურავიდან ხალხმრავალ ქუჩაში კრამიტს, თანაც ითვალისწინებს, რომ ამით შეიძლება ზიანი მიაყენოს გამვლელს, იგი პასუხს აგებს ევენტუალური განზრახვით გამოწვეული სხეულის დაზიანებისთვის.¹ ვერც ეს კვალიფიკაცია ჩაითვლება ჭეშმარიტად, ვინაიდან პირი, რომელიც გამაფრთხილებელი წესების დარღვევით ისვრის სამშენებლო მასალას, არ არის ორიენტირებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისაკენ და მისი განზრახვა არა სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა, არამედ საკუთარი საქმიანობის არაჯეროვანი შესრულებაა, რასაც შესაბამისად მოჰყვება ადამიანის სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანება.

დავუბრუნდეთ “აცდენილი ისრის” თეორიის კვალიფიკაციას. მისი შინაარსიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ პირი მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ. არსებულ სიტუაციაში არ აქვს მნიშვნელობა დანაშაულის ობიექტს, ვინაიდან არ შეიძლება ქმედებას ჰქონდეს რამდენიმე კვალიფიკაცია, რადგან ქმედება ან არღვევს წინდახედულობის ნორმებს, ან არის მართლსაწინააღმდეგო. ადამიანისაკენ ნასროლი ტყვია, რომელიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლის მოსპობისკენ, ცალსახად არის მართლსაწინააღმდეგო როგორც ა-ს, ისე ბ-ს მიმართ. სწორედ ამიტომ ქმედების მართლწინააღმდეგობიდან და სისხლის სამართლის კოდექსის მე-108 მუხლით გათვალისწინებული ნორმის დარღვევის სურვილიდან გამომდინარე, ბ-ს მიმართ კვალიფიკაცია იქნება არაპირდაპირი განზრახვა. ამ მიდგომას ეხმაურება ავტორთა კოლექტივის მიერ შემუშავებული ფორმულირებაც, რაც გულისხმობს, რომ ევენტუალური განზრახვის დროს სუბიექტი თავისი ქმედებით შეგნებულად უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგს. მართალია გურამ ნაჭებით ზუსტ წითელ ხაზს არ ავლებს მართლწინააღმდეგობასა და წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებას შორის, მაგრამ არაპირდაპირი განზრახვისას ცალსახად მიიჩნევს, რომ პირს აქვს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის განზრახვა.²

ამ მოსაზრებას ამყარებს სასჯელი, სადაც კონკრეტულადაა ჩაშლილი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების მთავარი მიზნები. ესენია: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.³ სისხლის სამართალი არ ითვალისწინებს ადამიანის მორალურ განწყობას, რამდენად მართებულად ჩაიდინა მან მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სისხლის სამართალი ებრძვის მართლსაწინააღმდეგო კონკრეტულ შედეგს და პარალელურად უფრო მკაცრად სჯის მას, ვინც მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ვფიქრობთ სწორედ ამ ორი კომპონენტის გათვალისწინებით დადგა იმის აუცილებლობა, რომ არაპირდაპირი განზრახვა და გაუფრთხილებლობა მკაცრად გამიჯნულიყო ერთმანეთისგან, რათა სასჯელი ყოფილიყო შესაბამისი და ადეკვატური.

არასწორად მივიჩნევთ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის კვალიფიკაციას მხოლოდ ამ ორი სიტყვის შინაარსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე ანუ ჰქონდა თუ არა დამნაშავეს კონკრეტული პირის მიმართ რაიმე განზრახვა. საქმე იმაშია, რომ სისხლის სამართლის შექმნის მიზანი არ არის კონკრეტული ადამიანის დაცვა, მისი მიზანი საჯარო

¹თამაზ დონჯაშვილი. საქართველოს სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2007 წ. გვ. 167.

²ავტორთა კოლექტივი. სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო). მერიდიანი, 2016 წ. გვ. 191.

³საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

წესრიგის უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი სიმშვიდის ხელშეუხებლობაა,¹ რაც სისხლის სამართლის კოდექსის მკაცრ დაცვაში რეალიზდება. სწორედ ამიტომ საზოგადოებაში გავრცელებული მიღგომისაგან განსხვავებით, განზრახვის ტერმინის განმარტება სულაც არ გულისხმობს კონკრეტული პიროვნებისადმი რაიმე მიზნის განხორციელების არსებობას ან არარსებობას. სისხლის სამართლებრივი ენით გასამიჯნი ხდება რამდენად ჰქონდა კონკრეტულ ადამიანს სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედების ჩადენის განზრახვა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირი მოქმედებს განზრახვით მხოლოდ მაშინ, როდესაც მას განზრახული აქვს სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედების ჩადენა.

არსებული მიღგომიდან გამომდინარე, საინტერესოა რა სამართლებრივი შედეგი დადგება მას შემდეგ, რაც აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედი პირი ხელშეულის მაგივრად გაუაზრახებლად დააზიანებს მესამე პირს. უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან აუცილებელი მოგერიება არის სწორედ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება და მის ფარგლებში მოქმედი პირის ქმედების განზრახვა არ არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დადგევა,² მესამე პირისადმი ჩადენილი დანაშაული ცალსახად უნდა დაკვალიფიცირდეს გაუფრთხილებლობად.

მართალია, საქართველო გერმანული სამართლის ოჯახს მიეკუთვნება, თუმცა ქართული რეალობისგან განსხვავებით გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი არ გვთავაზობს განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ზუსტ დეფინიციას,³ რაც არსებული პრობლემის სუბსუმციის ფარგლებში გადაწყვეტას გამორიცხავს. შესაბამისად, ამ ორი ქმედების კვალიფიკაციისას გერმანელი მოსამართლეები არ არიან შეზღუდულნი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ზუსტი განმარტებით და მათ მიერ შემუშავებული დოქტრინები არ მოდის გერმანულ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მე-9 და მე-10 მუხლების ზუსტ განმარტებას გვთავაზობს, გადასახედია ბატონი მერაბ ტურავას და სხვა მეცნიერთა შეხედულებები არსებულ საკითხთან დაკავშირებით და გასათვალისწინებელია, რომ არაპირდაპირი განზრახვითა და თვითიმედოვნებით ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციისას კუმულაციურად ყურადღება უნდა მიექცეს ორ უმთავრეს ფაქტორს: 1) ქმედების მართლწინააღმდეგობას და 2) დანაშაულის ჩადენის განზრახვას.

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილი და 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

³ Strafgesetzbuch, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი.

ნიკოლოზ ცერეტელი,
სამართლის ბაკალავრი

ზღვარი არაპირდაპირ განზრახვასა და თვითიმედოვნებას შორის

სტატია ეხება სამართალმცოდნეობაში არსებულ ისეთ პრობლემატურ საკითხს, როგორიცაა განზრახვითა და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულების ერთმანეთის-გან გამიჯვნა. ნაშრომში განხილულ წამყვან მეცნიერთა მოსაზრებებისგან განსხვავებით, ნაჩვენებია რომ არაპირდაპირი განზრახვითა და თვითიმედოვნებით ჩადენილ დანაშაულთა კვალიფიკაციისას კუმულაციურად უურადღება უნდა მიექცეს ორ უმთავრეს ფაქტორს: ქმედების მართლწინააღმდეგობას და დანაშაულის ჩადენის განზრახვას.

NIKOLOZ TSERETELI,
Bachelor of Law

THE BOUNDARY BETWEEN INDIRECT INTENTION AND RECKLESS MISCONDUCT

This article refers to a distinction between intent crimes and crimes committed with negligence, which nowadays stands, as a problematic legal issue. This article unlike of leading scholars opinions states, that for the qualification of a crime, as indirectly intentional, or as an act of reckless misconduct, two main cumulative factors must be taken into consideration - unlawfulness of an act and intent to commit a crime.

НИКОЛОЗ ЦЕРЕТЕЛИ,
бакалавр права

ГРАНИЦА МЕЖДУ КОСВЕННЫМ УМЫСЛОМ И САМОНАДЕЖНОСТЬЮ

Эта статья относится к разграничению между умышленными преступлениями и преступлениями, совершенными с неосторожностью, что в настоящее время является важной правовой проблемой. Эта статья, в отличие от мнений ведущих ученых, гласит, что для квалификации преступления, как деяния, совершенного с косвенным умыслом, или как акта самонадеянности, необходимо учитывать два основных кумулятивных фактора - противоправность действия и намерение совершить преступление.

მიზანია და დიპლომატიური ურთიერთობები

ოცდამეტოე საუკუნეში მიგრაცია მსოფლიოში სხვა მრავალ გამოწვევასთან ერთად კვლავ რჩება საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ მწვავე და მნიშვნელოვან საკითხად. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური უთანასწორობა და კეთილდღეობისკენ სწრაფვა არის ის მთავარი გამოწვევი მიზეზი, რაც ადამიანებს აიძულებს დატოვონ საკუთარი სამშობლო. დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოში 240 მილიონამდე საერთაშორისო მიგრანტი და 740 მილიონამდე სახელმწიფოს შიგნით არსებული მიგრანტია, რაც მათემატიკურად ყოველი 7 ადამიანიდან 1 მიგრანტს ნიშნავს. მიგრანტთა რაოდენობა ყოველდღიურად მატულობს, რასაც ასევე ხელს უწყობს მასმედია და ინტერნეტი, როგორც მასობრივი ინფორმაციის წყარო. ინტერნეტისა და მედიის საშუალებით ადამიანები უფრო მეტად არიან ინფორმირებულები თუ რა ხდება მათ გარშემო პლანეტის სხვადასხვა წერტილში და, აქედან გამომდინარე, მარტივად იღებენ გადაწყვეტილებას დანიშნულების ადგილის არჩევისას. აქვე უნდა ითქვას, რომ მიგრაციის პრობლემა კვლავ გაგრძელდება, ვინაიდან მსოფლიო ბანკის მიერ გამოცემულ რეპორტებში ნავარაუდებია, რომ 2050 წლისათვის დედამიწაზე 400 მილიონი მიგრანტი იქნება.¹

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიგრაციისა და სახელმწიფოთაშორისი დიპლომატიური ურთიერთობები დღემდე არ არის საფუძვლიანად გამოკვლეული. საერთაშორისო ურთიერთობისა და ადამიანთა თავისუფლად მიმოსვლას შორის ურთიერთკავშირის აქტიური ძიება მეცნიერებმა დაიწყეს მას შემდეგ, რაც 2011 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში და შემდგომ უმავე ლონდონსა და მადრიდში მოხდა მასშტაბური ტერორისტული აქტები. აშშ-ში მომხდარი ტერორისტული აქტი გახდა საფუძველი მსოფლიოში მიგრაციის პოლიტიკის რადიკალური ცვლილებისა.

ჯერ კიდევ 1992 წელს, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორმა მირონ ვაინერმა განაცხადა, რომ მიგრაცია „დიდი ხანია გასცდა მიგრაციისა და შრომის მინისტრთა კომპეტენციას და ის თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო პოლიტიკის, სახელმწიფოთა მეთაურების და უშიშროების სამსახურების აქტიური ჩართულობის საგანია“².

როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში საზოგადოების დიდ ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ, უფრთხის დიდი რაოდენობით მიგრანტთა ქვეყანაში დაფუძნებას. მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტთა საზოგადოებაში ინტეგრაციას ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების გაუმჯობესება ახლავს, მაინც არსებობს მიგრაციის შესახებ წარმოდგენა, რომ ის საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას და სოციალურ წესრიგს. ამ წარმოდგენებიდან და ბოლო ათწლეულებში მომხდარი მოვლენებიდან გამომდი-

¹ Lydia Akinyi Ayieko, Assesment of How Migration Promotes Diplomatic Relations in Kenya (University of Nairobi Institute of Diplomacy and International Studies (IDIS), october 2016) 10

² Hourani, GuitaGeroges, Bilateral Relations, Security and Migration: Lebanese Expatriates in the Gulf States (June 1, 2014). European Scientific Journal June 2014 /SPECIAL/ edition vol.1 ISSN: 1857-7881 (Print) e-ISSN 1857-7431. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2719406>

ნარე, მსოფლიომ შედეგად მიიღო გამკაცრებული სავიზო პოლიტიკა, გარკვეულ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა, თითოეული პიროვნების სკრუპულობული შემოწმება (მათ შორის პოლიტიკური შეხედულებები, სამუშაო ადგილი, რელიგიური კუთვნილება) და მონაცემთა ბაზებში აღრიცხვა. აღნიშნული ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ განხორციელდეს კონტროლი და ზედამხედველობა არა მხოლოდ მათზე, ვისაც უარი ეთქვა ამა თუ იმ ქვეყნაში შესვლაზე, არამედ მათზეც, ვისაც უფლება მიეცა ლეგალურად გადაეკვეთა სახელმწიფო საზღვარი. მომეტებული ტერორიზმის საფრთხიდან გამომდინარე, მსოფლიოს მოსახლეობა ითხოვს გამკაცრებულ საიმიგრაციო პოლიტიკას. ამის უკეთებზე თვალსაჩინო მაგალითებია აშშ-ის უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც დონალდ ტრამპის საარჩევნო პიარკამპანია მეტწილად სწორედ საიმიგრაციო საკითხებზე იყო დაფუძნებული და დიდ ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმი ევროკავშირიდან გასვლის შესახებ. მოსახლეობაში არსებობს შიში და ამ შიშიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, შედეგად ვიღებთ არარაციონალურ გადაწყვეტილებებს, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოები და მათი მოქალაქეები ერთმანეთთან დიპლომატიური კორპუსის მეშვეობით (საელჩოები, საკონსულოები) ამჟარებენ ურთიერთობას. სახელმწიფოთა შორის არსებობს როგორც კეთილგანწყობილი, ისე არაკეთილგანწყობილი დიპლომატიური ურთიერთობები, რაზეც ისტორიული, პოლიტიკური და მრავალი სხვა ასპექტი ახდენს ზეგავლენას. რაც უფრო მეგობრული და დიპლომატიური ურთიერთობა აქვს სახელმწიფოებს, მით უფრო მარტივად ხდება მათი მოქალაქეთა ინტეგრაცია და საზოგადოებაში ასიმილაცია. მეგობრული დიპლომატიური ურთიერთობის მნიშვნელობა არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ მოქალაქეთა მიმოსვლის თავისუფლებასა და მასპინძელ სახელმწიფოში მარტივად დაფუძნების ჭრილში. სავაჭრო საქმიანობა და კაპიტალის მოძრაობა (ინვესტიცია) არის ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რაც აყალიბებს სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობას, ვინაიდან საერთო ინტერესები ახდენს გავლენას ეკონომიკურ განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნასა და რესურსების გაცვლაზე.¹ მაგალითის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ ლიბანის ეკონომიკისა და მშპ-ის ზრდის დამოკიდებულება სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოში (GCC) შემავალ ქვეყნებზე. მოგეხსენებათ, აღნიშნულ რეგიონში პოლიტიკური ვითარება არასტაბილურია და, შესაბამისად, ხშირია სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესების ფაქტები. ლიბანი არის სახელმწიფო, რომლის ეკონომიკა, ტურიზმი, ფულადი გზავნილები, მომავალი თაობის დასაქმებისა და განვითარების პერსპექტივები, საბანკო სექტორი და ფინანსები უმეტესად დამოკიდებულია ზემოხსენებულ საბჭოში შემავალ ქვეყნებზე. 2011–2012 წლებში დაახლოებით 400000 ლიბანელი ცხოვრობდა და მუშაობდა სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოში (GCC) შემავალ ქვეყნებში და, აქედან გამომდინარე, ლიბანში შემოსული ფულადი გზავნილების 8,2 მილიარდი დოლარიდან 58% სწორედ აღნიშნული ქვეყნებიდან ირიცხებოდა. 2012 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში ლიბანის სელისუფლებასა და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოში (GCC)

¹ Najafi, Ahmad Amir and Askari, Hossein, The Impact of Political Relations Between Countries on Economic Relations (September 15, 2012). PSL Quarterly Review, Vol. 65 No. 262, pp. 247-273, 2012. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2514220>

შემავალ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ვითარება დაიძაბა და შემდგომ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ აღნიშნული ქვეყნებიდან ტურისტების ნაკადმა, 2010 წელთან შედარებით, 45%-იანი ვარდნა განიცადა. ლიბანში ახლო აღმოსავლეთის ტურიზმის 35%-ს და წლიური მთლიანი ტურიზმის 12%-ს შეადგენენ საუდის არაბეთის, გაერთიანებული არაბთა საამიროების და ქუეკითის მოქალაქეები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, რომ:

- როდესაც ორ სახელმწიფოს შორის ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობა ჩიხში შედის, ის უშუალო ზეგავლენას ახდენს ემიგრანტებზე;

- ემიგრანტების ცხოვრების ხარისხი პირდაპირკავშირშია სახელმწიფოთა შორის არსებულ კეთილგანწობილ და მეგობრულ დიპლომატიურ ურთიერთობებზე.¹

როგორც უკვე აღნიშნა, თანამედროვე მსოფლიოში ხალხის სურვილი როგორც ლეგალური, ისე არალეგალური გზებით ეძიოს სხვა უფრო განვითარებულ სახელმწიფოში საკუთარი ბედი, დღითი დღე მატულობს. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით სახელმწიფოები მიმართავენ გამკაცრებულ სავიზო პოლიტიკას და საკონსულო სამსახურების მეშვეობით წყვეტენ, ვის მისცენ და ვის არა ქვეყანაში შესვლის უფლება. ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისადმი გატარებული სავიზო პოლიტიკა, პრევენციული ზომების გარდა, მიანიშნებს მის საგარეო პოლიტიკას და დამოკიდებულებას აღნიშნული ქვეყნის მიმართ. მაგალითად, აპარტეიდის პერიოდში, როდესაც ცნობილ სამხრეთ აფრიკელ მოკრივეს აშშ-მა გაუჟქმა ვიზა, მაშინ სამხრეთ აფრიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაურეკა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს და უთხრა, რომ მიუხედავად იმისა მოხდებოდა თუ არ აღნიშნულ მოკრივესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაუქმება, ეს ფაქტი დიდ გავლენას მოახდენდა ნამიბიასთან მიმდინარე მოლაპარაკებებზე. სავიზო პოლიტიკის მნიშვნელობაზე განვიხილოთ ტაივანისა და აშშ-ის დამოკიდებულება 1995 წელს. 1995 წელს აშშ-მა ტაივანის პრეზიდენტ ლიი ტენგ ჰუიზე გასცა ვიზიტორის ვიზა, ვინაიდან ტაივანის პრეზიდენტს სურდა დასწრებოდა კორნელის უნივერსიტეტში დაგეგმილ სადამოს, სადაც მან 1968 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი. აშშ-ის მიერ ამ თითქოსდა უმნიშვნელო გადაწყვეტილებას თან ახლდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მესიჯი ჩინეთის მთავრობის მიმართ. ისტორიის განმავლობაში ტაივანს, ამ პატარა კუნძულს მუდმივად სურდა მოეპოვებინა ჩინეთისგან დამოუკიდებლობა. ამის საპირისპირო ჩინეთი ყოველთვის ცდოლობდა ტაივანის დიპლომატიურ და პოლიტიკურ იზოლაციას. 1979 წელს აშშ-ში ჯიმი კარტერის პრეზიდენტის პერიოდში, აშშ-მა აღიარა ტაივანი, როგორც ჩინეთის განუყოფელი ნაწილი და ჩინეთის ხელისუფლებას შეპირდა, რომ ტაივანთან ექნებოდა მხოლოდ კულტურული, სავაჭრო და არაფიციალური ურთიერთობა. 1995 წელს კი პრეზიდენტ ლიი ტენგ ჰუისათვის გაცემული ვიზიტორის ვიზა ნათლად მიანიშნებოდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ცვლილებას და ტაივანის, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარებას.² აშშ-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ჩინეთის მხრიდან მეტად მწვავე განცხადებები მოჰყვა. ჩინეთის ხელისუფლებამ მაშინდედ ამერიკის ელჩს, ბ-ნ სტაპლეტონ

¹ Hourani, GuitaGeroges, Bilateral Relations, Security and Migration: Lebanese Expatriates in the Gulf States (June 1, 2014). European Scientific Journal June 2014 /SPECIAL/ edition vol.1 ISSN: 1857-7881 (Print) e-ISSN 1857-7431.

Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2719406>

² Kevin D. Stringer, The Visa Dimension of Diplomacy (Netherlands Institute of International Relations “Clingendael”) 6 <<https://www.clingendael.org/publication/visa-dimension-diplomacy>> Accessed 10th January 2018

როის განუცხადა, რომ აშშ-მა აღნიშნული ქმედებით დაარღვია ჩინეთის სუვერენიტეტი და უხეშად ჩაერია მის საშინაო პოლიტიკაში.

საინტერესოა ასევე ბელარუსიდან აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ ელჩების გამოხმობის საკითხი. 1991 წელს, როდესაც ბელარუსმა ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა და მრავალ სახელმწიფოსთან მოხდა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, ბელარუსის ხელისუფლებამ უცხოელ ელჩებს საცხოვრებლად შესთავაზა მინსკის ჩრდილო-დასავლეთით, დროზე მდებარე საცხოვრებელი კომპლექსი. 1998 წლიდე აღნიშნული საცხოვრებელი კომპლექსი წარმოადგენდა უცხოელი ელჩების საცხოვრებელ ადგილს, ხოლო 1998 წელს ბელარუსის ხელისუფლებამ მოულოდნელად განუცხადა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, რომ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინათ საცხოვრებელი კომპლექსი. ელჩების მიერ მოლაპარაკების მცდელობის მიუხედავად, ბელარუსის ხელისუფლებამ არ დათმო საკუთარი პოზიციები და შედეგად 1998 წლის 22 ივნისს აშშ-ისა და ევროკავშირის ელჩებმა დატოვეს ბელარუსი.¹ აღნიშნული ფაქტი მწვავედ იქნა განხილული საერთაშორისო ტრიბუნაზეც და მრავალმა სახელმწიფომ დაგმო ბელარუსის ქმედება და დაადანაშაულა ვნის კონვენციის დარღვევაში, რაც ითვალისწინებს დიპლომატის უფლებას იცხოვოს მშვიდად და ხელი არ შეეშალოს დიპლომატიურ საქმიანობაში.² 1998 წლის 13 ივნისს ევროკავშირმა მხარი დაუჭირა ბელარუსის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის სავიზო სანქციების დაწესებას. მეორე დღეს აშშ შეურთდა ევროკავშირის გადაწყვეტილებას და ბელარუსთან შეაჩერა რამდენიმე მნიშვნელოვანი გაცვლითი სამხედრო პროგრამა. აქვე უნდა ითქვას, რომ რეალური მიზეზი ბელარუსის ხელისუფლების მოთხოვნისა, რომ საელჩოებს დაეტოვებინა დროზედის ტერიტორია, იყო ბელარუსის პრეზიდენტის სურვილი, პირადი ინტერესებისთვის გამოეყენებინა საცხოვრებელი კომპლექსი. აღნიშნული სანქციებით ევროკავშირმა განაცხადა და დააფიქსირა პოზიცია, რომ ბელარუსს აღარ ექნებოდა მისი მხარდაჭერა და რომ ბელარუსის ხელისუფლება უხეშად არღვევს საერთაშორისო შეთანხმებებს.

2002 წლის თებერვალში ბელარუსის მსგავსად სავიზო სანქციები შეეხო ზიმბაბვესაც, ვინაიდან უვროკავშირი და აშშ-ი თვლიდა, რომ პრეზიდენტი მუგაბე აქტიურად არღვევდა ადამიანის უფლებას და თავისუფლებას. ამასთან, ზიმბაბვის ხელისუფლება არ უზრუნველყოდა არჩევნების პროცესის მშვიდობიან დაკვირვებას და ევროკავშირის მიერ წარდგენილ მისიას საშუალებას არ აძლევდა დამოუკიდებელი კონტროლი და ზედამხედველობა ეწარმოებინა. ამის შედეგად პრეზიდენტ მუგაბეს და მის გარემოცვაში მყოფ 19 მაღალ თანამდებობის პირს სავიზო სანქციები დაუწესდა.

დასკვნა

გლობალიზაცია წარმატებასა და დაღებით მხარეებთან ერთად მრავალი გამოწვევების წინაშე დგას. მსოფლიოში მიღწეული წარმატებები ჯანდაცვის, მეცნიერების, ეკონომიკისა და სხვა მრავალ სფეროში ყველასათვის არ არის ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, ადამიანების მასიური გადაადგილება უკეთესი ცხოვრების პირობების ძიების პრობლემებთან არის დაკავშირებული. გლობალიზაციისა და მსოფლიოს სურვილის მიუხე-

¹ Ibidem 21-22

² ვნის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ (დადგეულია ვენაში, 1961 წლის 18 აპრილს).

დავად იყოს ერთად, იგი მაინც არ არის ბოლომდე მზად მიიღოს სხვა კულტურისა და მენტალიტეტის წარმომადგენელი და გაუნაწილოს ის სიკეთე, რაც საუკუნეების განმავლობაში მისმა საზოგადოებამ შექმნა. გლობალიზაცია ყველაფერთან ერთად ნიშნავს საზღვრების დიაობას და ყველა მოქალაქის, განურჩევლად კანის ფერის, რელიგიის, სქესის და ა.შ. თანასწორობასა და მიმდებლობას, თუმცა უკანასკნელი მოვლენები გვიჩვენებს, რომ განვითარებული ქვეყნები კიდევ უფრო ჩაკეტილი ხდება და ქმნის მკაცრ სასაზღვრო და სავიზო პოლიტიკას. მიგრაციის პრობლემის გადაჭრის გზები პოლიტიკოსების მოსაძებნია, თუმცა ფაქტია, რომ აღნიშნული პრობლემა მუდმივად იარსებებს, ვინაიდან ადამიანების სურვილი ეძიონ უპეტესი და გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები მუდმივად ექნებათ.

მერაბ რაზაგა,
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მიგრაცია და დიპლომატიური ურთიერთობები

სტატიაში განხილულია კეთილგანწყობილი დიპლომატიური ურთიერთობის მნიშვნელობა მიგრაციასთან დაკავშირებით. საუბარია თანამედროვე მსოფლიოში არსებულ მიგრაციის კრიზისზე, მის მოტივებსა და სახელმწიფოთა მიერ მკაცრი სავიზო პოლიტიკის შემოღების შედეგებზე. განმარტებულია რამდენიმე ცნობილი საქმე სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაუარესების შესახებ.

MERAB RAPAVA,
Doctor of Juridical Sciences

Migration and Diplomatic Relationships

This article deals with the friendly diplomatic relationships and its impact on the migration.

There is discussed the current migration crisis and motives behind the migration in the world and the outcomes of the strict visa policies implemented by the governments.

There are discussed several prominent cases concerning the worsening of diplomatic relationships between the countries.

МЕРАБ РАПАВА,
доктор юридических наук

МИГРАЦИЯ И ДИПЛОМАТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ

В этой статье рассматриваются дружеские дипломатические отношения и их влияние на миграцию.

Автор обсуждает текущий кризис миграции и мотивы миграции в мире и результаты строгой визовой политики, осуществляемой правительствами.

**დიპლომატიური ურთიერთობა გაფინანსირებულ სახელმწიფოს,
საბუთარი მოქალაქების უფლებების დაცვის სამრთაშორისო
ასამშტები (გარანტიები)**

თანამედროვე სამყარო, ისე როგორც არასდროს, ჩართულია გლობალიზაციის პროცესში. თავისუფალი ბაზარი და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მჭიდროდ აკავშირებს მსოფლიოს სახელმწიფოთა ინტერესებს. მიღწონ ფრიდმანის ცნობილი ფანქრის მაგალითი კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნულ ფაქტს, როდესაც ერთი, თითქოს ჩვეულებრივი ფანქრის წარმოებაში ჩართულია სხვადასხვა კონტინეტზე არსებული რამდენიმე ქვეყანა, ვინაიდან ფანქრის წარმოებისათვის საჭირო მასალები მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოდან მოიპოვება.

სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს დიპლომატიური კორპუსი ამყარებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე საკონსულოებისა და საელჩოების გახსნით, რაზეც ორივე სახელმწიფო აცხადებს თანხმობას. სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა ორმხრივი ხასიათისაა და მას ორივე სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა ესაჭიროება. ნათქვამია, რომ თუ როდესმე სამყარო შეწყვეტს არსებობას, ეს არ იქნება ასტეროიდის ან უკურნებელი დაავადების ბრალი, ეს იქნება სწორედ არასწორი საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობის შედეგი. მარტივად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ურთიერთობები არის ომისა და მშვიდობის, სიღარიბისა და სიმდიდრის, კონფლიქტისა და თანამშრომლობის მშვიდობიანად გადაწყვეტის საკითხი.¹

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს დამყარდეს. არსებობს უამრავი მაგალითი, როდესაც სახელმწიფოთა მრავალწლიანი მეგობრული დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვეტილა უსაფრთხოების ან/და დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო. სამართლებრივად სახელმწიფოს უფლება შეწყვიტოს დიპლომატიური კავშირი განმტკიცებულია გაეროს წესდების მე-2 მუხლით, რომელიც ამბობს, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს სუვერენიტეტი და მაშასადამე უფლება, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა. ² მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს, მისი შიგა პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ჩათვლის საჭიროდ, უფლება აქვს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა. სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დიპლომატიურ ურთიერთობაში ჩართულ სახელმწიფოთათვის, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის. სამართლებრივი რეგულირების მხრივ, საერთაშორისო სამართალში არსებობს 2 უმნიშვნელოვანების დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა და შეწყვეტის წესი – ვენის 1961 წლის 18 აპრილის

¹ Mike Sheehan and Helen Brocklehurst, Why International Relations is the key to all our futures (Friday 28 July 2996) <http://www.independent.co.uk/student/magazines/why-international-relations-is-the-key-to-all-our-futures-409792.html> Accessed 23 December 2017

² Jamal Hi.Arsyad, International Law Study Concerning Termination of Diplomatic Relationships by Arab Countries against Qatar, 65 J.L. Pol'y& Globalization 28 (2017)

კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ და ვენის 1963 წლის 24 აპრილის კონვენცია საკონსულტო ურთიერთობის შესახებ.

2017 წლის მაისში საუდის არაბეთმა, ლიბიამ, ბაჰრეინმა, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და ეგვიპტემ მოულოდნელად გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა ყაბართან. აღნიშნული ქვეყნები მიზეზად ასახელებდნენ ყაბარის კავშირს ტერორიზმის, სექტანტური ორგანიზაციებისა და ექსტრემიზმის დაფინანსებასთან. მოკლე ხანში აღნიშნულ ხუთ არაბულ სახელმწიფოს შეუერთდა მალდივის რესპუბლიკა და იემენი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე ყაბარი ზემოხსენებულ ხუთ არაბულ სახელმწიფოსთან ერთად იყო სირიაში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში. როგორც ომში გამარჯვებული მხარე არ არსებობს, ასევე დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა წამგებიანია მასში მონაწილე ყველა სახელმწიფოსათვის. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოთა მიერ დასახელებული მიზეზების გარდა, შეწყვეტის მოტივი უფრო ღრმა პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რაც დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას უკავშირდება, არის სიტუაციის მომენტალური დაძაბვა და პანიკის შექმნა. მაგალითად, ყაბართან ურთიერთობის შეწყვეტისთანავე ბაჰრეინმა განსაზღვრა 48 საათი, რათა სრულად გამოეწვია ბაჰრეინის დიპლომატიური კორპუსი ყაბარის დედაქალაქ დოჰადან. საუდის არაბეთმა კი განაცხადა, რომ წყვეტს ყველანაირ კავშირს ყაბართან და ყაბარის ყველა მოქალაქეს მოუწოდა 14 დღის ვადაში დაეტოვებინათ ქვეყნის ტერიტორია.¹ პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა ზემოხსენებულ ფაქტს უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა და გავლენა აქვს.

ყაბარის მაგალითზე განვიხილოთ 5 მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორი:

-**საკვები.** ყაბარი უზარმაზარი ნავთობრესურსის ქვეყანაა, თუმცა კლიმატი და რელიეფი არ უწყობს ხელს თავად გამოკვებოს მოსახლეობა. შესაბამისად ერთადერთი გზა, რათა მიიღოს მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობის საკვები არის საზღვარი საუდის არაბეთთან, საიდანაც დაახლოებით საკვები მარაგის 40% შემოდის. იმ დროს, როდესაც საუდის არაბეთი წყვეტს ყველანაირ კავშირს, ყაბარი იძულებულია საკვები პროდუქტი შემოიტანოს საპარტო გზით, რაც მყის გამოიწვევს ინფლაციას და რიგითი მოსახლეობის გადარიცხას.

-**ემიგრანტები.** ყაბარის, რომლის მოსახლეობას მხოლოდ 250000 მოქალაქე შეადგენს, პყავს 2.2 მილიონი უცხოელი მუშახელი. დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის შემდგომ გარდაუვალია ეკონომიკური რყევები, რაც აუცილებლად გამოიწვევს ამ ადამიანების უმუშევრობასა და გაღარიცხას.²

-**მშენებლობა.** ყაბარი 2022 წელს მასპინძლობს მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმდინარეობს მრავალი საფეხბურთო მოედნისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. საუდის არაბეთთან ერთადერთი სახმელეთო საზღვრის ჩაკეტვის შემდგომ ყაბარი იძულებული იქნება სამშენებ-

¹ Saudi Arabia, UAE, Egypt, Bahrain Cut Ties to Qatar, 5 June 2017 <http://www.aljazeera.com/news/2017/06/saudi-arabia-uae-egypt-bahrain-cut-ties-qatar-170605031700062.html> accessed 21 December 2017

² Rebecca Tan, The Real Victims of the Gulf Crisis are Qatar's 2.2 Million Migrant Workers, July 21 2017 <https://www.vox.com/world/2017/7/21/15960232/qatar-gulf-crisis-migrant-workers-saudi-uae-bahrain-egypt-diplomacy-middle-east> accessed 22 December 2017

ლო მასალებისა და სხვა საჭირო პროდუქტების შემოტანისათვის ახალი, უფრო ძვირი გზები მოიძიოს. აღნიშნულ ვითარებაში ბევრი ინვესტორი იტყვის უარს ინვესტიციაზე, ვინაიდან გაძირებული მშენებლობა მათ მოგების მარჯას საგრძნობლად შეამცირებს.

- **მოქალაქეები.** საუდის არაბეთის, იემენის, ლიბიის, ეგვიპტის, ბაჰრეინისა და არაბთა გაერთიანებული საამიროების მოქალაქეები ვედარ შეძლებენ ყაბარში მუშაობას, სწავლას და ტრანზიტსაც კი. უკანასკნელი მონაცემებით, დაახლოებით 180000 ეგვიპტის მოქალაქე ცხოვრობს ყაბარში, მათ შორის მაღალკვალიფიციური ინჟინერები და ექიმები და, შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება ეკონომიკურ კრიზის გამოიწვევს არა მხოლოდ ყაბარში, არამედ ზემოსექნებულ სახელმწიფოებშიც, ვინაიდან უცხოეთიდან ფულადი მასების გზავნილები საგრძნობლად შემცირდება.

ზემოსექნებული ფაქტორებიდან გამომდინარე, მოქალაქეების უფლებების დაცვის სამართლებრივი ასპექტები ერთ-ერთი ყველაზე მტკიცნეული საკითხია. ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციის 45-ე და 46-ე მუხლები დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ, ამბობს, რომ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის ან/და წარმომადგენლობის საბოლოო ან დროებითი გაწყვეტის შემთხვევაში მააკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი და თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისადები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის, ხოლო მააკრედიტებელ სახელმწიფოს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს წინასწარი თანხმობით და მესამე სახელმწიფოს თხოვნით, რომელიც წარმოდგენილი არ არის ადგილსამყოფელ ქვეყანაში, შეუძლია თავის თავზე აიღოს ამ მესამე სახელმწიფოს და მისი მოქალაქეთა ინტერესების დროებითი დაცვა.¹ მარტივად რომ ვთქვათ, დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის შედეგად შექმნილ როგორ ვითარებაში, როგორც შუამავალი, მესამე მეგობარი სახელმწიფო ახორციელებს მოქალაქეთა უფლებების დაცვას, მათი საბუთების მოწესრიგებას და სხვა ბიუროკრატიულ საკითხებს. მსგავსი მაგალითები საერთაშორისო სამართალში მრავლადაა და მოკლედ იქნება განხილული.

დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა, უმეტეს შემთხვევაში, უკიდურესი დაძაბულობის ან/და საომარი მოქმედების დროს ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა არ ნიშნავს ავტომატურად ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საკონსულოების დახურვას. თუმცა ლოგიკურია, რომ პრაქტიკაში მეომარი სახელმწიფოები, უმეტეს შემთხვევაში, წევერენ საკონსულო საქმიანობასაც. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აღნიშნული ქმედებით ვერ ხერხდება პრობლემის მოგვარება და ამის საპირისპიროდ იხერგება ყველა ის შესაძლო გზა, რომლითაც პრობლემის გადაჭრაა შესაძლებელი. ისტორიულად, დიპლომატიური კავშირის გაწყვეტას ან გაწყვეტისაკენ მინიშნებას ხშირად მიმართავდნენ მსოფლიოს წამყვანი და იმპერიალისტური სახელმწიფოებიც. აღნიშნული გზით ისინი პოლიტიკურ ზეწოლას ახდენდნენ სახელმწიფოზე, რათა აეჭულებინათ მათთვის სასარგებლო პოლიტიკური ან სხვა სახის გადაწყვეტილება მიეღოთ. ამის ნათელი მაგალითია 1961–1962 წლებში აშშ-ისა და რამდენიმე ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ კუბასთან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა.² ამასთან, სომხეთის მიერ უნგრეთისათვის დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა ნათელი მაგალითია იმისა, რომ დიპლომატიური ურ-

¹ ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ დადებულია ვენაში 1961 წლის 18 აპრილს, მუხლი 45-46.

² Malcolm Coxall, Civil Disobedience, Practical Guide (1st Edition, April 11 2015)

თიერთობის დასრულება ომისა და დაძაბულობის გარეშეც შესაძლებელია. სომხეთის მიერ უნგრეთისათვის დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის მოჰყვა უნგრეთის ხელისუფლების მიერ აზერბაიჯანისათვის რამილ საფაროვის გადაცემის ფაქტი, რომელმაც 2004 წელს ბუდაპეშტის სასტუმროში მოკლა სომეხი ლეიტენანტი გურგენ მარგარიანი. რამილ საფაროვს უგადო პატიმრობა შეეფარდა და 8 წლის განმავლობაში სასჯელს უნგრეთში იხდიდა. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის მთავრობა პპირდებოდა უნგრეთს, რომ რამილ საფაროვი მათვის გადაცემის შემდგომ სოულად მოიხდიდა სასჯელს, ილპამ ალიევმა რამილ საფაროვი შეიწყალა და ეროვნულ გმირად აღიარა.¹ დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა ყოველთვის არ ნიშნავს ელჩის გაწევევასა და საელჩოს დახურვას. უნგრეთსა და სომხეთს ერთმანეთის ტერიტორიაზე არ ჰქონიათ საელჩოები გახსნილი. მათი დიპლომატიური ურთიერთობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ საპატიო კონსულების გაცვლით.

ხშირ შემთხვევაში, დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა გამხდარა პატარა სახელმწიფოთა მიერ დიდ სახელმწიფოებთან ვაჭრობის საგანი. 2017 წლის 4 ოქტომბერს სუდანის ხელისუფლებამ დიპლომატიური კავშირი გაწყვეტა ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებასთან. აღნიშნული დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის მიზანი იყო აშშ-ის მიერ სუდანისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების გაუქმება. 2016 წელს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დროებით გადადო სუდანისათვის დაწესებული ემბარგოს მოხსნის საკითხი ადამიანის უფლებების, რელიგიური თავისუფლებისა და ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების სუდანის მიერ არასაკმარისად მხარდაჭერის გამო.² როგორც ზემოთ აღინიშნა, დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური მოტივებით არის განპირობებული. იგივე შეიძლება ითქვას 2017 წლის ივნისში პანამის მიერ ტაივანთან მრავალწლიანი კავშირის გაწყვეტის შესახებ. პანამის მიერ დასახელებული მიზეზია ის, რომ იგი მხოლოდ ერთ ჩინეთს აღიარებს და მისთვის ტაივანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაწილია.³

ომის შედეგად დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ომი, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ ადიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ ცალმხრივად გაწყვიტა დიპლომატიური კავშირი რუსეთთან.⁴ აღნიშნული კავშირის გაწყვეტის შედეგად ორივე სახელმწიფომ დახურა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საელჩოები და საკონსულოები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფოთა შორის არსებული ინტერესების წარმოდგენა. შევიცარია, როგორც ნეიტრალური ქვეყანა, ხშირად ასრულებს მედიატორის როლს იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებსაც არ აქვთ ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა (მაგ., აშშ-სა და კუბას შორის, ირანსა და აშშ-ს შორის).

¹ Aila Lonka, Why Countries Cut Ties in Peace-Time

https://www.academia.edu/8805739/Why_Countries_Cut_Ties_in_Peacetime Accessed 22 December 2017

² Sudan Cut Diplomatic Relations with North Korea to Get sanctions lifted: Report (Thursday 5 October 2017)

<<http://www.sudantribune.com/spip.php?article63676>> Accessed 23 December 2017

³ Panama Cuts Ties with Taiwan in Favor of China (June 13 2017) <http://www.bbc.com/news/world-latin-america-40256499> Accessed 25 December 2017

⁴ Archil Sikharulidze, Russian–Georgian Diplomatic Relations — to be or not to be? (Match 6 2017) <http://oc-media.org/russian-georgian-diplomatic-relations-to-be-or-not-to-be/> Accessed 23 December 2017

მსგავს როლს ასრულებს დიდი ბრიტანეთიც, რომელიც მის ყოფილ კოლონიებსა და დომინიონებში ხშირად ასრულებდა და ასრულებს საკონსულო საქმიანობას.¹ მე-7 და მე-8 მუხლები (ვენის კონვენცია) საკონსულო ურთიერთობების შესახებ ადგენს, რომ „წარმდგენ სახელმწიფოს შეუძლია, შესაბამისი სახელმწიფოსათვის შეტყობინების შემდეგ, დაავალოს ერთ სახელმწიფოში გახსნილ საკონსულო დაწესებულებას მეორე სახელმწიფოს საკონსულო ფუნქციების შესრულება, თუ რომელიმე ეს სახელმწიფო გარკვეულად არ გამოთქვამს წინააღმდეგობას“. აღნიშნული პრაქტიკა გამართლებულია, ვინაიდან, მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, აღნიშნულ სახელმწიფოებში ცხოვრობენ და მუშაობენ როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მოქალაქეები, რომელთა უფლებებიც მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული. პოლიტიკას ქმნის ის ფაქტი, რომ როდესაც ერთი საკონსულო ან საელჩო ატარებს მესამე სახელმწიფოს ინტერესებს, დიდია ინტერესთა კონფლიქტის ალბათობა, ვინაიდან პირვანდელ სახელმწიფოსა და მესამე სახელმწიფოს შორის, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულება და ინტერესი.² საკონსულოს/საელჩოს ფუნქცია, როგორც მესამე სახელმწიფოს წარმომადგენლისა, ატარებს ტექნიკურ-ჰუმანიტარულ ხასიათს, რაც გამოიხატება მოქალაქეთა უფლებების დაცვაში, სახელმწიფოს ქონების და საკუთრების უფლების დაცვაში, ვიზების/პასპორტების გაცემაში და სხვა ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტაში. ტექნიკურ-ჰუმანიტარული ფუნქციის გარდა არის მაგალითები, როდესაც წარმომადგენელი სახელმწიფო მედიატორის როლს ასრულებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად, შვეიცარიამ უდიდესი როლი შეასრულა 2011 წელს საქართველოს მიერ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) გაწევრიანებაზე თანხმობის მიცემით. ასევე აქტიური როლი შეასრულა შვეიცარიამ აშშ-სა და ირანს შორის ატომურ იარაღთან დაკავშირებით მოღაპარაკების წარმართვისას.

კონსულის უფლებამოსილების განხორციელების კონკრეტული სტანდარტები არ არსებობს, ვინაიდან მისი საქმიანობა, გარდა საერთაშორისო სამართლის ნორმებისა, რეგულირდება ხელშეკრულებებით, ინსტრუქციებით, შიგა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და ჩვეულებებით. მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა არის კონსულის ფუნქციის უმთავრესი მახასიათებელი. მაგ., როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ მოხდება მოქალაქეს დაკავება/დაპატიმრება, საკუთრების უფლების შეღახვა, ჯანმრთელობის მდგრამარეობის დაზიანება ან ნებისმიერი სხვა სახით ზიანის მიუწვდომელი, ასეთ დროს საკონსულო სამსახური და კონსული ვალდებულია მოახდინოს მყისი რეაგირება და ეს რეაგირება გამოიხატოს სახელმწიფო ორგანოებში წარმომადგენლობის გზით.

¹ George Haynal, Michael Welsh, Louis Century & Sean Tyler, The Consular Function in the 21st Century, A Report for Foreign Affairs and International Trade Canada (Munk School of Global Affairs, University of Toronto, 27 March 2013) 1-11

² B.Sen, A Diplomat's Handbook of International Law and Practice (Third Revised Edition, MartinusNijhoff Publishers, 1988) 269

დასკვნა

ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ და ვენის 1963 წლის 24 აპრილის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ ამბობს, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს შეწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

დიპლომატიური ურთიერთობა არ შეიძლება იყოს როგორც მუდმივი, ასევე დროებითი და მისი ადდგენა შესაძლებელია სახელმწიფოთა მიერ გაწყვეტის მიზეზის მოგვარების შემთხვევაში.

გაეროს წესდების მე-2 მუხლი ამბობს, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს სუვერენიტეტი და უფლება ჩაკეტოს საზღვარი (საპარო, სახმელეთო, საზღვაო).

დიპლომატიური კავშირის გაწყვეტას ახლავს პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები როგორც გამწყვეტ, ისე გაწყვეტილ სახელმწიფოში.

წარმდგენ სახელმწიფოს შეუძლია, შესაბამისი სახელმწიფოსათვის შეტყობინების შემდეგ, დაავალოს ერთ სახელმწიფოში გახსნილ საკონსულო დაწესებულებას მეორე სახელმწიფოს საკონსულო ფუნქციების შესრულება, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ტექნიკურ-პუმანიტარული ფუნქციების გარდა, მონაწილეობს მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოლაპარაკებებში.

მერაბ რაზავა,

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**დიპლომატიური ურთიერთობა გაფარგვის სახელმწიფო, საპუთარ
მოქალაქეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ასპექტები (ბარათიები)**

სტატიაში განხილულია საერთაშორისო საჯარო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სახელმწიფოთა შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობა და აღნიშნული ურთიერთობის გაწყვეტის შედეგები. ავტორი მსჯელობს იმ საერთაშორისო გამოწვევებზე, რაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იკვეთება ბოლო ათწლეულების განმავლობაში თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას. მიმოხილულია ასევე ცნობილ მეცნიერთა და სპეციალისტთა შეხედულებები დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შედეგად ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

MERAB RAPAVA,

Doctor of Juridical Sciences

DIPLOMATIC RELATIONSHIPS IN TERMINATED COUNTRY – INTERNATIONAL ASPECTS (GUARANTEES) FOR PROTECTION OF CITIZENS

This article deals with the importance of diplomatic relationships and the outcomes of the deterioration of the diplomatic relationships, which is one of the most important issues of public international law. There are author discussed the international challenges dealing with this issue in the last decades, relating to the modern geopolitical processes. The author highlights the legal opinions of prominent scholars and specialists regarding the outcomes of deterioration of diplomatic relationships and its economic, social and other results.

МЕРАБ РАПАВА,

доктор юридических наук

**ДИПЛОМАТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ В ПРЕКРАЩЕННОЙ СТРАНЕ -
МЕЖДУНАРОДНЫЕ АСПЕКТЫ (ГАРАНТИИ) ДЛЯ ЗАЩИТЫ ГРАЖДАН**

В этой статье рассматривается важность дипломатических отношений и результатов ухудшения дипломатических отношений, что является одним из важнейших вопросов международного публичного права. Автор обсуждает международные вызовы, связанные с этим вопросом в последние десятилетия, касающиеся современных геополитических процессов. Автор выделяет юридические заключения видных ученых и специалистов относительно результатов ухудшения дипломатических отношений и его экономических, социальных и других результатов.

ნათელა მაისურამა,
თეა პვაბზირიძე

დანაშაულის პრევენცია და მისი აღმოვხვდის გზები

თანამედროვე ადამიანი მუდმივად იმყოფება სტრესულ მდგომარეობაში. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია ისეთი პროფესიის ადამიანი, რომელსაც ხშირად უხდება ყოფნა საზღვრით სიტუაციებში – ძალოვანი სტრუქტურების, ტრანსპორტის, მედიცინის მუშაკები. საერთოდ, საქართველოში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში უამრავი პრობლემა წარმოიშვა – შიგა და გარე ომები, რევოლუციები, უმუშევრობა, უჩვეულო და საეჭვო ხარისხის მედიკამენტები და საკვები. შედეგად, მასობრივად აღინიშნება დეპრესია, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, დაბწეულობა და სხვა. თითოეულმა ამ პათოლოგიურმა მდგომარეობამ შეიძლება ადამიანის დაღუპვა გამოიწვიოს, თუმცა მათი გამკლავება ადვილია სათანადო დახმარების პირობებში¹.

ლიბერალურად ქდერს პლატონის მოსაზრება, რომლის მიხედვით, დანაშაული არის ავადმყოფობა, ხოლო სასჯელი – მისი მკურნალობის საშუალება. მართლაც, თუ დამნაშავე არის სულიერად დაცლილი, თვითგამანადგურებელი არსება, ბუნებრივია იგი ფსიქიკური ავადმყოფია და სპეციალური მკურნალობა ესაჭიროება. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია პარალელი გავავლოთ დანაშაულსა და ნარკომანიას შორის, ვინაიდან ნარკომანი ავადმყოფად არის შერაცხული თანამედროვე მედიცინაში და რომელსაც ეროვნული გენოფონდის დამდუპველ ბაქტერიად და ვირუსად მოიხსენიებენ. მათი მკურნალობის მნიშვნელოვანი მეთოდია მათ მიმართ ადამიანური დამოკიდებულება, ჭეშმარიტი ზრუნვა მათ სასიკონოდ, მათი ღირსების ამაღლება და სიცოცხლის ღირებულების მნიშვნელობის ჩასახვა და არა მხოლოდ მედიკამენტური ჩარევა.

ვიდრე დამნაშავეობის მეტასტაზები ფართოდ არ მოხდებია დამნაშავის სულიერებას და რომლის მკურნალობის შესაძლებლობა ჯერ კიდევ ჩვენს ხელთაა, ყველაფერი უნდა ვიღონოთ.

ამისათვის, ჩემ მიერ შემუშავებულია დანაშაულის პრევენციისა და მისი აღმოფხვრის გზები, რომელთა შორის არის:

1. აღზრდაში დაშვებული შეცდომების ლიკვიდაცია, რაც გულისხმობს მოზარდის მიერ პირველივე შეცდომაზე სწრაფ და გონივრულ რეაქციას;
2. ინდივიდების ინტერესების გათვალისწინება და მათი კორექცია აუცილებლობის შემთხვევაში;
3. ადამიანებისა და სიცოცხლისადმი ჰუმანური და სიყვარულით სავსე დამოკიდებულების ჩამოყალიბება და ადამიანის სულიერების ამაღლებისათვის ზრუნვა;
4. აქტიური ცხოვრების წესის ჩამოყალიბება და ამისათვის სასურველ საზოგადოებასთან ურთიერთობა;

¹<http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe>.

5. ამ მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა, ვინაიდან ისტორიულად ცნობილია, რომ მუსიკოსი არასოდეს ყოფილა საშიში კრიმინალი;

6. მათი ცნობიერი ვერ ვითარდება სამყაროში მოქმედი ძლიერი ატრაქტორების, მორფოგენეტიკური ველების, თბო- და ელექტრომაგნიტული სისტემების მეშვეობით, ვინაიდან მათი ცნობიერი და ქვეცნობიერ-ფსიქიკური მდგომარეობა შეზღუდული და თავის თავში ჩაკეტილია. ეს ჩაკეტილობა უნდა გაიხსნას;

7. ზიზღი ყველასა და ყველაფრის მიმართ, ქვეყანაში განუკითხაობის, სიბინძურისა და მინიმუმამდე დაყვანილი მორალის არსებობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენის საფუძვლებს (დოსტოევსკის როდიონ რასკოლნიკოვისა და სონიას მაგალითი);

8. დამნაშავეობა - ცნობიერის, ქვეცნობიერის, არქეტიპულისა და გარე ძალების (ატრაქტორებისა და მორფოგენეტიკური ველების) შედეგი. ადამიანებს ჯერჯერობით მაინც არა გვაქვს შესაძლებლობა ვმართოთ აღნიშნული გარე ფაქტორები დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რამეთუ, სამწუხაროდ, საკმაოდ სუსტები ვართ;

9. ცნობილია, რომ ადამიანში მთელი ცხოვრების განმავლობაში წარუმლელ და ძლიერ ფაქტორად რჩება მისი ბავშვობა. ბავშვობის წლებში განცდილი ემოციები თითქმის არასოდეს არ იშლება. ბავშვობაში კი ადამიანი დამნაშავე არ არის, ვინაიდან მასზე ჯერ კიდევ ვერ ასწრებს ზემოქმედებას დამნაშავეობის შიგა და გარე ფაქტორები, თუმცა განსაკუთრებით ძლიერია მასზე დედის გავლენა. ამიტომ შედეგიანი იქნება თუ დამნაშავეობის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის დამნაშავის ბავშვობის პერიოდში დედის მიმართ განცდებისა და ემოციების წინ წამოწევაზე მოვახდენთ კონცენტრაციასა და აპელირებას;

10. დამნაშავეს არასოდეს არ გააჩნია უპირობო პატიების უნარი, ის მუდმივი შურისიების განცდით არის განმსჭვალული. სამართლიანი და დასაბუთებული წყენა, ხშირ შემთხვევაში, უფრო ინდივიდუალური განცდაა, რომლის დავიწყება შესაძლებელია, თუ შევეცდებით ურთიერთობებში სიახლეების შეტანას. დამნაშავესთან ურთიერთობებში ეს პროცესი კიდევ უფრო რთულია, რადგან მისი ფსიქიკა გართულებული, სტრესული და დაძაბულია, ამიტომ მასთან ურთიერთობაში აუცილებელია განსაკუთრებული ძალისხმევა, რათა მოვახდინოთ მისი ჭეშმარიტი რესოციალიზაცია ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის, ადამიანების შებრალებისა და უპირობო პატიების გაცნობიერებით;

11. იტალიელი კრიმინალისტი ჩ. ბეკარია წერდა: დანაშაულის შემაკავებელი, შემაჩერებელი ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი საშუალება არა სასჯელის სისახტიკეში, არამედ მის გარდაუგალობაშია. ეს გარდაუგალობა ღრმად უნდა გაცნობიერდეს მოზარდის ფსიქიაში;

12. დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთზემოქმედების არსის განხილვა მნიშვნელოვანია განხორციელდეს თავისუფლად ვარირებადი ინტეგრალური მეთოდის გამოყენებით, სადაც კომპეტენტურ დასკვნებს მოგვცემს სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ბიოლოგია, გენეტიკა, რელიგია, ხელოვნება, ასევე ფიზიკა – სინერგეტიკული და მორფოგენეტიკური ველების მეთოდების გამოყენებით;

13. დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელია კორუფციის აღმოფხრა. თვითონ კორუფცია უკვე დანაშაულია, მაგრამ იგი, თავის მხრივ, იწვევს დანაშაულთა მთელ კასკადს, ვინაიდან მასზე გადის როგორც ფიზიკურში, ისე აზროვნებაში არსებული სიზარმაციის გათავისების გზა, რაც აღვილი გამდიდრებისა და ამისათვის ყველა გზისა და მე-

თოდის გამოყენებაშია მიღებული არაერთი ადამიანისა და მათ შორის კრიმინალის შემთხვევაშიც;

14. მართალია, ადამიანთა ქცევას გადამდები ხასიათი აქვს და დანაშაულზე საზოგადოების რეაქცია უმნიშვნელოვანებია, დანაშაული მაინც არავის არ მოსწონს. ამასთან, ვერ ვადიარებ იმ მოსაზრებას, რომ დანაშაულს მხოლოდ სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანები ითავისებენ. მიზეზი ადამიანის არსის უფრო ღრმა ხვეულებში უნდა ვეძებოთ, მის არქეტიკულ მონაცემებში, მის უნარში ნათლად გააცნობიეროს ქვეცნობიერი, არაცნობიერი და ნებელობითი შესაძლებლობები, მართოს საკუთარი თავი, აზრები და ქცევები. გაანეიტრალოს მასში არსებული ადამიანებისადმი ზიზდის, აგრესიული ლტოლვებისა და შეუწყნარებლობის განწყობა, მთელი არსით გააცნობიეროს სიცოცხლის უნიკალურობა და უმაღლესი ღირებულება, ვალდებულება და პასუხისმგებლობა სხვა ადამიანების მიმართ, არ დააავადოს ისინი დანაშაულის მეტასტაზებით, შეძლოს ადამიანებში დადებითი მხარეების დანახვა და შეფასება, სიკეთის უანგარო კეთების სურვილი და ღვთაებრივ სამართალს მიანდოს სხვათა განსჯა და სამაგიეროს მიზდვა;

15. იმდენად, რამდენადაც ეგზისტენციალური სამართალი ბუნებითი სამართლის იღენტურად სახელდება, დამნაშავეთა შინაგანი სამყარო არ შეიძლება სრულად იყოს დაცლილი მისთვის აპრიორული ეგზისტენციალური არსებობისაგან. ეს გვაძლევს იმედს, რომ თუ აქცენტს დანაშაულის პრევენციისათვის მათშივე არსებულ ეგზისტენციალურ ანუ ბუნებითსამართლებრივ ყოფიერებაზე გადავიტანთ და მის ღრმად ადამიანური ღირსების ფაქტორებსაც შევეხებით, რომელიც ეგზისტენციალისტების მიერ მიჩნეულია მოწესრიგგული მაქსიმალური თავისუფლების, შესაძლებლობების, უსაფრთხოებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, შედეგები შესაძლოა სასურველი ადმოჩნდეს.

დამნაშავეთა არსებობა, ქცევები და მათი მოედი ფსიქიკა უშუალოდ აისახება საზოგადოებაზე, მის თინეიჯერულ ნაწილზე და განსაკუთრებით სამართალდამცავი და პენიტენციური სფეროს მუშაკებზე, რომელთა ხელში გადის თითქმის ყველა დამნაშავე და კრიმინალი. აქედან გამომდინარე, დიდია ალბათობა იმისა, რომ ამ სფეროების მუშაობაზე უშუალოდ აისახოს ყველა დამნაშავისა და კრიმინალის ქცევა, ამ ქცევის მოტივები და მათი განსორციელების მეთოდები და ხერხები. შედეგად კი მათგან ვდებულობთ სისახტიკის გამოვლენის უმაღლეს მასშტაბებს დაკავებულთა მიმართ, მიუხედავად იმისა დაკავებული არის თუ არა ნამდვილად დამნაშავე. სამწუხაროდ, მათთვის მნიშვნელობას კარგავს დანაშაულის პრევენციის პრინციპების სამართლებრივი არსებობა.

აქედან გამომდინარე, მათი ფსიქიკა ისევეა განადგურებული და საჭიროებს ფსიქოლოგიურ დახმარებას, როგორსაც დამნაშავეებისა, რომელთა სხეულსა და სულს ჯერ კიდევ არ მოსდებია დამნაშავეობის მეტასტაზები. ამიტომ, აუცილებელია, რომ კარდინალურად შეიცვალოს დამოკიდებულება ფსიქოლოგიისადმი. უნდა განსორციელდეს ფსიქოლოგთა გადამზადება სპეციფიკური მიზნებისათვის. აშშ-ში მარტო სამხედრო მოსამსახურეთა, მათი ოჯახებისა და ვეტერანების ფსიქოლოგიური მხარდაჭერისათვის 2004 წლიდან მოქმედებს სპეციალური პროგრამა Defense Graduate Psychology Education (D-GPE), რომლის ბიუჯეტი 8 მილიონ დოლარს აღწევს (1). მისი საშუალებით მიღებულია ოთხი ძირითადი მიმართულება: სამხედრო ცხოვრებასთან შეგუების პრინციპები; მძიმედ დაზიანებულ

მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური დახმარება; ტრაგმისა და ტოლერანტობის ფსიქოლოგია; ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის ზეგავლენა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე¹.

მნიშვნელოვანია ასევე ფართო მაუწყებლობის ჩართვა ამ მნიშვნელოვან საქმეში, რომელიც თავისი მოქმედებით ყველაზე ძლიერ ფაქტორად არის მიჩნეული. სწორედ ფართო მაუწყებლობა ხდება ჩვენი ცნობიერების, ყოფიერების, განწყობის, კულტურის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი სფერო და ჩვენი ოჯახების დამატებითი წევრი. ამიტომ, მისი გავლენა დანაშაულის პრევენციისათვის უდიდესი მნიშვნელობისაა და მათ გადაცემებს უნდა მოჰყენეს სათანადო შეფასებაც საზოგადოების აზრის გამოკითხვითა და მათი სამართლებრივი ცნობიერების გაფართოების მიზნით. მით უმეტეს, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის სამართლებრივი ცნობიერების გასაუმჯობესებლად თითქმის არაფერი არ კეთდება.

დანაშაულის პრევენციისათვის კარგი იქნება თუ საბავშვო მულტიპლიკაციისა და მოზარდი თაობებისათვის შექმნილ კინოინდუსტრიაში სამართლებრივი ფაქტორების ჩვენებასა და შეფასებას დიდი უურადღება დაეთმობა, ვინაიდან კინო და ტელეპროგრამები თავისი ვიზუალური ეფექტებითა და ყოველდღიურობის გადმოცემის განსხვავებული მეთოდებით ღრმად და მყარად ჯდება ადამიანების ფსიქიკაში, ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ ქცევებსა და კულტურას.

¹<http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe>.

ნათელა მაისურაძე,
სამართლისა და ფილოსოფიის დოქტორი
თეა კვაბზირიძე,
სამართლის დოქტორი

დანაშაულის პრევენცია და მისი აღმოვხვდის გზები

ნაშრომში განხილულია დანაშაულის პრევენცია და მისი აღმოვხვდის გზები. ავტორები განიხილავენ რა დანაშაულის რეგრესულ ზემოქმედებას საზოგადოების სულიერი არსებობისა და განვითარების ფორმირებაზე, აყალიბებენ კონკრეტულ მოსაზრებებს ამ თვალსაზრისით.

ასევე დიდ ყურადღება ეთმობა ფართო მაუწყებლობის როლს დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების საქმეში.

NATELA MAISURADZE,
Doctor of Law and Philosophy

TEA KVABZIRIDZE,
Doctor of Law

PREVENTING CRIME AND WAYS TO ELIMINATE IT

There is discussed the regressive influence of crime on the formation of spiritual existence and development of society, and also suggests specific concepts, ways and methods for preventing crime.

The author also emphasizes the role of broader broadcasting in preventing crime prevention and raising public awareness.

НАТЕЛА МАЙСУРАДЗЕ,
доктор юридических наук и философии

ТЕЯ КВАБЗИРИДЗЕ,
доктор права

ПРЕВЕНЦИЯ ПРЕСТУПНОСТИ И СПОСОБЫ ЕЕ УСТРАНЕНИЯ

В статье автор обсуждает регрессивное влияние преступления на формирование духовного существования и развития общества, а также предлагает конкретные концепции, пути и методы для предотвращения преступности.

Автор также подчеркивает роль более широкого вещания в предотвращении-предупреждении преступности и повышении осведомленности общественности.

დანაშაული – მთიპისა და სამართლებრივი კულტურის დეფიციტის შედეგი

დამნაშავის არსებობას მისი დანაშაული განაპირობებს. დანაშაული კი მრავალი ფაქტორის შედეგია. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ, ერთი მხრივ, ისეთი ეთიკური კატეგორიების გაუკუდმართებული გაგება, როგორიცაა სიწმინდე, სამართლიანობა, სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, საონოება, თანასწორობა, თავისუფლება, ღირსების გრძნობა და ა.შ., ხოლო, მეორე მხრივ, სამართლებრივი კულტურის სიღარიბე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს როგორც საზოგადოების საერთო ხოციალურ, ისე მის კონკრეტულ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერ ფაქტორებზე.

დანაშაული ადამიანური ქმედების ერთადერთი ფაქტორია, რომელსაც კულტურული განვითარება არ გააჩნია, ვინაიდან კულტურა ცხოვრების უმაღლესი ღირებულება და მისი არსებობის გამართლებაა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება დანაშაულის არსს.

სამართლებრივი კულტურა, დანაშაულის საპირისპირო, არის არა მხოლოდ ადამიანური მოღვაწეობის სტატიკური გამოვლინება, არამედ მისი შემოქმედებითი არსებობის დინამიკური პროცესი, რომელიც ადამიანური ღირსებებისა და უნარების გამუდმებულ ძიებასა და განვითარებაშია და რომლის საბოლოო მიზანი საზოგადოების პროგრესი, თავისუფლება და, მაშასადამე, დანაშაულის პრევენციაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთ მნიშვნელოვან მოსაზრებას ვხვდებით სამართლებრივი ეთიკისა და კულტურის შესახებ. მეცნიერები ასახელებენ მისი არსის განსაზღვრის სხვადასხვა, მართლაც მნიშვნელოვან ფაქტორებს, მათ შორის სახელმწიფოს, კანონმდებლისა და საკანონმდებლო სიკრცის სამართლიანობას, საზოგადოების მიერ კანონისადმი პატივისცემის, ნდობისა და რწმენის, მისი შეგრძნებისა და განცდის კულტურას¹.

სამართლებრივი კულტურა, როგორც ადამიანის სულიერების გამოვლენის მნიშვნელოვანი სფერო, ორგანულადაა დაკავშირებული მის ზნეობასთან, მორალთან, რომლის ძირითადი ფორმები: სიკეთე, ბოროტება, კეთილსინდისერება, ჰუმანურობა, პასუხისმგებლობა, სამართლიანობა, უსამართლობა, პატიოსნება და სხვა უშუალოდ ვლინდება სამართალში და განაპირობებს მისი ნორმების მოტივაციურ და ღირებულებით განსაზღვრულობას.

სამართლისა და მორალის ისტორიული განვითარება საზოგადოების სულიერ მდგომარეობას სხვადასხვაგვარად ასახავდა. სამართალი თითქმის ყოველთვის ემსახურება გაბატონებული ფენების ან უმრავლესობის ინტერესებს, ცალკეული ინდივიდები კი მხოლოდ სამართლის ჩრდილით შემოისაზღვრებიან. მორალი კი, მიუხედავად ზოგადსაკაცობრიო ნორმებისა, თანაბარი განვითარებით მოიცავს პიროვნულს, ჯგუფურს, პარტიულს, ეროვნულ და პროფესიულ ნორმებსა და პრინციპებს. ამ განსხვავების გამო, მორალსა და სამართალს შორის ყოველთვის არსებობდა შიგა დაპირისპირება, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად სამართლის უპირატესობის აღიარებით მთავრდებოდა.

ამიტომ არის აუცილებელი, რომ სწორედ სამართალმა უნდა აღმოფხვრას დანაშაული, რომლის წარმოშობაში ლომის წილი სწორედ მისივე უსამართლო ნორმებსა და

¹ ბ. ზოიძე. მოძღვრება საკანონმდებლო კულტურის შესახებ. უკრნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“. თბ., 2006, №1, გვ. 30.

სამართალდამცავთა მხრიდან ადამიანებთან დამოკიდებულებაზე მოდის, განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ფსიქოლოგიური წნევის გავლენით სამართალდამცველთა ფსიქოლოგიური დახმარების აუცილებლობაც დგება, ვინაიდან მათზე მნიშვნელოვნად მოქმედებს, ერთი მხრივ, დამნაშავეთა და კრიმინალთა გარემო, რომელთა შორისაც უხდებათ დაძაბული მუშაობა და რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის მათ აზროვნებას, ქცევის წესებსა და ზოგადად მენტალობას და, მეორე მხრივ, მათ მიმართ არსებული მოთხოვნები როგორც საზოგადოების, ისე უფრო მაღალი ეშედონებიდან. რისკის ქვეშ არის ასევე მათი სიცოცხლე კრიმინალური სამყაროს მხრიდან. შემდგომში ეს ყველაფერი მათ ადამიანური შებრალების უნარს უკარგავს. დასჯის გაუხეშებული ფორმები, ფიზიკური ძალის გამოყენება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არის, შეადგენს პროფესიული დეფორმაციის გამოვლენის ფორმებს. ფსიქოლოგიაში ცნობილია, თუ როგორ ცვლის გარემო ადამიანებს და როგორ შედის მათ ქცევებში, აზროვნებასა და მენტალობაში თუდაც ის უარყოფითი თვისებები, რომლებსაც თვითონ ებრძოდნენ ან მკაცრი კრიტიკით მოიხსენიებდნენ.

საზოგადოების პროგრესის კვალობაზე აღნიშნული დაპირისპირება შემცირებულია მორალის სასარგებლოდ, მაგრამ ეს არაა საკმარისი სამართლებრივი კულტურის სრულყოფისათვის. სამართლებრივი შემოქმედების პროცესი აუცილებლად მოითხოვს მის საზოგადოებრივ განპირობებულობას, ვინაიდან მისი მამოძრავებელი ძალაა “ცოცხალი სამართლის” იდეა, რომელიც, ე. ერლიხის მიხედვით, არსებობს არა სამართლის კანონებში, არა მედ პრაქტიკულ ურთიერთობებში. იგი საზოგადოების ინტერესებს ეფუძნება და არა სახელმწიფო ძალაუფლებას¹. ხოლო საზოგადოების ინტერესებისა და მთელი ადამიანური მოქმედების მამოძრავებელი ძალაა სიცოცხლის გადარჩენის, დახვეწისა და ამაღლების ანუ მისადმი სიყვარულის ძალა.

საზოგადოება მთელი მისი არსებობის განმავლობაში ხვეწდა თავის სამართლებრივ კულტურას. რომ არა ასეთი დინამიკური და გამიზნული სწრაფვა სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისათვის, არ იქნებოდა დღევანდელი შედეგები სამართლებრივ სივრცეში და საზოგადოება ვერ მიაღწევდა იმ ცივილიზებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც საშუალებას აძლევს საზოგადოებას დაიცვას თავისი უფლებები და თავისუფლებები. ამ თვალსაზრისით, თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია თავის წინამორბედზე სამართლებრივი კულტურისა და, მაშასადამე, ადამიანისათვის მეტი თავისუფლების მინიჭების თვალსაზრისით უფრო პროგრესულია.

კულტურის ნებისმიერი გამოვლინება, მათ შორის სამართლებრივი კულტურა, უნდა ეყრდნობოდეს პოზიტური სამართლის თეორიას, რომელიც სამართლის დინამიკურობისა და ახალ-ახალი ცვლილებების საშუალებას იძლევა. ბუნებრივია, ეს ცვლილებები უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანობის პრინციპებს, რომლებიც იცავს სახელმწიფოებრივ წესრიგს, ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს და განაპირობებს მათ სულიერ პროგრესს, რომლებიც სამართლებრივი კულტურის მთავარ ფასეულობებში, სამართლებრივ სიკეთეებში, წესრიგსა და სამართლიანობაში უნდა გამჟღავნდეს.

¹. Общая теория права. Под общей редакцией доктора юридических наук, профессора А.С. Пиголькина. М.: Издательство МГТУ им. Н.Э.Баумана, 1996.- 30 с.

სამართლებრივი კულტურის შემოქმედებითი დინამიკურობა საზოგადოების მოღვაწეობის იმედით ავსებს, რომელიც სამართლებრივი პროგრესის და, მაშასადამე, სამართლებრივი თავისუფლების ორგანული ნაწილია და რომლის არსებობითაც დღევანდელი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ადამიანთა ერთი ნაწილი არ კარგავს ხვალინდელი დღის იმედს, თმობს თავის სამართლიან პროგესტს და დროებით ურიგდება არსებულ ნაკლს სამართლებრივ კულტურასა და სამართლებრივ თავისუფლებაში. ხოლო მეორე ნაწილი სამართლებრივ ბოროტებაში – დანაშაულსა და მის სავალალო შედეგებში ამჟღავნებს თავის უნდობლობას სამართლისა და სამართლიანობის მიმართ.

სამართლის მომავალი კვლავ ინტეგრალური ერთიანობითაა შესაძლებელი¹ არა მხოლოდ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემისა და კულტურის, არამედ მრავალმხრივი ადამიანური ფაქტორებისაც, ვინაიდან სამართალი, მიუხედავად დამოუკიდებელი სისტემურობის, თავისი ნორმატიული დახურულობისა და კონტინუური ლიაობის კომბინირებით ახერხებს საკუთარი სისტემის იდენტობის შენარჩუნებას და საზოგადოების ცვლილების კვალდაკვალ სოციალურ-კულტურული ევოლუციის პროცესებში ჩაბმას².

ამდენად, ხდება კულტურათა ერთგვარი ინტეგრაცია, რაც აერთიანებს არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, შემოქმედებით, ტრადიციულ და ა.შ. მონაპოვარს, რაც, ერთი მხრივ, სოციალური პრინციპებისა და, მეორე მხრივ, სამართლებრივი მიდგომის არა მგლური, არამედ სოციალური, ადამიანური კონცეფციის მეშვეობით სამართლებრივი პროგრესის მნიშვნელოვანი საფუძველია.

სამართლის განვითარების მომავალი გლობალიზმისა და სამართლებრივი პლურალიზმის პრინციპებითაა შესაძლებელი, რომელიც, სამართლისა და კანონის ანალოგიების მაგივრად, კოდიფიცირებული და პრეცედენტული სამართლის ინტეგრაციაზე იქნება აგგენტული, შექმნის ახალი სამართლებრივი ნორმების შექმნის აუცილებლობას და ამით ბევრად უფრო სწრაფი ტექნიკური განვითარებს სამართალს.

სამართლებრივი კულტურის დეფიციტი მუდავნდება არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ თვით სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში. ამის თვალსაჩინო მაგალითთა მოსამართლები, პოლიციელები, პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი სამართლებრივი ნორმების გამოყენებით, განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონედ წარმოიდგენენ საკუთარ სოციალურ სტატუსს, უფლებებსა და თანამდებობებს და განურჩევლად აკეთებენ სუბიექტურ დასკვნებს მათზე დამოკიდებული ადამიანების მიმართ.

სამართლებრივი ნორმების განმარტებებში არსებული შეუსაბამობა, მათი სუბიექტური და სხვადასხვანაირი კონსტატაციის ერთ-ერთი საფუძველი, მრავალ არაობიექტურ ფაქტორთან ერთად, არის კანონშემოქმედებითი პროცესების დაუცველობა იმ ორგანოების მიერ, რომლებსაც უშუალოდ ევალება კანონებისა და საკანონმდებლო აქტების მიღება, კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობის დადგენა, რათა ისინი

¹ Мансурадзе Н. Политическая свобода - Филоменная политика, необходимое условие прогресса, Тбилиси: „Прогресс“, 127 с.

² ლ. ბრეგვაძე, აუტოპოიეტური სამართალი და საზოგადოებრივი კულტურა გლობალურ საზოგადოებაში: „პოსტმოდერნისტული სამართლის სოციოლოგია“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, 2005, №1, გვ.50.

ურთიერთსაპირისპირო უფლებებს არ ამკვიდრებდნენ საზოგადოებასა და ქვეყნის სამართლებრივ კულტურაში.

აქედან გამომდინარე, სამართლებრივი კულტურის მთავარი მოთხოვნა ყველა სამართლდამცვისაგან უნდა იყოს სამართლებრივი ნორმებისადმი უფრო სერიოზული დამოკიდებულება, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, არა მშრალი კანონებით შეფასება, არამედ ადამიანურობის, მორალის, სიკეთის, პუმანურობის გათვალისწინებით. მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით გახდება შესაძლებელი სამართლებრივი პლურალიზმის დამკვიდრება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი კულტურის ასეთი შედეგები შემოქმედებითი ინდივიდების შრომის დაუფასებლობა და გამოანაბრებელი პოლიტიკა იყო. თუმცა, საზოგადოებაშიც მყარად იყო ფესვგადგმული მოსაზრება, რომ ყველა ადამიანი თანასწორია არა მხოლოდ სოციალური თვალსაზრისით, არამედ ინტელექტუალური შესაძლებლობითაც, რაც გამორჩეული ნიჭიერების მქონე პიროვნებათა განსაკუთრებული უნარის წარმოჩენას ყველა შესაძლებლობით ეწინააღმდეგებოდა, როგორც არაეთიკურსა და ერთფეროვანი საზოგადოებრივი კონტექსტიდან ამოვარდნილს.

ყველივე ამის ფონზე შეიქმნა ე.წ. „კვაზინტელიგენცია“ თავისი „კვაზიკულტურით“ სამართალში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში, ხელოვნებაში, ეკონომიკასა და ლიტერატურაში, ტექნიკასა და ტექნოლოგიებში, რამაც განაპირობა დაბალი ხარისხი თითქმის ყველა სფეროში. მაგრამ, ყველაზე მწვავედ საზოგადოებამ ეს უხარისხობა იგრძნო ისეთ სასიცოცხლოდ აუცილებელ სფეროებში, როგორიცაა სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, განათლება და ჯანდაცვა. ამ პროცესებმა გამოიწვია შოკური რეაქციები მთელ საზოგადოებაში, რომლის პარალიზების უკანასკნელი შედეგები დღემდე მოგვყვება და ასელდებულებებს ჩრდილოვანი სამართლის, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და ა.შ. სხვა „ჩრდილოვანი“ სფეროების ნეგატიურ მოვლენებს და ახალ, ფართო პორიზონტებს უხსნის მათ.

ჩრდილოვანი სამართლის სირთულე და ვირტუოზულობა, რომლის განსაზღვრა ადვილია, გაზომვა კი შეუძლებელი, არსებობს და ფუნქციონირებს სამართლებრივი ველის მიღმა. მისი მასაზრდოებელი ფაქტორებია კორუფციული გარემო, გამოწვეული სამართლებრივი კულტურის დაბალი დონით, წესრიგის ქრონიკული დეფიციტით ჩვენს საზოგადოებაში და ადამიანთა შესაშური უნარით გაითავისონ და შეინარჩუნონ ყველაფერი ნეგატიური.

სამართლებრივი კულტურის დეფიციტი კარგად ჩანს არა მხოლოდ ჩრდილოვანი სამართლის არსებობაში, არამედ ზოგადად ჩრდილოვანი სოციალური სფეროს და კერძოდ ეკონომიკურ სივრცეში ეკონომიკური დანაშაულის სახით¹.

ეკონომიკური დანაშაული – დანაშაულის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დამნაშავეთა მიერ განსაზღვრულ ადგილსა და დროში უშუალოდ ხელყოფს საზოგადოებრივ დამოკიდებულებას საქონლისა და მომსახურების სფეროებში წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებას, რომლის საშუალებით ღებულობენ ფულს, ფასიან ქაღალდებსა და სხვა მატერიალურ ან ინტელექტუალურ ფასეულობებს, ან მათზე საკუთრების უფლებას და სხვა არამატერიალურ სიკეთებს².

სამწუხაროდ, ეკონომიკური დანაშაული გავრცელებულია მოსახლეობის ყველა ფენაში და ვისაც ხელი მიუწვდება მასზე უარს თითქმის არავინ ამბობს. ეს არ ნიშნავს იმას,

¹ნ. მაისურაძე. სამართლებრივი თავისუფლება და მისი ფილოსოფიურ-პოლიტიკური მენეჯმენტი. თავისუფლად ვარირებადი, ინტეგრალური და ფილომენური სამართალი. თბილისი, 2014, გვ.109-115.

² Большой юридический словарь, М., 2002.- 479 с.

რომ პატიოსანი ბიზნესი ან ცალკეული კეთილსინდისიერი პირები არ არსებობენ, მაგრამ ეს იმდენად იშვიათია, რომ ისინი ქვეყანაში ამინდს ვერ ქმნიან.

რეალური გამოსავლი ასეთი სიტუაციიდან არის ისევ და ისევ უპვე კარგად ცნობილი სამართლებრივი განხილვისა და დასჯის მეთოდები, რაც, დარწმუნებით შემიძლია ვამტკიცო, არანაირ დადებით შედეგს არ იძლევა. პირიქით, რაც უფრო მკაცრდება დასჯის ღონისძიებები, მით უფრო იმატებს დანაშაულის რაოდენობა და ფორმები.

ვთვლით, რომ ეკონომიკური დანაშაულის მთავარი მიზეზი ეკონომიკური და სამართლებრივი კულტურის დეფიციტშია და იგი თავისთავად მოგვცილდება, თუ საზოგადოებას ხელისუფლება დაარწმუნებს, რომ ყველაფერი, რასაც ისინი ქმნიან, ისევე ეპუთვნით მათ, როგორც ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის თანამდებობის პირს. აქ იგულისხმება ეკონომიკურიც, სამართლებრივიც, სამეცნიეროც, პოლიტიკურიცა და ნებისმიერი სოციალური სიკეთები.

ადამიანი თავისი ბუნებით მესაკუთრეა. ამიტომ, თუ მას ცნობიერში, ქვეცნობიერსა და შეგნებაში ღრმად არ ჩაეტკდება სამართლებრივი კულტურის საფუძვლები და ძირითადი დებულებები, ყოველი შეჩერება ამ პროცესებში გამოაცოცხლებს მასში მიძინებული უკიდურესი მესაკუთრის სურვილებსა და მისწრაფებებს.

აპარატის უნარი სამართლებრივი კულტურის აუცილებელი გამოხატულებაა.

მაგრამ, პასუხისმგებლობა, გარდა ადამიანური თვითშეგნებისა, დაფუძნებული უნდა იყოს სამართლებრივ პროცესებსა და იმ გარანტიებზე, რომელიც სახელმწიფოსაგან უნდა იყოს განმტკიცებული პოლიტიკური კურსითა და სამართლებრივი ნორმებით იმის შესახებ, რომ ადამიანს მოღვაწეობის შედეგები დამსახურების მიხედვით მიეცემა და არ მოხვდება მხოლოდ ხელისუფალთა საბანკო ანგარიშებზე.

აპარატის უნარი სამართლებრივი კულტურის აუცილებლივი გამოხატულებას არ ექნება ბუნებრივი სასიათი, თუ მის დანერგვას მხოლოდ დაშინებით შევეცდებით, მის გათავისებას აუცილებლად ესაჭიროება, ერთი მხრივ, მორალური ბერკეტები, რაც სამართლებრივი კულტურის დამკვიდრების გარანტია, ვინაიდან სამართლი საკუთარი ხარვეზების შევსებისას უნდა დაეყრდნოს საზოგადოებრივ, ეთიკურ, პოლიტიკურ და სხვა არაიურიდიულ არგუმენტებს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიკური სამართლის სისტემის გარანტიები, რაც თანასწორ გადანაწილებაზე იქნება გათვლილი.

სამართლებრივი კულტურის დეფიციტზე მიგვანიშნებს სახელმწიფოში არსებული განუკითხობა ფასტარმოქმნის წესებში, რაც ფასების ხელოვნურად მომატების, აღურიც-ხავი შემოსავლებისა და საფასო დისპროპორციის წყარო ხდება.

საზოგადოებრივი, მათ შორის სამართლებრივი კულტურის დეფიციტია უპატრონო, ქუჩის ბავშვების არსებობა, დაუსაქმებელი ახალგაზრდების პრობლემა, რომლებიც ხშირად ავსებენ რა კრიმინალთა რიგებს, სულ უფრო აღრმავებენ უფსკრულს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმ კულტურის მონაპოვართა განადგურებით, რომელსაც ადგილი პქონდა ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და რამაც თავისი კვალი დატოვა. ეს იყო უამრავი დამპყრობელი, სხვადასხვა პოლიტიკური ზეწოლა, ჩაეტილი სივრცე ცივი ომის პერიოდში და მრავალი სხვა, რომელიც უშეალოდ განსაზღვრავს როგორც სამართლებრივ, ისე საერთო ეროვნულ კულტურას.

ნათელა მაისურაძე,
სამართლისა და ფილოსოფიის დოქტორი

თბა პგაბზირიძე,
სამართლის დოქტორი

დანაშაული – ეთიკისა და სამართლებრივი კულტურის დაციცილის შედეგი

ნაშრომში განხილულია დანაშაული, როგორც დამნაშავის არსისა და არსებობის ფაქტორი, რომელიც, ერთი მხრივ, ისეთი ეთიკური კატეგორიების გაუცემართებული გაგებაა, როგორიცაა სიწმინდე, სამართლიანობა, სიკეთე, სიყვარული, ერთგულება, სათნოება, თანასწორობა, თავისუფლება, ღირსების გრძნობა და ა.შ. და, მეორე მხრივ, სამართლებრივი კულტურის სიდარიბე, რომელიც უარყოფითად მოქმედებს, როგორც საზოგადოების საერთო სოციალურ, ისე მის კონკრეტულ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერ ფაქტორებზე.

როგორც ავტორი აღნიშნავს, დანაშაული ადამიანური ქმედების ერთადერთი ფაქტორია, რომელსაც კულტურული განვითარება არ გააჩნია, ვინაიდან კულტურა ცხოვრების უმაღლესი ღირებულება და მისი არსებობის გამართლებაა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება დანაშაულის არსს.

ავტორის აზრით, აუცილებელია დამნაშავეთა ფსიქოლოგიური დახმარება, ასევე მნიშვნელოვანია სამართალდამცავთა და, განსაკუთრებით, პენიტენციურ დაწესებულებებში მომუშავეთა ფსიქოლოგიური დახმარება, ვინაიდან მათზე უდიდეს გავლენას ახდენს დამნაშავეთა და კრიმინალთა გარემო, რომელთა შორისაც მათ უხდებათ დაძაბული მუშაობა და რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის მათ აზროვნებას, ქცევის წესებსა და ზოგადად მენტალობას.

NATELA MAISURADZE,
Doctor of Law and Philosophy

TEA KVABZIRIDZE,
Doctor of Law

CRIME IS THE RESULT OF A LACK OF ETHICS AND LEGAL CULTURE

The work deals with the crime, as a factor in the essence and existence of the criminal, which, on the one hand, is an understatement of ethical categories, such as holiness, justice, kindness, love, loyalty, virtue, equality, freedom, self-esteem, etc., and, on the other hand, it is a poverty of legal culture, which adversely affects both the social, as well as the economic, political and spiritual factors of society.

As the author points out, the crime is the only factor of human activity, that does not have cultural development. Culture - the highest value of life and the justification of its existence, the purpose of which is the progress and freedom of society, which is in sharp contrast to crime.

In the author's opinion, psychological assistance is needed for criminals, as well as for law enforcement officials, especially in penitentiary institutions, as they receive a huge psychological influence from criminals and those criminals with whom they have to work hard and which significantly change their minds, rules of reference and overall mentality.

НАТЕЛА МАЙСУРАДЗЕ,

доктор юриспруденции и философии

ТЕЯ КВАБЗИРИДЗЕ,

доктор права

ПРЕСТУПНОСТЬ - РЕЗУЛЬТАТ ДЕФИЦИТА ЭТИКИ И ПРАВОВОЙ КУЛЬТУРЫ

В работе рассматривается преступление, как фактор сущности и существования преступника, что, с одной стороны, является преуменьшением этических категорий, таких как святость, справедливость, доброта, любовь, лояльность, добродетель, равенство, свобода, чувство собственного достоинства и т. д., а, с другой стороны, является нищетой правовой культуры, которая негативно влияет как на социальные, так же и на экономические, политические и духовные факторы общества.

Как указывает автор, преступление является единственным фактором человеческой деятельности, который не имеет культурного развития. Культура – высшая ценность жизни и оправдание ее существования, целью которой является прогресс и свобода общества, что находится в резком контрасте с преступностью.

По мнению автора, необходима психологическая помощь преступникам, а также сотрудникам правоохранительных органов, особенно в пенитенциальных учреждениях, так как именно они получают огромное психологическое влияние со стороны преступников и тех криминалов, с которыми им приходится вести напряженную работу и которые значительно меняют их сознание, правила ведения и общую ментальность.

**პასუხისმგებლობის საგითხი პირზე მიზანების ზღვი ზიანისათვის
შუა საუკუნეების ეპოქაში**

ნებისმიერი საზოგადოების სამართლებრივი კულტურა ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებელია. ეპოქის ცვალებადობასთან ერთად იცვლება წარმოდგენებიც სამართლის ძირითად მიზნებსა და პრინციპებზე. ანტიკური ხანის საზოგადოება უშვებდა არა მარტო დამნაშავე ადამიანების დასჯას, არამედ ცხოველების გასამართლებასაც. მათი წარმოდგენით, ცხოველები პასუხს აგებდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ისევე, როგორც ადამიანები. იდენტური იყო სასჯელის სახეებიც. ჩამოხრჩობა, გაძევება, კოცონზე დაწვა, ქვებით ჩაქოლვა, დახრჩობა, გამოსასწორებელი ვადის მიცემა ის მეთოდებია, რითაც ადამიანები ცხოველებს დანაშაულისათვის პასუხს აგებინებდნენ. შემორჩენილია ცხოველების გასამართლების 200-ზდე შემთხვევა. ეს ყველაფერი კი ხდებოდა ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებიც ყოველთვის ცივილიზაციის კერად მიიჩნეოდა.¹ საინტერესოა, რომ ანტიკურ პერიოდში არა მხოლოდ ცხოველები და ფრინველები იყვნენ სამართლის სუბიექტები, არამედ ზღვა და მდინარეებიც. მაგალითად, სპარსეთის შაჰის, ქსერქსეს ერთერთი ლაშქრობის დროს შავ ზღვაზე აბიდოსიდან კონცხზე ჯარის გადასაყვანად ხიდები ააგეს. პირველი ხიდი ფინიკიულებმა თეთრი სელისგან ააგეს; მეორე ეგვიპტელებმა – ჭილისაგან. ამის შემდეგ ამოვარდა ქარიშხალი და ყოველივე დაანგრია.

განრისხებულმა ქსერქსემ ბრძანა ჰელესპონტისთვის (შავი ზღვა) 300 მათრახი დაერტყათ და ზღვაში წყვილი ბორკილი ჩაეგდოთ. ამავე დროს გაგზავნა მცოდნე ხალხი, რათა ზღვა „დაედალათ“. „გამათრახების“ პროცესში ირანელებმა ზღვას შემდეგი სიტყვებით მიმართეს: „მწარე წყალო, უფალი შენ იმიტომ გსჯის, რომ შენ მას უსამართლოდ მოექცი მაშინ, როდესაც მას შენთვის არაფერი დაუშავებია. შენ გინდა თუ არა, მეფე ქსერქსესი მაინც გაივლის შენზე. მართლაც, სამართლიანია ის, რომ არც ერთი ადამიანი არ გწირავს მსხვერპლს, რადგან ჭუჭყიანი და მლაშე მდინარე ხარ“. ამავე დროს შაჰმა უბრძანა თავის ხელქვეითებს თავები დაეჭრათ მათთვის, ვინც ხელმძღვანელობდა ჰელესპონტზე ხიდების გადებას.²

როგორც ადვინძენთ, მრავალ ქვეყანაში დანაშაულის სუბიექტებად ადამიანის გარდა ცხოველები, ფრინველები, მწერები, უსულო საგნები გვევლინებოდა. ჩვეულებრივი მოვლენა იყო მათი სასამართლო პროცესები და პასუხისმგებლობა მიუქნებული ზიანისათვის. ჯ.ჯ. ფრეზერს სხვადასხვა ველური ტომის სინამდვილიდან მოჰყავს კონკრეტული მაგალითები ცხოველების თუ უსულო საგნების მიმართ შურისძიების გავრცელების შესახებ, თუმცა იმასაც მიუთითებს, რომ მათი პასუხისმგებლობა უცხო არ ყოფილა წარმართული ეპოქის ცივილიზებული ხალხებისთვისაც. მაგალითად, პირუტყვის პასუხისმგებლობაზეა საუბარი ებრაულ სამართალში, ხოლო ათენში, მისი აყვავების ხანაში, ჩამოყალიბდა სპეციალური სასამართლო იმ ცხოველებისა და უსულო საგნების გასამართლებისათვის,

¹www.myadvocat.ge

² ჰეროდოტე. ისტორია. ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხეზიშვილმა, ტომი II, თბილისი, 1976, გვ. 423.

რომლებიც გამოიწვევდა ადამიანის სიკვდილს ან დასახიჩრებას. საინტერესოა, რომ მსგავს მოვლენებს შეა საუკუნეების რუსეთშიც პქონდა ადგილი. აქაც გვხვდება სასამართლო პროცესები შინაური ცხოველების წინააღმდეგ. ყველა საქმეზე ინიშნებოდა ადვოკატი პირუტყვის დასაცავად.¹

ცხოველების გასამართლების კლასიკური მაგალითები შეა საუკუნეების ევროპაში იღებს სათავეს. ამგვარი პროცესები XIII საუკუნიდან დაიწყო და სამ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა. ეშაფოტზე ისჯებოდნენ ცხენები, დორები, ძროხები და სხვა შინაური ცხოველები. რაც შეეხება მღრღნელებს ან ქვეწარმავლებს, მათ ანათემას გადასცემდნენ ხოლმე. ცნობილმა მედიევისტმა მიშელ პასტურომ წიგნში „ევროპული შეა საუკუნეების სიმბოლური ისტორია“ ცხოველთა დასჯის პრაქტიკა სამ კატეგორიად დაყო. პირველ კატეგორიაში შეიყვანა შინაური ცხოველები, რომლებმაც ადამიანები დახოცეს ან დაასახიჩრეს. ეს გახდათ კრიმინალი, რომელშიც საეკლესიო წრეების წარმომადგენლები არ ერეოდნენ.² მეორე კატეგორიაში შეიყვანა დიდი ზომის ველური მხეცები, რომლებიც მოსავალს ანადგურებდნენ ან ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდნენ. ამავე კატეგორიაში მოხვდნენ მღრღნელები, მატლები და მავნებლები, რადგან ისინი მოსავალს ანადგურებდნენ. მხეცებს სამოქალაქო ხელისუფლება უსწორდებოდა ფიზიკური სასჯელით, მღრღნელებს და მავნებლებს კი ეკლესია შეაჩვენებდა, ანათემას გადასცემდა.

მესამე კატეგორიაში შედიოდნენ ცხოველები, რომლებიც ადამიანის სოდომურ დანაშაულში მონაწილეობდნენ – როცა მამაკაცი ან ქალი ცხოველთან სქესობრივ კავშირს ამჟარებდა, ადამიანს ცხოველთან ერთად ტომარაში სვამდნენ, გვერდით დებდნენ სასამართლოს გადაწყვეტულებას და კოცონზე წვავდნენ, რათა სამარცხვინო ამბის კვალიც კი გამქრალიყო.³ ახლა კი გვეჩვენება სასაცილოდ, მაგრამ შეა საუკუნეებში ეს სულაც არ იყო სახუმარო ამბავი. სასამართლოს წინაშე, ადვოკატების თანხლებით, იწვევდნენ „ელეგანტურად“ შემოსილ ღორებს, ცხენებსა და სხვა ცხოველებს. მოსამართლეები წამების გზით მათგან დანაშაულის აღიარებას მოითხოვდნენ. შეა საუკუნეებში ცხოველთა სასამართლოს წინაშე წარდგენა არცოუ იშვიათი იყო. მათ ისე ასამართლებდნენ, თითქოს ადამიანთა პრობლემებში ისინი ყოფილიყვნენ დამნაშავე. შეა საუკუნეებში ცხოველებისა და ფრინველების წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესები სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. ალპების ქვეებში ხშირად ებრძოდნენ თაგვებს, კალიებს. XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრებმა იურისტმა ბართოლომეო დე ჰასენმა დაგვიტოვა წიგნი: „ზიანის მიმეუნებელ ცხოველებთან ბრძოლის მეთოდები“. ავტორი ამტკიცებს, რომ სასამართლოს წინაშე მავნებლებიც უნდა წარდგნენ. მისი აზრით, ასეთი საქმეები ეპისკოპოსთა სასამართლომ უნდა გაარჩიოს, რომელსაც უფლება აქვს, შეაჩვენოს მავნებლები და აიძულოს იმ ტერიტორიის დატოვება, სადაც „დანაშაული“ ჩაიდინეს.⁴

ყველაზე ძველი საბუთი, რომელიც ასეთ სასამართლოს ასახავს, 1120 წლით თარიღდება. ეპისკოპოსი ბართოლომეო ისე წყვევლის თაგვებს და ვირთხებს, რომლებიც ნათესებს

¹ გიორგი დავითაშვილი. დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში. თბილისი, 2011, გვ. 70-71.

² ამბროსი გრიშიკაშვილი. ცხოველები ეშაფოტზე. ჟურნალი „ისტორიანი“, 2018, №2, გვ. 60.

³ იქვე, გვ. 60-61.

⁴ ამბროსი გრიშიკაშვილი. ცხოველები ეშაფოტზე. ჟურნალი „ისტორიანი“, 2018, №2, გვ. 62.

დიდ ზიანს აყენებდნენ, თითქოს საქმე ერეტიკოსებს ეხებოდეს. ამგვარი სასამართლოები ხშირად იმართებოდა XIV საუკუნიდან მოყოლებული რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

ცხოველებს სასამართლოს წინაშე წარდგენა ყველაზე ხშირად ბავშვების დასახიჩრების ან მოკვლის გამო უხდებოდათ. ასეთ შემთხვევაში ცხოველი უნდა დაეპატიმრებინათ, შემდეგ გამოემიებინათ დანაშაული და დაენიშნათ სასამართლო პროცესი. მოსამართლე მოუსმენდა მოწმეებს, შეადარებდა „აღიარებით ჩვენებას“ და სასჯელის ზომას განსაზღვრავდა, რომელსაც განსაზღვრავდს საკანში წაუგითხავდნენ. ამ მომენტიდან ცხოველი ადგილობრივი ხელისუფლების ხელში გადადიოდა, რომლის განკარგულებითაც ჯალათს განაჩენი სისრულეში მოჰყავდა. ეს, როგორც წესი, ჩამოხრჩობა, კოცონზე დაწვა ან გილიოტინა იყო. დიდწონიანი ცხოველების შემთხვევაში (ხარი) ნაჯახი გამოიყენებოდა, რითაც ცხოველს თავს კვეთდნენ. ხშირად სიკვდილით დასჯამდე სიკვდილმისჯილს ქუჩაში ატარებდნენ, ამცირებდნენ, ამით მოსახლეობას აჩვენებდნენ, რომ მართლმსაჯულებას ვერავინ დაემალებოდა.¹

მართალია, ცხოველთა გასამართლებას სიგიუდ მიიჩნევდნენ, მაგრამ შეა საუკუნეების ზოგიერთ მკვლევარს განსხვავებული აზრი აქვს – ცხოველები ისევე იყვნენ თავიანთ საქციელზე პასუხისმგებელნი, როგორც ადამიანები. მათ უფლებას აძლევდნენ, ადვოკატი პყოლოდათ. ამგვარ აზრს გამოოქვამს, მაგალითად, ამ ეპოქის ისტორიკოსი ფლერ დუშე წიგნში „ცხოველების საიდუმლო, კვალი აიღე და გაჟყვავი“. დუშეს აზრით, მართალია ზოგიერთი დასცინის წარსული ეპოქის ამ პრაქტიკას, მაგრამ გარკვეულწილად ეს გამართლებული იყო. ამით შეა საუკუნეების საზოგადოება გამოხატავდა აზრს: თუ ადამიანს უნდა პყოლოდა ადვოკატი, უნდა პყოლოდა ცხოველსაც.² 1313 წელს საფრანგეთში ხარმა დიდი ზიანი მიაყენა მამაკაცს. სასამართლოს არ შეეძლო მომხდარი რეაგირების გარეშე დაეტოვებინა და ხარს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. მეთოთხმეტე საუკუნეში შვეიცარიის მოქალაქეებმა სასამართლოში თეთრ მატლებს უჩივლეს. სასამართლო პროცესი ბრალდებულების გარეშე გაიმართა. იმის გამო, რომ სასამართლომ არაჟუმანურად მიიჩნია თეთრი მატლების განადგურება, მათ ტყეში სპეციალური ადგილი გამოუყვეს, სადაც ისინი ვერავის ვერ მიაყენებდნენ ზიანს. გარდა ამისა, ისტორიაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც განაჩენი ცხოველების გარდა, მცენარეებსაც გამოუტანეს. მაგალითად, პენრი მეოთხის მმართველობის დროს გაიმართა სასამართლო პროცესი ნესვის წინააღმდეგ. ნაყოფი მუცლის ტკივილის მიყენებაში დაადანაშაულეს ისეთი მნიშვნელოვანი პირისათვის, როგორც მისი უდიდებულებობა იყო.³ 1386 წელს ნორმანდიის ქალაქ ფელეზში უჩვეულო სასამართლო გაიმართა. დორს, რომელიც თავს დაესხა ბიჭს და დასახიჩრა, სიკვდილი მიუსაჯეს. დორი ჯერ აწამეს, შემდეგ კი ქალაქის ეშაფოზე თავი მოჰკვეთეს. სასჯელის ადსრულებას ქალაქისა და მისი შემოგარენის მკვიდრთა გარდა, დორების მთელი კოლტი ესწრებოდა. საფრანგეთში ამ შემთხვევის მსგავსად, მინიმუმ 20 დორი იყო გასამართლებული და დასჯილი. ამასთან, მიღებული განაჩენის ადსრულებაზე იმდენივე თანხა იხარჯებოდა, რამდენიც ადამიანის დასჯის დროს.

საინტერესოა, რომ დორის სიკვდილით დასჯას წინ უძღვდა ორთვიანი სასამართლო პროცესი, რომლის მსვლელობისას დორს ისე მიმართავდნენ, როგორც განსასჯელ ადა-

¹ იქვე, გვ. 62-63

² იქვე, გვ. 63

³ www.ambebi.ge

მიანს. დორს ჩაკეტილ თთახში ამყოფებდნენ, მიჩენილი ჰყავდა მცველიც. მას არც საჭ-
მელს აკლებდნენ, გამოუყვეს ადგოკატიც, რომელმაც, თუ ამ პროცესის შედეგს გავითვა-
ლისწინებთ, დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა.¹

1474 წელს ქ. ბაზელში განიხილეს მამლის საქმე, რომელიც ბეჭედ ძალებთან
კავშირში იყო დადანაშაულებული. ამის მტკიცებულება კი ის იყო, რომ მამალმა კვერცხი
დადო. მამალს ადგოკატი ჰყავდა, რომელიც იმაზე აპელირებდა, რომ კვერცხის დადება
უნდა ური მოქმედების შედეგია და ნებისმიერი სასჯელი მამლის მიმართ უსამართლო
იქნება. მაგრამ სასამართლომ ეს არგუმენტი საკმარისად არ მიიჩნია და მამალი, როგორც
ერეტიკოსი, ცეცხლზე დაწვეს.²

XVI საუკუნის დასაწყისში ბურგუნდიის მოსახლეობა შიმშილობის ზღვარზე აღმოჩნ-
და. საფრანგეთის აღმოსავლეთ რეგიონში შექმნილ მდგომარეობაში დამნაშავეები ვირთხე-
ბი იყვნენ. მათ მოსავლის თითქმის მთელი მარაგი გაანადგურეს და მოსახლეობა ულცმა-
კუროდ დატოვეს. სასოწარკვეთილმა ხალხმა ვირთხებს საეკლესიო სასამართლოში უზივ-
ლა. ცხოველების დაცვა იმ დროს ცხობილმა იურისტმა ბართოლომეო დე ჰასენმა ითავა. თუმცა სასამართლო პროცესზე არც ერთი ვირთხა არ გამოცხადდა. არც მომდევნო
სხდომაზე გამოცხადდნენ, რაც ადგოკატმა იმით ახსნა, რომ ვირთხებს ემუქრებოდათ
საფრთხე კატების სახით, რომლებიც სასამართლოსკენ მიმავალ გზაზე შეიძლება შეხვედ-
როდათ. მან მოსარჩელეებს მოთხოვა პასუხისმგებლობა აედოთ, რომ კატები ზიანს არ
მიაყენებენ მისი დაცვის ქვეშ მყოფ ვირთხებს. საკუთარი კატების ქმედებაზე პასუხისმ-
გებლობის აღება ვერავინ გაბედა და ამიტომ სასამართლო განუსაზღვრული დროით გადა-
იდო. 1750 წელს საფრანგეთში ვირს ასამართლებდნენ ვინმე შაკ ფერონთან სექსუალური
კავშირის გამო. ქვეყნის იმდროინდედელი კანონის მიხედვით უდირსი საქციელისთვის ორივე
დამნაშავეს სიკვდილით დასჯა ელოდა, მაგრამ ვირს დამცველი გამოუჩნდა ერთ-ერთი ად-
გილობრივი საზოგადოების სახით, რომლის წევრები ამტკიცებდნენ, რომ მას 4 წლის
განმავლობაში იცხობდნენ და ცუდი საქციელი არასოდეს შეუმჩნევიათ. სასამართლომ
მხედველობაში მიიღო მოწმეთა ჩვენებები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ვირი დანაშაუ-
ლის თანამონაწილე კი არა, მსხვერპლი იყო. ცხოველი გაამართლეს, როგორც დაზარალე-
ბული, ხოლო მამაკაცი სიკვდილით დასაჯეს. XX საუკუნის დასაწყისში, მკვლელობის
ბრალდებით, სასამართლოს წინაშე სპილო ტოპსი წარსდგა. ტოპსი ნიუ-იორკში ინდოე-
თიდან ჩაიყვანეს. ამერიკაში სპილო ჯერ ცირკში გამოდიოდა, შემდეგ კონი-აილენდის
პარკის მშენებლობაზე მუშაობდა. 28-წლიანი „მოდვაწეობის“ შემდეგ ტოპსი მოსიყვარულე
სპილოდან უმართავ მხეცად გადაიქცა და 2 ადამიანი ფეხებზე გათელა. ის დააპატიმრეს
და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. განაჩენის აღსრულებას, რომელიც 1903 წლის 4
იანვარს შედგა, 1500 ადამიანი ესწრებოდა. თავდაპირველად ტოპსის დარიშხნიანი სტა-
ფილო აჭამეს, შემდეგ ორ ბოძზე მიაბეს და 6600 ვოლტის ძაბვის დენი ჩართეს.

1963 წელს ტრიპოლის (ლიბია) სასამართლომ განიხილა კონტრაბანდისთვის დაკავე-
ბული 75 საფოსტო მტკიცების საქმე. ნამდვილმა კონტრაბანდისტებმა ფრინველები ისე გა-
წვრთნეს, რომ მათ ლიბიის საზღვარზე იტალიიდან, ეგვიპტიდან და საბერძნეთიდან უცხო-
ური ვალუტა გადმოქვენდათ. სასამართლომ მტკიცების ჩვევები საზოგადოებისათვის სა-
ხიფათოდ მიიჩნია და ფრინველებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მათ, ვინც ეს ფრინველები

¹ ამბროსი გრიშიკაშვილი. ცხოველები ეშაფოტზე. ქურნალი „ისტორიანი“, 2018, №2, გვ. 59.

² www.intermedia.ge

გაწვრთნა, ჯარიმის გადახდა დააკისრა სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ. 2008 წელს, მაკედონიელმა მეფუტპრემ ზორან კისელოვსკიმ სასამართლოში სარჩელი დათვის წინააღმდეგ შეიტანა, რომელიც მისი თქმით სკებს არბევდა და თაფლს უჭამდა, ამიტომ მან ზარალის ანაზღაურება სასამართლო გზით მოითხოვა. პროცესი ორ წელზე მეტხანს გრძელდებოდა. დათვი საქმის განხილვას არ ესწრებოდა. ამიტომ სასამართლომ დათვი დამნაშავედ ცნო მატერიალური ზარალის მიყენების მუხლით და ჯარიმის სახით 3500 დოლარის გადახდა დააკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ, მაგრამ რადგან „დამნაშავე“ ფულს ვერ გადაიხდიდა, მასზე დაკისრებული თანხის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხდა.¹ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველი ქართული სამართლისათვის მსგავსი მოვლენები სრულიად უცხოა. ძველი ქართული სამართლი დანაშაულის სუბიექტად არ ცნობდა ცხოველებს, ფრინველებს, მწერებსა და უსულო საგნებს, როგორც ეს შუა საუგუნეების ევროპაში იყო. საქართველოში დანაშაულის სუბიექტად მხოლოდ პიროვნება გვევლინება და არც ერთ შემთხვევაში ცხოველი თუ უსულო საგანი. შინაური ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის შემთხვევაში, პასუხს მისი პატრონი აგებდა.²

¹www.intermedia.ge

² გ. დავითაშვილი. დანაშაული და სასჯელი ქართულ წვეულებით სამართალში. თბილისი, 2011, გვ. 72.

ვახტანგ სოლიულაშვილი,
სამართლის დოქტორი

**პასუხისმგებლობის საპითხი პირუթების მიერ
მიყვებული ზიანისათვის შუა საუკუნეების ეპოკაში**

ნებისმიერი საზოგადოების სამართლებრივი კულტურა ქვეყნის განვითარების დონის მაჩვენებელია. ეპოქის ცვალებადობასთან ერთად იცვლება წარმოდგენებიც სამართლის ძირითად მიზნებსა და პრინციპებზე. ანტიკური ხანის საზოგადოებაში ხდებოდა არა მარტო დამნაშავე ადამიანების დასჯა, არამედ ცხოველების გასამართლებასაც. მათი წარმოდგენით, ცხოველები პასუხს აგებდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის, როგორც ადამიანები. იდენტური იქო სასჯელის სახეებიც – ჩამოხრიბა, გაძევება, კოცონზე დაწვა, ქვებით ჩაქოლვა, დახრჩობა, გამოსახურებელი ვადის მიცემა და ა.შ.

მსგავს მოვლენებს რუსეთშიც ჰქონდა ადგილი. ყველა საქმეზე ინიშნებოდა ადვოკატი პირუტყვის დასაცავად.

საინტერესოა, რომ ძველი ქართული სამართლისათვის მსგავსი მოვლენები სრულიად უცხოა. შინაური ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის შემთხვევაში პასუხს მისი პატრონი აგებდა.

VAKHTANG SONGULASHVILI,
Doctor of Law

**THE RESPONSIBILITY FOR THE LIVE-STOCK
THE DAMAGE CAUSED IN THE MEDIEVAL EUROPE**

The legal culture of any society is an indicator of the country's development level. Along with the era of changes, the concepts of the basic goals and principles of justice change too. In ancient times, society considered as offenders and punished not only humans, but animals as well. In their opinion, animals, like people were also responsible for the violation of public order. The types of punishment were identical too: the death penalty - hanging, expulsion, burning at the stake, stoning, drowning, correctional terms, etc. Similar events were taking place in Russia as well. In all cases, lawyers were appointed to protect live-stock. It is interesting the fact, that such events were completely alien to the old Georgian legislation. In Georgia, in the case of damage caused by animals, its owner was responsible for it.

ВАХТАНГ СОНГУЛАШВИЛИ,

доктор права

ОТВЕТСТВЕННОСТЬ ЗА ДОМАШНИЙ СКОТ УЩЕРБ, НАНЕСЕННЫЙ В СРЕДНЕВЕКОВОЙ ЕВРОПЕ

Правовая культура любого общества является показателем уровня развития его страны. Наряду с эпохой перемен меняются представления основных целей и принципов справедливости. В древние времена общество считало правонарушителями и наказывало не только людей, а также и животных. По их мнению, животные были так же ответственны за нарушение общественного порядка, как и люди. Идентичными были и виды наказания: смертная казнь через повешение, изгнание, сожжение на костре, забрасывание камнями, утопление, так же животные приговаривались к исправительному сроку и т.д.

Аналогичные события происходили и в России. Во всех случаях были назначены адвокаты для защиты домашнего скота. Интересен тот факт, что такие события были абсолютно чужды старому грузинскому законодательству. В Грузии в случае ущерба, причиненного домашним животным, ответственность за него возлагалась на владельца.

შინაარსი

კორმო სამართალი

ვალერი ხრუსტალი. საპასაცორ წესით გასაჩივრებელი გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.....	3
ქეთევან ქოქრაშვილი. პიზნესის მენეჯმენტის ფილუციური ვალდებულებები.....	8
ლაშა გორგაძე. მეზარმეობის სახელმწიფოსმიერი რეზულირების პროგლემა.....	15

საჯარო სამართალი

გივი აბაშიძე. არის თუ არა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ეფექტიანი და აძვი თუ არა მომავალი საქართველოში.....	21
მიხეილ გაბუნია. პრიმიტიულობის მეცნიერების წარმოშობა, განვითარება და თანამედროვე მდგრადარობა.....	30
მიხეილ გაბუნია. ძირითადი პრიმიტიულობის თეორიები და მათი მნიშვნელობა დანაშაულობის პრეცენციის საჭმეში.....	39
მიხეილ გაბუნია. ტექნიკური პრიმიტიულობის ცნება და ამოცანება.....	47
ტატიანა ლეონენკო, მაქსიმ ლეონენკო. რელიგიურ ნიადაგზე დანაშაულის, როგორც სრულიადური და უფლებრივი ვენომენის შესრულების გეორგოლოგიური და ბროსეოლოგიური საფუძველი.....	51
ლალი შაიშმელაშვილი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დადგითი და უარყოფითი მხარეები.....	58
მარიამ მამულაშვილი, ნანა როსეფაშვილი. ბაზებითა უფლებების დაცვა უთანასწორობისა და უბუღებელყოფისას ოჯახსა და საბამანათლებლო დაწესებულებებში.....	66
ნიკოლოზ წერეთელი. ზღვარი არაპირდაპირ ბაზრახვასა და თვითმმადოვნებას შორის	72
საერთაშორისო სამართალი	
მერაბ რაფაელ. მიბრაცია და დიპლომატიური ურთიერთობები.....	77
მერაბ რაფაელ. დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილ სახელმწიფოში, საპუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვის საერთაშორისო	
ასპექტები (ბარანტიები).....	83

სამართლის ფინანსოვანი

ნათელა მაისურაძე, თეა კვაბზირიძე. დანაშაულის პრეცენცია და მისი აღმოფხვრის გზები	90
ნათელა მაისურაძე, თეა კვაბზირიძე. დანაშაული – ეთიპისა და სამართლებრივი კულტურის დეფიციტის შედები	95

სამართლის ისტორია

ვახტანგ სონღულაშვილი. პასუხისმგებლობის საკითხი პირუტყვის მიერ მიყვნებული ზიანისათვის შეა საუკუნეების ეპორკაში.....	102
---	-----

CONTENTS

PRIVATE LAW

Valeri Khrustali. SUSPENSION OF THE EXECUTION OF THE DECISION APPEALED IN THE COURT OF CASSATION	3
Ketevan Kokrashvili. FIDUCIARY DUTIES OF BUSINESS MANAGEMENT	8
Lasha Gorgadze. THE PROBLEM OF STATE REGULATION OF ENTREPRENEURSHIP.....	15

PUBLIC LAW

Givi Abashidze. ON THE EFFECTIVENESS OF THE JURY'S INSTITUTION AND ITS FUTURE IN GEORGIA	21
Mikheil Gabunia. ORIGIN, DEVELOPMENT AND MODERN CONDITION OF CRIMINOLOGY SCIENCE.....	30
Mikheil Gabunia. THE MAIN CRIMINOLOGICAL THEORIES AND THEIR SIGNIFICANCE IN THE PREVENTION OF CRIME	39
Mikheil Gabunia. THE CONCEPTION AND OBJECTIVES OF TECHNICAL CRIMINOLOGY	47
Tatiana Leonenko, Maxsim Leonenko. METHODOLOGICAL AND GNOSLOLOGICAL BASIS OF THE STUDY OF THE CRIME ON THE RELIGIOUS SOIL AS A SOCIAL-LEGAL PHENOMENON	51
Lali Shaishmelashvili. ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF A JURY TRIAL	58
Mariam Mamulashvili, Nana Rosepashvili. PROTECTING CHILDREN RIGHTS FROM INEQUALITY AND NEGLIGENCE IN FAMILY AND EDUCATIONAL ORGANIZATIONS.....	66
Nikoloz Tsereteli. THE BOUNDARY BETWEEN INDIRECT INTENTION AND RECKLESS MISCONDUCT	72

INTERNATIONAL LAW

Merab Rapava. MIGRATION AND DIPLOMATIC RELATIONSHIPS.....	77
Merab Rapava. DIPLOMATIC RELATIONSHIPS IN TERMINATED COUNTRY – INTERNATIONAL ASPECTS (GUARANTEES) FOR PROTECTION OF CITIZENS	83

PHILOSOPHY OF LAW

Natela Maisuradze, Tea Kvabziridze. PREVENTING CRIME AND WAYS TO ELIMINATE IT	90
Natela Maisuradze, Tea Kvabziridze. CRIME IS THE RESULT OF A LACK OF ETHICS AND LEGAL CULTURE.....	95

HISTORY OF LAW

Vakhtang Songulashvili. THE RESPONSIBILITY FOR THE LIVE-STOCK THE DAMAGE CAUSED IN THE MEDIEVAL EUROPE.....	102
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

ЧАСТНОЕ ПРАВО

Валерий Хрусталь. ПРИОСТАНОВЛЕНИЕ ИСПОЛНЕНИЯ РЕШЕНИЯ, ОБЖАЛОВАННОГО В КАССАЦИОННОМ ПОРЯДКЕ	3
Кетеван Кокрашвили. ФИДУЦИАРНЫЕ ОБЯЗАННОСТИ БИЗНЕС-МЕНЕДЖЕРОВ	8
Лаша Горгадзе. ПРОБЛЕМА ГОСУДАРСТВЕННОГО РЕГУЛИРОВАНИЯ ПРЕДПРИНИМАТЕЛЬСТВА	15

ПУБЛИЧНОЕ ПРАВО

Гиви Абашидзе. ЭФФЕКТИВЕН ЛИ ИНСТИТУТ ПРИСЯЖНЫХ ЗАСЕДАТЕЛЕЙ И ИМЕЕТ ЛИ ОН БУДУЩЕЕ В ГРУЗИИ	21
Михеил Габуния. ИСТОКИ, РАЗВИТИЕ И СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ КРИМИНОЛОГИЧЕСКОЙ НАУКИ	30
Михеил Габуния. ОСНОВНЫЕ КРИМИНОЛОГИЧЕСКИЕ ТЕОРИИ, ИХ ЗНАЧЕНИЕ ДЛЯ ПРЕВЕНЦИИ ПРЕСТУПНОСТИ	39
Михеил Габуния. КОНЦЕПЦИЯ И ЦЕЛИ ТЕХНИЧЕСКОЙ КРИМИНОЛОГИИ	47
Леоненко Татьяна, Леоненко Максим. МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ И ГНОСЕОЛОГИЧЕСКИЕ ОСНОВЫ ИССЛЕДОВАНИЯ ФЕНОМЕНА ПРЕСТУПНОСТИ НА РЕЛИГИОЗНОЙ ПОЧВЕ КАК СОЦИАЛЬНО-ПРАВОВОГО ЯВЛЕНИЯ	51
Лали Шашмелашвили. ПОЛОЖИТЕЛЬНЫЕ И ОТРИЦАТЕЛЬНЫЕ СТОРОНЫ СУДА ПРИСЯЖНЫХ	58
Мариам Мамулашвили, Нана Росепашвили. ЗАЩИТА ПРАВ ДЕТЕЙ ОТ НЕРАВЕНСТВА И ПРЕНЕБРЕЖЕНИЯ В СЕМЬЕ И УЧЕБНЫХ ЗАВЕДЕНИЯХ	66
Николоз Церетели. ГРАНИЦА МЕЖДУ КОСВЕННЫМ УМЫСЛОМ И САМОНАДЕЖНОСТЬЮ	72

МЕЖДУНАРОДНОЕ ПРАВО

Мераб Рапава. МИГРАЦИЯ И ДИПЛОМАТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ	77
Мераб Рапава. ДИПЛОМАТИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ В ПРЕКРАЩЕННОЙ СТРАНЕ - МЕЖДУНАРОДНЫЕ АСПЕКТЫ (ГАРАНТИИ) ДЛЯ ЗАЩИТЫ ГРАЖДАН	83

ФИЛОСОФИЯ ПРАВА

Натела Майсурадзе, Тея Квабзиридзе. ПРЕВЕНЦИЯ ПРЕСТУПНОСТИ И СПОСОБЫ ЕЕ УСТРАНЕНИЯ	90
Натела Майсурадзе, Тея Квабзиридзе. ПРЕСТУПНОСТЬ - РЕЗУЛЬТАТ ДЕФИЦИТА ЭТИКИ И ПРАВОВОЙ КУЛЬТУРЫ	95

ИСТОРИЯ ПРАВА

Вахтанг Сонгулашвили. ОТВЕТСТВЕННОСТЬ ЗА ДОМАШНИЙ СКОТ УЩЕРБ, НАНЕСЕННЫЙ В СРЕДНЕВЕКОВОЙ ЕВРОПЕ	102
--	-----

რედაქტორები: ლ. მამალაძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ე. ქარჩავასი

გადაეცა წარმოქას 28.09.2018. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.12.2018. ქაღალდის ზომა
60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 7.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

